ლამარა ნებიერიძე

მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი

თბილისი 2003

ლამარა ნებიერიძე

მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითშრი ხანის ნამოსახლარი

(გამოკვლევა და კატალოგი)

თბილისი 2003

ნაშრომი ეძღვნება დასავლეთ საქართველოში 1951 წელს აღმოჩენილი, დღემდე გამოუქვეყნებელი მრავალფენიანი მღვიმე საგვარჯილის ენეოლითური ნამოსახლარის შესწავლას და მისი მასალის პუბლიკაციას. ნაშრომში მოცემულია ძეგლის დახასიათება და მისი მასალის მეცნიერული ანალიზი, ახლებურადაა გაშუქებული ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხები. ნაშრომს ერთვის ილუსტრირებული კატალოგი.

ძეგლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საქართველოს ენეოლითის, არამედ საერთოდ კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლაში.

წიგნი გათვალისწინებულია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და უძველესი კულტურით დაინტერესებულ პირთათვის.

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გურანდა ფხაკაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ზურაბ ცქვიტინიძე

© ლამარა ნებიერიძე. 2003

შესავალი

მღვიმე საგვარჯილე კავკასიის პირველი მრავალფენიანი ძეგლი, გაითხარა 1951-1952 წლებში ნინო კილაძის (ბერძენიშვილი) ხელმძღვანელობით, მასში გამოვლინდა სხვადასხვა დროის კულტურული ფენები: ხუთი ფენა პალეოლითის, მეზოლითის, ნეოლითის, ენეოლითის და ჰუმუსის ფენა სხვადასხვა დროის მრავალრიცხოვანი სამარხებით (გვიანბრინჯაო, წინაქრისტიანული, ადრე და გვიანფეოდალური ხანის). კავკასიის დღემდე ცნობილი არც ერთი ძეგლიდან ფენების ასეთი სიმრავლე ცნობილი არ არის.

საგვარჯილეს თავისი უნიკალური მონაცემებით შეეძლო ეტალონური ძეგლის როლი შეესრულებინა პლეისტოცენური და ჰოლოცენური ფენების პერიოდიზაციაში. მაგრამ ამას სამწუხაროდ ხელი შეუშალა ძეგლთან დაკავშირებულმა ობიექტურმა პირობებმა: იგი უჩვეულოდ სწრაფად გაითხარა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას დანგრევა ემუქრებოდა. აგრეთვე მის ნაჩქარევ გათხრაში არ მონაწილეობდა სათანადო კადრი ქვის ხანის ძეგლების გამთხრელ-შემსწავლელი სპეციალისტებისა, რომლებიც შესძლებდნენ ამ რთული სამუშაოს მაღალ დონეზე წარმართვას. ძეგლზე ფაქტობრივად მუშაობდა ერთადერთი ქვის ხანის სპეციალისტი – ექსპედიციის ხელმძღვანელი, რომელიც საექსპედიციო საქმეების გამო ხშირად ვერ ესწრებოდა გათხრებს. ერთდროულად კი რამდენიმე უბანი ითხრებოდა, რის გამოც ძეგლი ხშირად ითხრებოდა არასპეციალისტების – მხატვრების, რესტავრატორების, ფოტოგრაფის და საველე გამოცდილების ჯერ არ მქონე ახალგაზრდა თანამშრომლების (ისიც არა სისტემატური) მეთვალყურეობის ქვეშ. რომლებმაც მიუხედავად კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა საქმისადმი და დიდი ძალისხმევისა მაინც ვერ უზრუნველყვეს მისი კვალიფიციური გათხრა და მასალის ზუსტი ფიქსირება. ამ ვითარებამ გამოუსწორებელი დაღი დაასვა ჰოლოცენური (ნეოლით-ენეოლითური) ფენების გათხრასა და მასალის აღრიცხვის ხარისხს. რა თქმა უნდა ამას ზედ ერთვოდა ძეგლის სირთულეც.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ძეგლის გათხრისას არსებული ხარვეზების მიუხედავად საგვარჯილის ენეოლითური ფენის კომპლექსი მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნების გამო დღემდე რჩება დასავლეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთ წამყვან ენეოლითურ ძეგლად.

ოთხ ათეულ წელზე მეტმა დრომ განვლო საგვარჯილის გათხრიდან, მაგრამ მისი მნიშვნელობა დღესაც განუზომლად დიდია ამ რეგიონის ენეოლითური კულტურის შესწავლის საქმეში. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს კომპლექსი კარგად გათხრილ ძეგლებზე უფრო მკაფიო და მეტყველია.

ძეგლი დღემდე გამოუქვეყნებელია. მის შესახებ არსებობს მხოლოდ ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) [4, გვ. 563-566] და ი. გძელიშვილის [2, გვ. 569-575] მცირე ინფორმაციული ხასიათის სტატიები, რომლებიც გათხრების შემდეგ წელს დაიბეჭდა. როდესაც მასალა ჯერ არ იყო კამერალურად დამუშავებული. მასში ნ. კილაძემ (ბერძენიშვილი) მოგვცა საგვარჯილეს კულტურული ფენების სავარაუდო თარი-

ღები. ზემოდან მეორე ფენა (ენეოლითური) მიკუთვნებული იყო ნეოლითისადმი. თარიღი თუმცა წინასწარული იყო და ძირითადად პირველ საველე შთაბეჭდილებას ეყრდნობოდა, იგი მაშინვე დამკვიდრდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში და შევიდა საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელოში [7, § 3 (ტაბ VI)].

სადღეისოდ უკვე საგვარჯილის ნეოლითით დათარიღებული კომპლექსი სტრატიგრაფიულ-ტიპოლოგიური ანალიზისა და შედარებითი მეთოდის მონაცემების საფუძველზე გადათარიღებულია და გვიანენეოლითის ხანით თარიღდება [3; გვ. 76-84; 5, გვ. 84-87, 108; 6, 121-126; 10-14].

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საგვარჯილის ენეოლითური ფენის კომპლექსის მონოგრაფიულ შესწავლას და პუბლიკაციას. მასალა მთლიანად შეჯერებულია საველე დოკუმენტაციასთან (საველე დღიურები, საინვენტარო დავთრები, კულტურულ ფენათა ჭრილები) კლასიფიცირებულია, აღწერილია და შედგენილია ძირითადი მასალის კატალოგი, აღდგენილია ჰოლოცენური ფენების გათხრების მიმდინარეობის სურათი. სტრატიგრაფიის აღდგენისას გამოვიყენეთ მეორე თხრილში (მეორე ფენის მე-9-16 ნიშნულების მონაკვეთი) მიკვლეული უძრავი კულტურული ფენის მონაცემები.

შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე კომპლექსი დათარიღებულია. აღნიშნული ანალიზის მონაცემებმა საშუალება მოგვცა გამოგვეყო საგვარჯილის ენეოლითური ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტში წინარე ფენებიდან შერეული ზედაპალეოლითურ-მეზოლით-ნეოლითური მასალა (ტაბულებზე ცალკეა გამოყოფილი), რომელმაც შესაძლოა გარკვეულწილად თავის დროზე კიდეც იქონია გავლენა საგვარჯილის მეორე ფენის ნეოლითურად დათარიღებაში.

მღვიმე საგვარჯილის ყველა ფენის მასალა ინახებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არმაზის არქეოლოგიურ ბაზაზე. მხოლოდ მეორე ფენის მთელი კოლექცია, კერამიკის გარდა, ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) მიერ გადაბარებული იყო ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში (კოლ. № 14-54; №1-55;). 1990 წელს არმაზის ბაზიდან საგვარჯილის მთელი დანარჩენი კოლექციების არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გადმოტანის დროს ვერ მივაკვლიეთ კერამიკულ კომპლექსს.

წინამდებარე ნაშრომი ემყარება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის განყოფილების ფონდში დაცული მასალის შესწავლას, საველე დღიურების, გათხრის ანგარიშების, თხრილების ჭრილებისა და საინვენტარო დავთრების მონაცემებს.

იმის გამო, რომ მღვიმის დიდ ნაწილში კულტურული ფენები დარღვეული აღმოჩნდა, ხოლო მასალა არაზუსტად ფიქსირებული[1] საგვარჯილის ენეოლითური ფენის (II ფენა) მასალის კატალოგის შედგენისას მაქსიმალურად გამოვიყენეთ საველე დოკუმენტაციაში არსებული სტრატიგრაფიული და ფაქტობრივი მონაცე-

[1] მასალა აღრიცხული იყო ნიშნულების ფართო დიაპაზონით. მაგ. ცალკეული ნივთის აღმოჩენის კოორდინატებად მითითებულია მე-17-35 ან მე-18-33 ნიშნულები და ამგვარად. თხრილში მასალის აღრიცხვა სიღრმეების მიხედვით საერთოდ არ მომხდარა. მეორე თხრილის ფერდობის თითოეული მასალის სიღრმე კი ზოგჯერ 1,5-3,5 მ-თაა ნაჩვენები.

მები, ხოლო მასალა იძულებული გავხდით ტიპოლოგიური პრინციპით დაგველაგებინა, სადაც ნივთის მახასიათებლებს დავურთეთ მისი საველე კოორდინატები.

მღვიმის ოსტეოლოგიური ნაშთები შეისწავლა და გამოაქვეყნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პალეონტოლოგმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა [1; 8; 9;]. მასალა ჩახატულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის განყოფილების მხატვრის დ. კრაწაშვილის მიერ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ლიტერატურა

1. ბურჩაკ-აბრამოვიჩი ნ. საგვარჯილეს გამოქვაბულის (იმერეთი) ხერხემლიანთა შესწავლისათვის. სპელეოლოგთა X სამეცნიერო სესია. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1972, გვ, 9-12.
2. გძელიშვილი ი. ,,საგვარჯილეს'' სტრატიგრაფიისათვის. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე ტ. X, 9, თბ., 1953. გვ. 569-575.
3. თუშაბრამიშვილი დ, ნებიერიძე ლ. საქართველოს ზოგიერთი ,,ნეოლითური'' ძეგლის დათარიღებისათვის. მაცნე, 4, (ისტორიის სერია), თბ., 1971. გვ. 76-84.
4. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი ,,საგვარჯილე''. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. X, 9, თბ., 1953, გვ. 563-566.
5. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972.
6. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები (გვიანი მეზოლითი-ენეოლითი), თბ., 1986.
7. საქართველოს არქეოლოგია (სახელმძღვანელო), თბ., 1959.
8. Бурчак-Абрамович Н. И. Фауна пещеры Сагварджиле в Западной Грузии (дикие животные), Тб., 1972.
9. Бурчак-Абрамович Н. И. Фауна пещеры Сагварджиле в Западной Грузии (домашние животные), Тб., 1980.
10. Формозов А. А. Неолит и энеолит Северо-Западного Кавказа в свете последних исследований, СА, №3, М., 1964.
11. Небиеридзе Л. Д. Неолитические памятники черноморского побережья Кавказа, в сб.. Материалы к всесоюзной сессии посвященной итогам полевых археологических исследований в 1965 г. в СССР (краткое содержание докладов), М., 1966.
12. Небиеридзе Л. Д. Неолит Западного Закавказья. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1967.
13. Небиеридзе Л. Д. О датировке некоторых неолитических памятников Грузии, в сб.: Материалы к всес. сессии посв. итогам полевых арх. исследований в 1966 г. в СССР (тезисы докладов), Кишинев, 1967.
14. Тушабрамишвили Д.М. Итоги работ палеолитической экспедиции квирильского ущелья (Чиатурский р-он) за 1963-1964 гг. Материалы к всесоюзной сессии посвященной арх. исследованиям в 1964 г в СССР (тезисы докладов), Баку, 1965.

თავი I

ჰოლოცენური ფენების გათხრების მიმდინარეობისა და სტრატიგრაფიის რეკონსტრუქცია

მღვიმე საგვარჯილე მდებარეობს ს. ძევრის (თერჯოლის რ-ნი) ჩრდილო ბოლოზე, მდ. ძევრულას ხეობის მარცხენა მხარეს, კვახნურის მთის ქვედა ფერდზე. მდ. ძევრულა მოედინება ნაქერალას მთის სამხრეთი კალთებიდან. ტყიბულისა და ახალსოფლის ტაფობის გამოვლის შემდეგ (იქ მას ტყიბულა ეწოდება) იგი სამხრეთით, წყალდასავალის (წინწკილა) უღელტეხილთან ებჯინება ზედაცარცის კირქვების წყებას სადაც იკარგება მის ნაპრალებსა და კარსტულ სიცარიელეებში [9, გვ. 178-180]. დაახლოებით 2 კმ გავლის შემდეგ იგი ძევრულას სახელწოდებით გამოდის სეფარეთის მთის ძირში მდებარე მღვიმე ,,ბნელი კარიდან", რომელიც საგვარჯილის პირდაპირ, ხეობის მარჯვენა მხარეს მდებარეობს (სურ. 2).

მღვიმე საგვარჯილის მახლობლად, მდ. ძევრულას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ერთვის კვახნურის მთის ერთ-ერთი მღვიმედან გამომდინარე შავი წყალი, რომელიც შაორის მთიდან მოედინება. მისგან მარჯვნივ, ხეობის ბოლოს მდებარე მეორე მღვიმედან გამოდის პატარა მდინარე ე.წ. ძევრულას თქაში (დამპალი წყალი), რომელიც შავ წყალთან ერთად საგვარჯილეს მახლობლად ერთვის მდ.ძევრულას. უკანასკნელს იქვე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, უერთდება ხევის წყალი ქვერონა. წყლებით გამდიდრებული ძევრულა სამიოდე კმ-ის შემდეგ უერთდება ჯერ მდ. ჩოლაბურს, შემდეგ კი მდ. ყვირილას.

სამი მხრიდან მთებით (სეფარეთი, კვახნური, აფიცხებული) შემოსაზღვრული და ჩაკეტილი წყალუხვი ძევრულას ხეობა დაფარული ყოფილა მუხის, წიფლის და ურთხმელის ტყეებით, ამასთანავე იარუსებად განლაგებული მრავალრიცხოვანი კარსტული მღვიმეებისა და ეხების წყალობით, იგი საიმედო ბუნებრივ თავშესაფარს და საცხოვრებლად მეტად ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენდა, როგორც ქვის ხანაში, ისე მის მომდევნო ეპოქებშიც. რისი უტყუარი ნაშთებიც აქ დღემდე ჭარბად შემოინახა. უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძევრულას ხეობა ქვედა პალეოლითიდან დაწყებული დღემდე გამოყენებულია საცხოვრებლად.[1]

სახელი საგვარჯილე მღვიმემ მიიღო გვარჯილადან, რომელსაც შეიცავდა ჰუმუსი და სტალაქტიტების ქერქი. ადგილობრივი მოსახლეობა მას დენთის დასამზადებლად იყენებდა [3].

---

[1] 1976 წელს ჩვენს მიერ მდ. ძევრულას ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების დროს მღვიმე ,,ბნელ კარში" (საიდანაც გამოდის ძევრულა), გაკეთებული საცდელი თხრილებით დადგინდა 1 მეტრის სიღრმეზე მუსტიეური ფენის არსებობა. აქ აღმოჩენილი მასალა (წვეტანები, სახოკები და სხვ.) გადავეცით საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ხანის განყოფილებას.

მღვიმე, მდ. ძევრულას წყლის დონიდან დაახ. 17 მ-ის, ხოლო ზღვის დონიდან 220 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მისი შესასვლელის სიგანე დაახ. 37 მ-ია, მაქსიმალური სიგრძე –13 მ. სიმაღლე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 22 მ აღწევს, სამხრეთ ნაწილში კი 2 მ არ აღემატება, რის გამოც გარედან მას სამკუთხედის მოყვანილობა აქვს [4] (სურ. 3).

მღვიმე კარსტულია და წარმოქმნილია ზედაცარცული ასაკის ტურონ-სენონის კირქვების ქანებში. საერთოდ ძევრულას ხეობა კარსტული პროცესებითაა გაფორმებული. ძევრულას კალაპოტიდან 8 მ, ხოლო ზღვის დონიდან 211,00 მ სიმაღლეზე განლაგებულია 40 მეტრი სიგანის კორდოვანი ტერასა, რომელიც კვახნურის მთის დამრეცი კალთის ძირს ებჯინებოდა და მღვიმის იატაკამდე გრძელდებოდა [9, გვ. 178-180] (სურ. 4).

1951 წლის აპრილში ისტორიის ინსტიტუტმა მიიღო შეტყობინება სოფ. ძევრში, ტყიბულჰესის მშენებლების მიერ კვახნურის მთის აფეთქების დროს გამოვლენილი მღვიმის შესახებ. იმავე წლის მაისში ხსენებული ცნობის შესამოწმებლად სამი დღით მივლინებული იყო არქეოლოგი ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). აღნიშნული მღვიმის დათვალიერებისას იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ეს ძეგლი არქეოლოგიურად საინტერესო არ იყო. სამაგიეროდ მას ჰქონდა აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ მიწოდებული ცნობა ძევრულას ხეობის ერთ-ერთ მღვიმეში, არქეოლოგიური მასალის არსებობის შესახებ. ამ ცნობის შესამოწმებლად ნ. კილაძეს (ბერძენიშვილი) მოუნახულებია ხეობა, მღვიმე საგვარჯილეში საინტერესო მასალა შეუკრებია, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან საინტერესო ფაქტი დაუმოწმებია, რომელიც მღვიმის აღმოჩენის ისტორიას უკავშირდება.

აღმოჩნდა, რომ 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ საგვარჯილეში ვიღაც უცხოელებს უთხრიათ. ცნობის მიმწოდებლებს უშუალო კავშირი ჰქონიათ მათთან და კარგად ახსოვდათ, რომ მათ (ოთხი დღე იმუშავეს) მრავალი კაჟი და სხვა ნაშთები აღმოაჩინეს, საფლავებიც გაუთხრიათ. თავის ქალები დანარჩენ მასალასთან ერთად გადაუტანიათ ახალსოფლის რკინიგზის ბაქანზე (ძევრიდან 10 კმ-ში) და იქიდან მატარებლით სადღაც გადაუგზავნიათ. ამ მასალის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. აღნიშნული უცხოელები ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) აზრით გერმანელი პროფესორი რ. შმიდტი და პოლონელი არქეოლოგი ლ. კოზლოვსკი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა ყოფნა საქართველოში და ქუთაისის მღვიმის გათხრა იმავე წელს ემთხვევა. ცნობილი იყო აგრეთვე, რომ რ. შმიდტმა მოწამეთის მიდამოებში სხვა მღვიმეებიც მოსინჯა და მათ უწოდა უვაროვისა და ბარათაშვილის ,,გროტები“. მაგრამ სად იყო ეს ძეგლები და მასალა, უცნობი იყო. საგვარჯილეში მუშაობისას ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) სრულიად მართებულად მივიდა დასკვნამდე, რომ ბარათაშვილის ,,გროტი“ მღვიმე საგვარჯილეა, რადგან ის კლდე, რომელშიც იგი მდებარეობს ძველად ეკუთვნოდა იქ მცხოვრებ ბარათაშვილებს და მას ახლაც ბარათაშვილის კლდეს ეძახიან [3, გვ. 41].

ძევრიდან დაბრუნების შემდეგ ნ. კილაძემ (ბერძენიშვილი) აცნობა ისტორიის ინსტიტუტის დირექციას მღვიმე საგვარჯილის აღმოჩენის შესახებ და ისიც, რომ ჰესის მშენებლობა უახლოეს ხანებში გაანადგურებდა მის კულტურულ ფენებს.

აღნიშნული გარემოების გამო 1951 წლის ივნისში ძევრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო საგვარჯილის გათხრა[2] . მუშაობის დაწყების წინ მღვიმის მთელი ზედაპირი გასუფთავდა ქვებისა და ნაყარი მიწისაგან. ფართობი დაიყო 2 მეტრიან კვადრატებად, რომლებიც შემდეგ დიდ თხრილებში გაერთიანდა. ჩრდილო და აღმოსავლეთ კედლებზე გაკეთდა 0 ხაზი (პირობითი), ორივე კი შემდეგ მიება ძევრულას ხეობაში არსებულ რეპერს, რომლის ნიშნული ზღვის დონიდან 213,56 მეტრზეა. ჰუმუსის ფენით დაფარული მღვიმის ზედაპირი დაქანებული ყოფილა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ჩრდილო კუთხეში კარსტული პროცესების შედეგად წარმოქმნილია დიდი ზომის ნიშა, რომელსაც წრის ფორმა აქვს (ზომა გათხრამდე 1,5 x 0,80 მ.). ასეთივე პატარა ნიშა, რომელიც მცირე ზომის ხვრელს წააგავს (ზომა გათხრამდე 0,4x0,3 მ) არის მღვიმის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. აღმოსავლეთ კედლის ზედაპირზე ახლაც შეიმჩნევა სტალაქტიტების კორძები.

მღვიმეში სამუშაოები საძიებო თხრილების გათხრით დაიწყო. სულ ოთხი თხრილი გაითხარა. ორი თხრილი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (ზომით 5x8 მ), ერთი ცენტრალურ ნაწილში (თავდაპირველი ზომა 8x10 მ) და ერთიც ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (ზომა: 8x8 მ).

მაშინ ექსპედიციის მიზანს შეადგენდა კულტურული ფენების ჰორიზონტალური გავრცელების საზღვრების დადგენა.

საცდელი თხრილებით გაირკვა, რომ მღვიმეში ფენების სიმძლავრე და მათი გავრცელება არათანაბარი იყო. ჰუმუსის ფენა ყველაზე სქელი ცენტრალური თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა (აქ მისი სისქე 1 მ უდრიდა).

სწორედ ამ ნაწილში ყოფილა იატაკი შემაღლებული, რომელიც როგორც აღვნიშნეთ სამხრეთისაკენ თანდათან დაბლდებოდა და მღვიმის ცენტრში 15 სმ აღწევდა. ეს ფართობი დაახლოებით 1,8x2,2 მ უდრიდა.

ცენტრალურ თხრილში ფენების შემდეგი სტრატიგრაფია დადგინდა: 1. ჰუმუსი – 0,15 მ; 2. თიხამიწა – 0,30 მ; 3. კირქვიერი ღორღის ზედა ფენა – 0,40 მ; 4. კულტურული ფენა – 0,50 მ; 5. კირქვიერი ღორღის ქვედა ფენა – 2 მ და მეტიც.

თიხნარ ფენაში შემთხვევით მოხვედრილ გვიანი დროის მასალასთან ერთად იყო აგრეთვე კაჟის იარაღები, ცხოველის ძვლები, ნახშირისა და საღებავის ნაშთები. ამ ფენას ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) პალეოლითს აკუთვნებდა. ზედა კირქვური ღორღის ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა ბრეჭიად ქცეული ნიადაგი, რომელიც ყველაზე სქელი მღვიმის ცენტრში იყო. ამ ფენის უმეტესი ნაწილი მკვრივ ბრეჭიას წარმოადგენდა, რის გამოც მისი თხრა წერაქვით არ ხერხდებოდა. მითუმეტეს შეუძლებელი იყო მისი პრეპარაცია. მხოლოდ ძალაყინებით გამხდარა შესაძლებელი (ზოგჯერ ამონალსაც იყენებდნენ) ბელტების მოხსნა-დაშ-

[2] ძევრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1951 წლის 10 ივნისიდან ხანმოკლე გათხრები აწარმოვა (20 დღე იმუშავა).

ლა და მასალის ისე გამოღება. თხრის ამგვარი მეთოდი ექსპედიციას გამართლებულად არ მიაჩნდა, რადგან გაბრექჩიებულ ფენაზე ხშირად იყო მიკოწიწებული მის ქვეშ მდებარე ფენის ნაწილიც, რაც ხშირად მასალის აღრევას და სხვა ფენების დაზიანებასაც იწვევდა. მაგრამ დროის სიმცირისა და მშენებლების მიერ კულტურული ფენების მოსალოდნელი განადგურებისაგან ნაშთების გადარჩენის მიზნით იძულებულნი იყვნენ ასე ეთხარათ. ბრექჩიის ფენის ქვეშ აღმოჩნდა კირქვიერი ღორღის მეორე ფენა (ქვედა), რომელიც 2 მეტრის სიღრმემდე გაითხარა, მაგრამ მისი ქვედა საზღვარი მაინც ვერ დადგინდა. ეს სამუშაო დიდ დროსა და სახსრებს მოითხოვდა, რაც ექსპედიციას დასაწყისში არ გააჩნდა.

გათხრების დასაწყისშივე გაირკვა, რომ მღვიმის კულტურული ფენები ძლიერ იყო დაზიანებული და ვრცელდებოდა, როგორც მის წინ მდებარე ფართობზე, ისე ფერდობზედაც. მღვიმის ზოგიერთ ნაწილში ზედა ფენები მთლიანად იყო მოხსნილი. მთელი ფართობი დაფარული ყოფილა ქრისტიანული და წინაქრისტიანული ხანის სამარხებით. ხშირად ქრისტიანული სამარხები უფრო ღრმად ფიქსირდებოდა ვიდრე წინაქრისტიანული. ზოგი სამარხი 1,90 მ სიღრმემდეც კი აღწევდა. რაც ამ დონეზე ფენების დარღვევაზე მიუთითებს. ზემოთქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გათხრების დაწყებამდე ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) მიერ მღვიმეში გაკეთებულ საცდელ თხრილს (მღვიმის უკანა კედლიდან 3 მ დაცილებით მოუსინჯავს 4x2 მ ზომის თხრილი) ადგილობრივ მცხოვრებთა დაინტერესება გამოუწვევია და მათი თვითნებური თხრის საბაბი გამხდარა. მათ მღვიმის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან ოთხი ორმო ამოუთხრიათ და კულტურული ფენები დაუზიანებიათ.

პატარა თხრილებით თხრამ დაარწმუნა ექსპედიცია, რომ ამგვარად შეუძლებელი იქნებოდა კულტურული ფენების ხასიათისა და მათი თანამიმდევრობის ზუსტი სურათის აღდგენა. ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურში აღნიშნულია, რომ ფენების გარკვევა გაძნელებული იყო თხრილების სიმცირის გამო, რომ მათ მიერ თავდაპირველად დაწყებული მცირე ზომის კვადრატებად თხრა მიზანს ვერ აღწევდა. საძიებო თხრილების საშუალებით ექსპედიციამ დაადგინა მხოლოდ, ქვის ხანის პირველი მრავალფენიანი ძეგლის აღმოჩენის ფაქტი და დასახა გეგმა შემდგომი გათხრისათვის. [7].

1952 წელს ძევრულას ხეობაში ფართოდ გაშლილმა მშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა ძეგლის დროული გათხრა. ამიტომ ისტორიის ინსტიტუტმა იმავე წლის იანვარში სასწრაფოდ მიავლინა ექსპედიცია ს. ძევრში, რომელმაც 11 თვე იმუშავა[3]. ძევრში აგრეთვე მივლინებულ იქნა სპეციალური, საველე მე-

[3] ექსპედიციის მუშაობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) – ხელმძღვანელი, გ. ცქიტიშვილი (მოადგილე), ქ. ბერძენიშვილი (არქეოლოგი), ი. გძელიშვილი (გეოლოგი), ლ. გაბუნია (პალეონტოლოგი), ე. ბარაბაძე (ლაბორანტი), თ. თოდუა (არქიტექტორი), კ. კვესი, ო. სულავა (მხატვრები), ე. კვესი, ნ. სულავა (ფოტოგრაფები), პ. ივანოვი, გ. რუსეიშვილი (რესტავრატორები). ექსპედიციაში მცირე ხნით მონაწილეობდა მაშინდელი ასპირანტი დ. თუშაბრამიშვილი, შემდეგ ქვისხანის ცნობილი მკვლევარი, მაგრამ იგი ძირითადად მუშაობდა ძევრულას ხეობის ბოლოს მდებარე ნამოსახლარ ბორცვზე, რომელზედაც საგვარჯილის ენეოლითური ფენის ანალოგიური მასალა გამოვლინდა.

თოდური კომისია, რომელმაც შეისწავლა ძეგლის მდგომარეობა და მეცნიერული მნიშვნელობა. გამოინახა სპეციალური სახსრები ძეგლის შესასწავლად, დაისახა მუშაობის გაგრძელების შემდგომი გეგმა, რამაც ძეგლის გათხრის მეთოდიც შეცვალა. ე.ი. უნდა გათხრილიყო არა მარტო მღვიმის შიდა ნაწილი, არამედ მისი წინა ფართობიც და ფერდობიც. კომისიამ საჭიროდ სცნო განიერი თხრილებით ტერასიდან გათხრის დაწყება. ასეთივე განიერი თხრილი უნდა გავლებულიყო მღვიმის შესასვლელის გასწვრივ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. მაგრამ გათხრის პროცესში ექსპედიციის ხელმძღვანელმა შეცვალა უკანასკნელი გადაწყვეტილება (ე.ი. მღვიმის შესასვლელის გასწვრივ თხრილის გავლება). იგი თვლიდა, რომ საჭირო იყო მღვიმის წინაფართობისა და ფერდობის დაკავშირება მღვიმის ჰორიზონტალურ ფენებთან. რადგან თუ წინა ფართობზე გავლებული იქნებოდა 6 მეტრი სიგანის თხრილი იგი მხოლოდ დააჩქარებდა კლდოვანი იატაკის გამოვლენას, ფენებს შორის კი კავშირი დაირღვეოდა. გარდა ამისა, მშენებლობა აჩქარებდა ექსპედიციას, რადგან სამანქანო გზას მღვიმის წინ უნდა გაევლო. ამიტომ ექსპედიციას კულტურული ფენების ნაკლებ დაზიანების მიზნით მიზანშეწონილად ჩაუთვლია მღვიმის გარედან ე.ი. ფერდობიდან ან ტერასიდან განიერი სიგრძივი თხრილებით თხრა და ფენათა თანამიმდევრობით გამოვლენა.

მღვიმის მთელი ფართობი სამ დიდ უბნად დაიყო: მღვიმის ცენტრალური ფართობი (თხრილი I), ჩრდილო ფართობი (თხრილი II) და სამხრეთი ფართობი (თხრილი III) (სურ. 13). მღვიმის ცენტრალურ ნაწილში დაიწყეს დიდი თხრილის თხრა, რომლის თავდაპირველი ზომა იყო 25x6 მ. შემდეგ ეს თხრილი გაგრძელდა აღმოსავლეთით და დასავლეთით, მიებჯინა მღვიმის აღმოსავლეთ (უკანა) კედელს, დასავლეთით ჩადიოდა ტერასის ბოლომდე ე.ი. მოიცავდა მღვიმის მთელ წინა ფართობსაც. მისი საბოლოო ზომა 40x6 მ. შეადგენდა. ამ თხრილს ეწოდა საკონტროლო (ცენტრალური) ანუ I თხრილი. ფენების სიმაღლეების სხვაობის დასადგენად და აღმოჩენათა ფიქსირებისათვის ნიველირის საშუალებით ამ თხრილის მთელი კედლის გასწვრივ, მიწის ზედაპირზე, ყოველი ერთი მეტრის დაშორებით ჩასმული იყო ნულის ხაზზე მიბმული სიმაღლეთა ნიშნულები (სურ. 6).

I თხრილში მუშაობა მიმდინარეობდა რამდენიმე უბანზე: 1. მღვიმის ცენტრალურ ფართობზე, 2. ზედა ტერასაზე, მღვიმის წინ, სადაც ფერდობი იწყება და 3. ფერდობის შუა წელზე.

I თხრილის ჩრდილოეთით გაითხარა II თხრილი, რომელიც პირველის მსგავსად დაიყო ნიშნულებიან კვადრატებად. თხრილის ზომა 40x8 მ. სტრატიგრაფიაზე თვალის გადევნების მიზნით ამ ორ თხრილს შორის დატოვებული იყო 2 მ სიგანის ჯებირი (უღელი).

ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) [2; გვ. 563] და ი. გძელიშვილის სტატიებში [1, გვ. 569] გამოქვეყნებულია I თხრილის სამხრეთი კედლის ჭრილი.

ნ. კილაძეს (ბერძენიშვილი) შეტანილი და აღწერილი აქვს მხოლოდ მატერიალური ნაშთების შემცველი ფენები. ი. გძელიშვილს კი მოცემული აქვს ჭრილის

სრული აღწერა. განსხვავებაა მხოლოდ პირობით ნიშნებში და შესაბამისად ფენათა დახასიათებაში.

ამ ჭრილებში პალეოლითური ფენები დანომრილია რომაული ციფრებით, დანარჩენი კულტურული და სტერილური ფენები კი არაბულით.

ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) პალეოლითურ ფენებს ითვლიდა ზევიდან ქვევით და გამოყოფილი აქვს ხუთი პალეოლითური ფენა. ი. გძელიშვილს კი პირიქით პალეოლითური ფენები ათვლილი ჰქონდა ქვევიდან ზევით და გამოჰყო ოთხი პალეოლითური ფენა. როგორც ჩანს მაშინვე ერთი და იგივე ჭრილის განსხვავებული წაკითხვა არსებობდა. სტატიები ერთდროულადაა დაბეჭდილი. ამ ჭრილების დედნებმა ჩვენამდე არ მოაღწია. შემოგვრჩა ჭრილების ერთი ვარიანტი (სულ 4 გრძივი და 3 განივი ჭრილი), როგორც ჩანს საბოლოო, რომელიც პირობითი ნიშნებით, ფენების ნომრებით და შესაბამისად ფენების აღწერით ოდნავ განსხვავდება გამოქვეყნებული ჭრილებისაგან. პალეოლითური ფენები ამ ჭრილებშიც ქვევიდან ზევითაა ათვლილი. მე-5 პალეოლითური ფენა ამ ჭრილში რატომღაც მე-12 ნომრადაა.

აღნიშნული გარემოება ართულებს ჭრილებზე მუშაობას. ჩვენ შევაჯერეთ სამივე ვარიანტი და ვაქვეყნებთ ჩვენამდე მოღწეულ ჭრილებს. ფენების დახასიათებას ვიძლევით შეჯერების შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით.

ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) თვლიდა, რომ ფენათა თანამიმდევრობის სრული სურათი მხოლოდ I თხრილში გამოვლინდა, რადგან იგი დედაქანამდე, 14 მ სიღრმემდე გაითხარა. სადაც წარმოდგენილი იყო კარსტული მღვიმეებისათვის დამახასიათებელი ნალექები: ჰუმუსი, ბრექჩიები, ალუვიონი, კირტუფი, თიხები, კირქვების ლოდ-ღორღნარი და როჭკი. ძირითადი ნალექების და კულტურული ფენების სისქე მხოლოდ საცდელი თხრილიდანაა აღნიშნული (სურ. 14).

ნალექების გავრცელება მღვიმეში უთანაბრო იყო: ბრექჩიის მძლავრი ფენა აღმოჩნდა მღვიმის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე, მღვიმის წინა ბაქანზე და ცენტრალური თხრილის შიდა ფართობზე. ალუვიალური ნალექები კი მხოლოდ ფერდობის ფენათა წყებაში აღმოჩნდა, რაც დასაბუთდა ფერდობზე გაკეთებული 10 მ სიღრმის შურფით. კირტუფი დალექილი იყო მღვიმის ცენტრალურ ნაწილში. ჰუმუსი და კირქვების ლოდ-ღორღნარი კი სამივე უბანზე ყოფილა წარმოდგენილი. უკანასკნელი ზოგან თიხებით იყო შევსებული, ზოგან კი მშრალ ფენას ქმნიდა, რომელიც მძლავრი აღმოჩნდა მღვიმის ცენტრალურ ნაწილში. აღნიშნული ნალექები სტრუქტურულად ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. ისინი ასაკის მიხედვით ორ გეოლოგიურ პერიოდს განეკუთვნებოდნენ – მეოთხეულს (პლეისტოცენს) და მის შემდგომ პერიოდს – ჰოლოცენს. მეოთხეულის ნალექებს შემდეგი კულტურული ფენები ეკუთვნოდა: (ქვევიდან ზევით) ზედაპალეოლითის ადრეული ეპოქის ნაშთები (გარდამავალი ქვედაპალეოლითიდან ზედაზე) – ჭრილში № 12 ფენა. მას ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) მეხუთე პალეოლითურ ფენად თვლიდა; ზედა პალეოლითის განვითარებული ეპოქის ნაშთები – ჭრილში I-IV ფენები. თავდაპირველად მეზოლითური ფენა (ჭრილი №7) ზედაპალეოლითურად

(ეპიპალეოლითი) იყო მიჩნეული და მეოთხეულ პერიოდში წარმოქმნილად ითვლებოდა. უკანასკნელ წლებში კი იგი გამთხრელმა მეზოლითურად მიიჩნია და ჰოლოცენს დაუკავშირა.

ჰოლოცენის ნალექები ჰუმუსითა და ნაცროვანი ფენებით იყო წარმოდგენილი. ამ ნალექებს უკავშირდებოდა ნეოლითისა და ენეოლითის ფენები (ჭრილებში №4 და №5) და აგრეთვე სამარხეული, სულ ზედა ფენები (ჭრილებში №1-3 ფენები).

ნეოლით-ენეოლითის ფენები მხოლოდ I-II თხრილებში გამოვლინდა, მესამე თხრილში ისინი საერთოდ არ აღმოჩენილა (სურ. 19).

სტრატიგრაფიული სურათის აღდგენა ძირითადად ხერხდება I და II თხრილების გრძივი ჭრილებით. თითო თხრილში ასეთი ჭრილი ორია-სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების, რომლებიც მოიცავენ მთელ შიდა და წინა ფართობებს. I თხრილის სამხრეთი კედლის ჭრილს აქვს აღნიშვნა I-I (სურ. 14) ; ჩრდილოეთი კედლისას – II-II (სურ. 15); II თხრილის სამხრეთი კედლის ჭრილია III-III (სურ. 16); ჩრდილოეთი კედლისა კი IV-IV (სურ. 17); არის აგრეთვე II თხრილის აღმოსავლეთ კედლის ორი განივი ჭრილი VI-VI (სურ. 19) და VII-VII (სურ. 18); ჭრილი V-V – მესამე თხრილის განივი ჭრილია (სურ. 19).

აღნიშნული ჭრილების განხილვამ გვიჩვენა, რომ ყველა მათგანში I ფენა წარმოდგენილია მორუხო-მონაცრისფრო ქვიშნარით, არაერთგვაროვანი კირქვის ღორღისა და როჭკის ჩანართით, წინაქრისტიანული, ადრე და გვიანფეოდალური ხანის სამარხებით. ამავე ფენაში აღმოჩნდა პალეოლითისა და ნეოლით-ენეოლითის ნაშთები. მღვიმის შიდა ფართობის ჰუმუსი (საშუალოდ 80 სმ სისქისა) ვრცელდებოდა წინაფართობზეც. ფერდობზე იგი სტრუქტურულად იცვლებოდა და მღვიმის უკანა კედლიდან დაახლოებით 17 მეტრის დაცილებით (დასავლეთის მიმართულებით), მღვიმის წინაფართობზე ისოლებოდა და გადადიოდა მოშავო თიხებში კირქვის ღორღის ჩანართით, რომელიც ფერდობის ბოლომდე ჩადიოდა. ჭრილში ფერდობის ჰუმუსური ფენა შუაზეა გაყოფილი და აქვს ორი ნომერი 2 და 3 მაგრამ სტრუქტურულად ისინი ერთია. № 3 – ტერასის კორდოვანი ფენაა, რომელშიც ნაპოვნი იყო ქვევრსამარხი და ორმოსამარხები. მღვიმის ცენტრალური და სამხრეთი ფართობი მოგვიანო ეპოქებში აგრეთვე გამოყენებული ყოფილა სამაროვნად.

I თხრილის სტრატიგრაფიული მონაცემები წინა ფართობისა და ფერდობის ფენათა ურთიერთობის გასარკვევად ნ. კილაძეს (ბერძენიშვილი) არ მიაჩნდა მყარ დასაყრდენად. იგი თვლიდა, რომ ანთროპული ფაქტორის ზეგავლენით მათ შორის კავშირი დარღვეულია [3, გვ. 41].

ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) შეხედულება საგვარჯილის ფენათა დაცულობის შესახებ ანგარიშებში და დღიურებში სხვადასხვაა. ზოგან იგი აღწერს ფენების ძლიერი რღვევის სურათს, ზოგან კი აღნიშნავს, რომ მეორე კულტურული ფენა ძირითადად უძრავ მდგომარეობაში იყო დაცული. ასევე თვლიდა იგი, რომ მღვიმის შიდა ფართობის სამივე თხრილში, პალეოლითის ხუთი კულტურული

ფენა უძრავი იყო. მხოლოდ მღვიმის წინაფართობზე იყო დაშლილი პირველი პალეოლითური ფენის ნაწილი. [2, გვ. 563]. თავის სტატიაში ავტორი აღნიშნავს, რომ მღვიმის შიდა ფართობზე ასამდე სამარხი გამოვლინდა, რამაც მთლიანად დაშალა და აჰყარა ზედა კულტურული ფენები და გამოიწვია სამარხებში და ფენაში პალეოლითური და ნეოლითური ნაშთების შერევა [2, გვ.565]. უკანასკნელს კარგად ასაბუთებს მასალის აღმოჩენის ვითარება და ძეგლის თხრის ობიექტური სურათი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ფერდობის ფენები უკავშირდებოდნენ მღვიმეში დალექილ ფენებს. ნეოლითური ფენა ვრცელდებოდა მღვიმეში და ასევე მთელ ფერდობზე. მღვიმის შიგნით და წინა ფართობზე იგი განადგურებული იყო ენეოლითისა და მოგვიანო ხანებში, ფერდობზე კი შემორჩა და მას დაემატა მღვიმედან გადმოადგილებული ენეოლითური ფენა.

წინა ფართობისა და ფერდობის ფენათა ურთიერთკავშირის დარღვევა I თხრილში კარგად შეუმჩნევია ნ. კილაძეს (ბერძენიშვილი) საველე დაკვირვებისას [3, გვ. 41]. თავის საველე დღიურში იგი აღნიშნავდა, რომ I თხრილის ვერტიკალურ ჭრილში აშკარად ჩანდა, რომ ენეოლითელ ადამიანს ჩაუჭრია და მღვიმის წინ 6 მეტრი სიგანის ვერტიკალური კედელი შეუქმნია. იგივეს მოწმობს I და II თხრილების ჭრილების ურთიერთშედარება.

I ჭრილიდან ისე ჩანს, თითქოს მე-5 ფენა მოქცეულია მე-4 ფენის ქვეშ და ისინი ერთიმეორის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდნენ (სურ. 14). სინამდვილეში კი ნ. კილაძის (ბერძენიშვილი)საველე დაკვირვებამ და II თხრილის ჭრილებმა, სადაც შედარებით უძრავი ფენები იყო შემონახული ეს არ დაადასტურა. II თხრილის ჭრილებმა საწინააღმდეგო სურათი გვიჩვენეს, კერძოდ, მე-5 ფენა ძევს ან გადადის ფერდობის მე-4 ფენაზე (სურ. 16, 17). გამთხრელი საავსებით მართებულად თვლიდა, რომ მე-5 ,,ჩაჭრილი'' თუ ,,შეჭრილი'' იყო წინარე ფენებში [3, გვ. 41].

I და II თხრილები გაითხარა ფერდობის ფენებთან ერთად. I თხრილი დაყვანილი იყო დედაქანამდე, მაგრამ მასალის ფიქსირება სიღრმეების მიხედვით არ მომხდარა.

II თხრილის ფერდობის ფენები გაითხარა მხოლოდ 3 მ სიღრმემდე, მღვიმის აღმოსავლეთ ნაწილში კი 6 მეტრამდე დავიდნენ. სიღრმეების აღრიცხვა ამ თხრილში ხდებოდა ყოველ 10-15 სმ-ზე (ბარის პირით). შესაბამისად მთელი ფენა დაყოფილი იყო პირობით ,,ჰორიზონტებად''. I ,,ჰორიზონტი'' იწყებოდა 1,5 მ სიღრმეზე, ე.ი. იმ სიღრმიდან საიდანაც იწყებოდა სავარაუდო უძრავი ფენა. სულ გაითხარა 19 ,,ჰორიზონტი'' (ბარის პირი) ე.ი. დაახლოებით 2 მეტრი სისქის ფენა. გამთხრელი თვლის, რომ გათხრილი ფენის მაქსიმალური სისქე იყო 3,5 მ. მღვიმის წინ მდებარე დაახ. 4 მ სიგრძის ფართობზე მასალა პრეპარაციითაა გამოვლენილი. ამ ჰორიზონტზე აღმოჩენილი ყოველი ნივთის კოორდინატები ფიქსირებულია.

ჰუმუსის ფენის ქვეშ გამოვლინდა მე-2 კულტურული ფენა (ენეოლითური), რომელიც საგვარეულოს სტრატიგრაფიულ ჭრილებში აღნიშნულია №5-ით. სტრუქტურულად იგი წარმოადგენდა მონაცრისფრო თიხნარს კირქვის ღორღისა და ნახშირის ნამცეცების ჩანართით. I თხრილის წინაფართობზე მისი სისქე დაახ. 2,70 – 3 მ უდრიდა იგი ოდნავ გადადიოდა ფერდობზე, შემდეგ კი ისოლებოდა, რაც კარგად ჩანს აღნიშნული ჭრილებიდან.

II თხრილში II კულტურული ფენა დაცულობის მხრივ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი კარგად შემოინახა შიდა და წინაფართობზე, კერძოდ ჩრდილო-დასავლეთ ფართობსა და ფერდობზე. განსაკუთრებით კი იმ ნაწილში, რომელიც ძველად მღვიმის თაღის ქვეშ იყო მოქცეული. შემდეგ კი ჭერის ჩამონგრევის გამო ფენები კირქვიერი ღორღის ფენით დაფარულა. ამ ნაწილის გადარჩენა სწორედ ამ შემთხვევას უნდა განეპირობებინა, ლოდ-ღორღნარში სამარხის გაჭრა სასურველი არ უნდა ყოფილიყო.[7, №2. №3; 8].ამის გამო ყველაზე მკაფიო სტრატიგრაფიულ სურათს II თხრილის ჩრდილოეთი (IV) და სამხრეთი (III) კედლების ჭრილები იძლევა.

ჭრილები გვიჩვენებენ, რომ II ფენა შიდა ფართობზე შედარებით თხელი ყოფილა (იხ. IV ჭრილი) და დაახლოებით მისი სისქე 25-27 სმ შორის მერყეობდა. მღვიმის წინაფართობზე იგი საგრძნობლად იზრდებოდა და დაახლოებით 2,70 მ აღწევდა, შემდეგ ფერდობის მიმართულებით ისევ თხელდებოდა და მღვიმის უკანა კედლიდან დაახლ. 25 მეტრის დაშორებით ისოლებოდა. იგივე ფენა სამხრეთ ნაწილშიც (სიგანეში) თანდათანობით 3 მეტრის შემდეგ მთლიანად წყდებოდა[4] (იხ. ჭრილი III), რის გამოც მღვიმის ამ ნაწილში ეს ფენა წინაფართობსა და ფერდობზე ჭრილში არ გამოისახა. II ფენიდან მომდინარეობდა ენეოლითური მასალა, რომლის ზედა ჰორიზონტში ნაპოვნი იყო ადრეული მტკვარ-არეზული კერამიკა.

II თხრილის ჩრდილო უბანზე კარგად გამოიკვეთა ფენათა მონაცვლეობა. ამ თხრილის ჩრდილო კედლის IV ჭრილიდან კარგად ჩანს, რომ ფერდობზე ჰუმუსის ქვეშ იდო სტრუქტურულად განსხვავებული ფენა (ჭრილი IV), რომელიც წარმოდგენილი იყო მოყავისფრო თიხნარით კირქვიერი ღორღის ჩანართით. იგი გრძელდებოდა ფერდობის შუა წელამდე და შემდეგ ისოლებოდა. მას ქვეშ მიუყვებოდა კირქვის ღორღნარი თიხნარის შევსებით და მეზოლითური ნაშთებით (ჭრილი № 7).

ფერდობის ფენებს გამთხრელი მეორედ გადალექილად თვლიდა. რა თქმა უნდა ამ ფენაში შეიმჩნეოდა მღვიმედან გადმოადგილებული, დიდძალი ენეოლითური მასალა, მაგრამ ფერდობზე მკვიდრი კულტურული ფენებიც უნდა არსებულიყო, რასაც მოწმობს მასში კერებისა და ორმოების აღმოჩენა.

---

[4] მონაცემები გამოანგარიშებულია ჭრილების მიხედვით.

II თხრილის ჭრილებიდან (IV-III) გარკვეულად ჩანს, რომ ენეოლითელების ძირითადი საცხოვრებელი ყოფილა მღვიმის შიდა მოედანი და ჩრდილო-დასავლეთი ფართობი. აქ დადასტურდა ნასახლარის ნაშთი. ორ სხვადასხვა დონეზე გამოვლინდა წითლადგამომწვარი თიხატკეპნილი იატაკები (IV ჭრილი № 6). ისინი ერთმანეთის თავზე მდებარეობდნენ. მეორე იატაკი დაახ. 25 სმ-ით უფრო ღრმად იდო პირველზე. ზედა იატაკი მდებარეობდა მე-11-13 ნიშნულებს შორის და 3 მეტრი სიგრძის ფართობი ეჭირა, ქვედა კი მე-10-15 ნიშნულებს შორის და შემონახული იყო 5 მეტრის სიგრძეზე. ზედა იატაკში გამართული ყოფილა თიხის წრიული, 80 სმ დიამეტრის მქონე საკულტო კერა (ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) მიხედვით ,,სამსხვერპლო''), ენეოლითურ მასალასთან ერთად (მის შესახებ იხ. საკულტო რიტუალებისადმი მიძღვნილი III თავი).

როგორც აღინიშნა, მღვიმის შიგნით ენეოლითური ფენა დიდ ნაწილში მოშლილი იყო. ამიტომ საგვარჯილის სტრატიგრაფიის კვლევისას მთავარი ყურადღება ეთმობოდა მღვიმის ჩრდილო უბანს და იქ მოპოვებულ მასალას.

საველე მონაცემებიდან ჩანს, რომ ენეოლითური ფენა II თხრილის ამ ნაწილში მე-20 ნიშნულამდე ვრცელდებოდა. მასალის აღრიცხვა სიღრმეების მიხედვით მომხდარა მხოლოდ მე-9-16 ნიშნულებს (კვადრატები) შორის. ე.ი. სულ 7 მ სიგრძის ფართობზე. 19 ,,ჰორიზონტიდან'' ნაშთების შემადგენლობით ყველაზე მძლავრი მე-11, მე-15 და მე-19 ,,ჰორიზონტები'' ყოფილა. მასალა თანაბარი რაოდენობითაა აღმოჩენილი 1, 3, 4-10 ბარისპირებზე. მე-12-ზე კი სულ ხუთიოდე ნივთია ნაპოვნი.

მე-15 და მე-16 ნიშნულებთან გამოიკვეთა ორი ორმო შევსებული ჰუმუსითა და ხის ნაშთებით. ეს ორმო ჩაჭრილი ყოფილა ფერდობის II ფენაში (ჭრილი IV), მოყვითალო თიხნარში, რომელიც სტრუქტურულად პლეისტოცენის წარმონაქმნია (იხ. IV ჭრილის მე-14-16 ნიშნულების მონაკვეთი). ორმოების ძირები ეფუძნება მის ქვეშ მდებარე მეზოლითის ფენას (ჭრილი № 7).

ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) თვლიდა, რომ საგვარჯილეში იყო ორი ნეოლითური ფენა (ჭრილებში № 5 და № 4) . ამავე დროს მიიჩნევდა, რომ აქ იყო აღმოჩენილი ნეოლითის სხვადასხვა საფეხურის კომპლექსები და ნეოლითის ზედა ჰორიზონტიდან მომდინარე ენეოლითის ხანის მასალა, რომელიც ჭრილში არ გამოისახა, ამ ფენის სტრუქტურული ერთგვაროვნების გამო. აღნიშნული მოსაზრება გამოთქმული იყო იმ დროს, როდესაც მტკვარ-არეზის კულტურა მთლიანად ენეოლითურად ითვლებოდა.(იხ. ანგარიშები და დღიურები).

როგორც ჭრილებისა და მასალის დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, ჩვენ აქ საქმე გვქონდა არა ორ ნეოლითურ ფენასთან, არამედ სტრუქტურულად განსხვავებულ ფერდობის ნეოლითურ ფენასთან (მე-4 ფენა) ენეოლითური მასალის ჭარბი მინარევით და მღვიმის ენეოლითურ (ჭრილში მე-5) ფენასთან, რომელიც ჩაჭრილი იყო ნეოლითურ ფენაში. ისინი ჭრილებში კარგად გამოისახა ორი განსხვავებული ფიზიკური ფენის სახით. ამიტომ იყო, რომ ჭრილების შემდგენელმა

გეოლოგმა და არქეოლოგმა ი. გრძელიშვილმა ისინი სხვადასხვა პირობითი ნიშნებით აღნიშნა, ხოლო თავისი გამოქვეყნებული ჭრილის აღწერაში მე-5 ფენას, რომელსაც ნ. კილაძე (ბერზენიშვილი) ნეოლითურად მიიჩნევდა კითხვის ნიშანი დაუსვა.

აქ კიდევ ერთხელ გვინდა შევნიშნოთ, რომ ფერდობის აღნიშნულ ფენაში ჭარბად იყო შერეული ენეოლითური მასალა, ისევე როგორც მღვიმის ენეოლითური ფენის ქვედა ჰორიზონტში, მრავლად იყო შერეული ნეოლითური და მეზოლით-პალეოლითური მასალები, რომელთა გამოყოფა ტოპოლოგიურად ადვილად ხერხდება.

გამთხრელს ზემოაღნიშნული დასკვნის გამო, ნეოლითურად მიჩნეული ორივე ფენის კომპლექსები ფიზიკურად ერთმანეთისაგან არ გაუთიშავს და არც მასალა დაფიქსირებულა ცალ-ცალკე. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ნეოლით-ენეოლითური ფენების, როგორც ტიპოლოგიური, ისე სტრსტიგრაფიული გამიჯვნა.

რაც შეეხება ,,ნეოლითის'' ზედა ჰორიზონტებში მოხსენიებულ მასალას იგი არის ენეოლითური ფენის ზედა დონიდან მომდინარე ნაშთები, რომლებიც წარმოდგენილი იყო მტკვარ-არეზის კულტურის ადრეული კერამიკით (ხიზანაანთ გორის დონე), დასავლური ენეოლითური ხანის კერამიკის ფრაგმენტებით და მცირეოდენი ქვის მასალით.

ბოლოს გვინდა შევეხოთ ჭრილებში მღვიმის ჰოლოცენური ფენების დანომრვის საკითხს, რაც ხშირად გაუგებრობას და ფენების აღრევას იწვევს. ჰუმუსის ფენა მღვიმის შიგნით და ფერდობზე სამ ნაწილადაა გაყოფილი და სამი ნომერი უზის (№1, №2, №3). საგვარჯილეს კულტურულ ფენათა სვეტში ენეოლითური ფენა ფიზიკურად და კულტურულად ზემოდან მეორეა და არქეოლოგიურ ლიტერატურაში მეორე ფენის სახელწოდებითაა შესული. მღვიმეში იგი განლაგებული იყო შიდა და წინა ფართობზე და ნაწილობრივ გადადიოდა ფერდობის დასაწყის მონაკვეთზე. ჭრილებში იგი მე-5 ნომრადაა, ხოლო ფერდობზე დაფენებულ, ზემოდან მეორე ფენას აქვს ნომერი 4.

ფენების დანომრვა I თხრილის მიხედვით (ზევიდან ქვევით) იყო გაკეთებული. შიდა ფართობისა და ფერდობის ფენათა ურთიერთობის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ ფენათა კავშირი დარღვეული იყო ანთროპული ფაქტორის წყალობით, რის გამოც იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ფერდობის მეორე ფენა უფრო ზემოთ იდო ვიდრე მღვიმის შიგნით მდებარე II ფენა. ამის გამო მღვიმის შიდა ფენა მეხუთე ნომრით დაინომრა, ფერდობის ფენა კი მე-4 ნომრით. შემდგომ II თხრილის გათხრისას გაირკვა, რომ მღვიმის II ფენა (ჭრილში № 5) ფერდობის ზედა ნაწილში ფარავდა ფერდობის II ფენას (ჭრილში № 4) და მასზე მაღლა იდო. ამასვე მოწმობდა მე-5 ფენიდან მე-4 ფენაში ჩაჭრილი ორი ორმო (ჭრილი IV). აღნიშნულის გამო, II თხრილის გათხრის შემდეგ ი. გძელიშვილმა მის მიერ შედგენილ და გამოქვეყნებულ ჭრილში შეცვალა ფენათა ნუმერაცია და ეს ფენები შებრუნებით დანომრა. საბოლოო ჯამში მივიღეთ, რომ ორ გამოქვეყნებულ ჭრილში (კილაძისა და გძელიშვილის) ენეოლითური ფენა სხვადასხვა ნომრით ფიგურირებს.

ჩვენი აზრით, უფრო ლოგიკური იქნებოდა, ზედა, მეორე ჰოლოცენური ფენა ყოფილიყო № 2, ქვედა კი № 3.

საგვარჯილეს გათხრის დროს არ მოხერხდა II ფენაში ფიზიკური თუ კულტურული ჰორიზონტების გამოყოფა, რადგან სტრუქტურულად და შეფერილობით იგი ერთგვაროვანი იყო. მღვიმის ფენებს შორის II ფენა ყველაზე მძლავრი აღმოჩნდა. თუ პლეისტოცენის ფენები ძირითადად მღვიმის ფარგლებში და განსაკუთრებით მის უკანა ნაწილში ვრცელდებოდა, ჰოლოცენური ფენები მღვიმის გარეთ წინაფართობზე და მღვიმის წინ მდებარე ფერდობზე გადადიოდა. კერები და ორმოები აღმოჩენილი იყო, როგორც მღვიმის შიგნით, ისე წინა მოედანზე და ფერდობზე.

II ფენის საერთო სიმძლავრეს გამთხრელის დღიურებსა და ანგარიშებში სხვადასხვა მონაცემები აქვს. ზოგან აღნიშნულია, რომ ფენა მღვიმის წინა ფართობის ჩრდილოეთ მონაკვეთში გათხრილია 3,5 მ სიღრმემდე, ზოგან კი ამავე მონაკვეთზე 3,1 მ-ია ნაჩვენები. ჭრილების მიხედვით ფენების გაზომვამ კი გვიჩვენა, რომ მისი მაქსიმალური სისქე 2,70 მ ყოფილა. ჩანს, რომ გათხრისას წინარე ფენები საკმაოდ დიდ სიღრმეზე ჩაუჭრიათ. ამას ადასტურებს, როგორც სტრატიგრაფიული მონაცემები, ისე ამ ფენის ქვედა დონის კოლექციაში მოხვედრილი ადრეული მასალის ხასიათი. აღნიშნული ადრეული მასალა შერეულა II ფენის ქვედა დონის (იატაკების ქვეშ მდებარე) ძირითად ენეოლითურ ნაშთებთან, რომელიც ტიპოლოგიურად მისგან მკვეთრად განსხვავდება. რა თქმა უნდა II ფენის ქვედა ნაწილში მასალის ამგვარი აღრევა არ უნდა მიეწეროს მარტო გათხრის ხარვეზებს. იგი ნაწილობრივ განპირობებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე, როგორც ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) თვლიდა ენეოლითის ეპოქაში წინარე ფენების ჩაჭრითაც.

ამგვარად, აღნიშნული გარემოებების შედეგად მივიღეთ, რომ II ფენის ქვედა დონის კოლექციაში გვაქვს მასალის ორი ქრონოლოგიურად განსხვავებული კომპლექსი: ენეოლითური (ძირითადი) და მისი წინარე-ნეოლითური და მეზოლით-პალეოლითური ფენებიდან მომდინარე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, იმის გამო, რომ გამთხრელის მიერ II ფენა 3,5 მ თუ 3,1 მეტრის სისქის ნეოლითურ ფენად იყო მიჩნეული, მისი წინარე ფენა ეპიპალეოლითისადმი (მეზოლითი) იყო მიკუთვნებული. თუმცა თავის დღიურში იგი გაკვირვებული აღნიშნავდა, რომ ამ ეპიპალეოლითურ ფენაში ისევ ჩნდებოდა კერამიკა და მცირე ზომის, დაუხვეწავი ფორმის კაჟის ისრის წვერები. ცხადია, წინარე ფენა იყო ნეოლიური კერამიკიანი, თითო-ოროლა ადრეული ფორმის ისრისწვერებით. როგორც შესავალში აღვნიშნეთ წინარე ფენების მასალას უნდა განეპირობებინა II ფენის ნეოლითური თარიღი.

მღვიმე საგვარჯილის სტრატიგრაფია და მასალების ხასიათი გვიჩვენებს, რომ II ფენა უშუალოდ იყო დაფენებული მის ქვეშ მდებარე ნეოლითურ ფენაზე და ფაქტობრივად მის გაგრძელებას წარმოადგენდა.

ლიტერატურა

1. გძელიშვილი ი. ,,საგვარჯილეს'' სტრატიგრაფიისათვის. საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, XIV, 9, თბ., 1953, გვ. 569-575.
2. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი ,,საგვარჯილე''. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე XIV, 9, თბ., 1953, გვ. 563-566.
3. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. საგვარჯილეს აღმოჩენისა და გათხრის ისტორია. (ხელნაბეჭდი). ინახება აკც-ის ქვისხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
4. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. არქეოლოგიური დაზვერვები სოფ. ძევრში. ექსპედიციის ანგარიში (ხელნაბეჭდი). ინახება აკც-ის ქვისხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
5. კილაძე ნ. (ბერძენიშვილი) ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის 1952 წლის გათხრის შედეგები (ხელნაბეჭდი). ინახება აკც-ის ქვისხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
6. კილაძე ნ. (ბერძენიშვილი) მღვიმე საგვარჯილის გათხრების საველე დღიური № 1(12\ IV-1952) ინახება აკც-ის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში
7. კილაძე ნ. (ბერძენიშვილი) ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიურები №II, №III, №IV–1952. ინახება აკც-ის ქვისხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
8. კილაძე ნ. (ბერძენიშვილი) ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური №5-1952. ინახება აკც-ის ქვისხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
9. Джанелидзе А. И. Геологические наблюдения в Окрибе. Тб., 1940.

თავი II

ნივთიერი მასალა

§1. ქვის ინდუსტრია

მღვიმე საგვარჯილის ენეოლითური ფენის ნივთიერი ნაშთების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ დასავლეთ საქართველოს პრეისტორიის ამ უძველესი საფეხურის კულტურული იერის შესახებ.

საგვარჯილის II ფენის (ენეოლითური) მატერიალური კულტურა წარმოდგენილია კაჟისა და ქვის სხვადასხვა ქანების მეტად თავისებური ინდუსტრიით, მრავალრიცხოვანი სამეთუნეო ნაწარმით, ძვლისა და რქის იარაღებით, ნაირგვარი სამკაულებით, ლითონის იარაღებით და სხვა არტეფაქტებით.

მასალის რაოდენობის მიხედვით საგვარჯილის ფენათა შორის II ფენა ყველაზე მდიდარია. მის შესწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ იმის გამო, რომ მისგან მომდინარეობს ყველაზე დიდი და მრავალფეროვანი ენეოლითური კოლექცია დასავლეთ ამიერკავკასიის ცნობილ სინქრონულ მღვიმურ ძეგლებს შორის. მასში სულ 8890 ნივთია აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების, ცხოველთა ძვლებისა და ნიჟარების ჩაუთვლელად (იხ. ცხრილი 1)[1].

მღვიმური ენეოლითური ძეგლების ქვის ინდუსტრიის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ წინამორბედი პერიოდიდან მომდინარე ამ კულტურის ადგილობრივი ფესვები, რომლებმაც განვითარება განაგრძეს ენეოლითის ხანაში. აღნიშნული საკითხის კვლევა პირდაპირ კავშირშია მღვიმური ენეოლითის წარმომავლობის პრობლემასთან. ამავე დროს ქვის ნაწარმის გამოწვლილვითი შესწავლა, მისი წამყვანი იარაღების ტიპოლოგიური და ფუნქციური ნიშნების გამოკვეთა, შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ ამ ინვენტარის საწარმოო მნიშვნელობა იქ მცხოვრები ენეოლითური ტომების მეურნეობაში.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ II ფენის კაჟის მასალის ხასიათი სხვადასხვა დონეზე სხვადასხვაა. ქვედა დონეზე აშკარად შეიმჩნევა წინარე ეპოქების მასალის შერევა.

ტაბულებზე მოტანილი ნივთიერი მასალა[2] მკაფიოდ ცხადჰყოფს განსხვავებას ენეოლითური და წინარე ფენების (ტაბ. XXVII-XXIX) ქვის იარაღების ფორმებსა და დამუშავების ტექნიკაში.

ადრეული კომპლექსი წარმოდგენილია მეზოლით-ნეოლითური და ზოგჯერ გვიანზედაპალეოლითური მასალით. მასში გვხვდება ვიწრო, სწორწახნაგა და-

---

[1] ცხრილში მოცემულია II ფენის ქვის მთელი მასალა, რადგან იგი უკეთ ასახავს კოლექციის ხასიათს და სტატისტიკურ სურათს.

[2] საგვარჯილის II ფენის ნივთიერი მასალა (კერამიკის გარდა) ინახება ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში კოლ. №14-54; № 1-55;

ნისებური ლამელები, ლამელების განივკვეთები-ჩასართები, მეზოლითური იერის ნუკლეუსები დამრეცი დარტყმის სიბრტყით და მიკროლითური ლამელების ატკეცვის კვალით, მიკროიარაღები – გრავეტის ტიპის დანები და წვეტანები (ტაბ. XXIX, 6, 10-13, 20-23), ასიმეტრიული სამკუთხედები (ტაბ. XXIX, 2-4), სახვრეტები (ტაბ. XXIX,16-17, 21), გვერდრეტუშიანი დანები (ტაბ. XXIX, 9), დახვეწილი ფორმის კიდურა საფხეკები (ტაბ. XXVII, 1-4), დიდი ნაწილი კი ნაკეთებია მოკლე, განიერ ლამელებზე (ტაბ. XXVII, 22-23), საჭრისები დამზადებულია ვიწრო, დანისებური ლამელების გვერდებზე – გვხვდება კუთხის, სწორი, ირიბი და თავრეტუშიანი ცალები. არის კაჟის ერთი არაწესიერი ტრაპეციისმაგვარი ფორმის იარაღი (ტაბ. XXVIII, 17). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენეოლითურ ფენაში ადრეული მასალის შერევა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ ენეოლითური ნამოსახლარის მცხოვრებთა მიერ საცხოვრებლისა და სამეურნეო ორმოების მოწყობის დროს წინარე ფენების ჩაჭრით, ნაწილობრივ კი გათხრების ხარვეზებით. ჭრილების მიხედვით კულტურული ფენის გაზომვამ გვიჩვენა, რომ II ფენის მაქსიმალური სისქე 2,7 მ-ია. კოლექციაში მოხვედრილი ადრეული მასალის დიდი ნაწილი კი 2,7-3,5 მ სიღრმეებიდან მომდინარეობს. აშკარაა, რომ ჩაჭრილია წინარე ფენები.

კოლექციაში არსებული ტიპიური გვიანზედაპალეოლით-მეზოლითური მასალა – ასიმეტრიული სამკუთხედები, გრავეტის ტიპის დანები და წვეტანები უკვე გვიანნეოლითშიც კი აღარ გვხვდება გადმონაშთის სახით. აღნიშნული კაჟის ნაწარმი პირდაპირ ანალოგებს პოულობს მეზოლით-გვიანზედაპალეოლითურ კომპლექსებში.

ამგვარად, II ფენის კოლექციაში წინარე ფენების მასალის შერევა დასტურდება, როგორც სტრატიგრაფიულად, ისე ტიპოლოგიურად.

ამ პარაგრაფში ზოგადად დავახასიათებთ საგვარჯილის ენეოლითური ფენის ქვის ინდუსტრიას, გამოვყოფთ ენეოლითური ნაწარმის დამახასიათებელ ნიშნებს, მის შემადგენელ კომპონენტებს და შევუდარებთ მათ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითური ძეგლების ქვის დამუშავების ტექნიკის თავისებურებებსა და იარაღთა წამყვან ფორმებს.

II ფენის ენეოლითური ქვის ინვენტარი თავისი შედგენილობით განსხვავდება დასავლეთ საქართველოს, როგორც ნეოლითური ძეგლების ქვის ნაწარმისაგან, ისე თვით საგვარჯილის ამავე ფენის ქვედა დონის ქვის ადრეული და წინარე ფენების კომპლექსებისაგან.

იარაღების დასამზადებელ ნედლეულად საგვარჯილის ენეოლითური ნამოსახლარის მცხოვრებნი ძირითადად ადგილობრივ კაჟს და რიყისქვის სხვადასხვა ქანებს იყენებდნენ. შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა ობსიდიანი, ბაზალტი, სერპენტინი, არგილიტი და სხვა ქანები. ობსიდიანის მასალაში არის რამდენიმე წითელძარღვიანი ნიმუში, რაც მის სამხრეთ საქართველოდან წარმომავლობაზე მიუთითებს.

მდ. ძევრულას ხეობის მიდამოები მდიდარია ტურონ-სენონის კაჟის ქანების გამოსავლებით. ისინი კარგად შეიმჩნევა მდინარეთა ხეობების გაშიშვლებებში ფილების სახით. პირველყოვლისა კი, როგორც ჩანს იყენებდნენ ძევრულას ხეობის კირქვიანი ფერდობებიდან და მდინარეთა კალაპოტებიდან მომდინარე კაჟის კონკრეციებს, რომლებიც ნაპოვნი იყო, როგორც კულტურულ ფენაში, ისე ზედაპირულად საგვარჯილის მიკრორაიონში. კაჟის მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი პირველადი დამუშავება ძირითადად ბუდობის ადგილზე ხდებოდა. ნამოსახლარზე ნახევარფაბრიკატები მოჰქონდათ. ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების დასამზადებლად ძირითადად გამოიყენებოდა მდინარეთა ნაპირებზე არსებული ქვის სხვადასხვა ქანები.

საგვარჯილის II ფენაში სულ აღმოჩენილი იყო 8458 ერთეული ქვის მასალა. მათგან 8057 ერთეული კაჟისაა, 265 – რიყის ქვის, 136 – ობსიდიანის. კაჟის მასალაში 643 იარაღია, 7414 ერთ. – წარმოების ნარჩენი. იარაღების საერთო რაოდენობაში დაახ. 190 ერთ. ადრეული, წინარე ფენების მასალაა. წარმოების ნარჩენების სიუხვე მიგვითითებს იარაღების დასამზადებელი სახელოსნოს არსებობაზე ნამოსახლარის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ საგვარჯილის კოლექციაში არის ჩიხორის ნამოსახლარის მაგვარი – ხორცისფერი, ვარდისფერწინწკლებიანი კაჟი. შესაძლოა ეს ნიმუშები ერთი ბუდობიდან მომდინარეობდნენ.

კაჟის კაჭრების გათლა და საიარაღე ნამზადების – ლამელებისა და ანატკეცების ატკეცვა ხელკვერების საშუალებით ხდებოდა. მათ მოგრძო ან ოვალური ფორმა და დაჩეჩქვილი ბოლოები აქვთ.

ნუკლეუსებიდან ატკეცილი ნამზადების იარაღებად გაფორმება-ჩამოყალიბება ხდებოდა რეტუშით რეტუშორების საშუალებით. ამ მიზნით გამოიყენებოდა მოგრძო სამწახნაგა ანატეხები ან მასიური ლამელები, რომლებსაც წვერზე და გვერდებზე გამოყენების კვალი ემჩნევა.

ენეოლითური ნუკლეუსები ფორმით და დამზადების ტექნიკით ახლოსაა ნეოლითურთან. ისინი მზადდებოდა კაჟის მასიური ნატეხებისაგან, ბირთვისებური კონკრეციებისაგან ან მდინარეული კაჟის ქვარგვალების გათლით. ნუკლეუსების უმეტესობა უხეშადაა ნაკეთები, ხშირად ამორფულია (30 ც.), არ ემჩნევათ დარტყმის სიბრტყე რის გამოც მათი თავდაპირველი ფორმის გარკვევა ჭირს. მათ შორის არის კონუსური და პრიზმული ფორმები, გვხვდება ცალგვერდაც (ზომები 3-8 სმ-დე მერყეობს). როგორც წესი მათზე დარტყმის სიბრტყე კეთდებოდა ჰორიზონტალური, ნაპირებიდან მიყენებული გარდიგარდმო ატკეცვით, რისი მაჩვენებელიცაა კოლექციაში არსებული განივი ანატკეცები. დარტყმის სიბრტყე ჰორიზონტალურია ან დაქანებული. მისი მომზადების შემდეგ ხდებოდა ვერტიკალურად კაჭრის კანის, შემდეგ კი ანატკეცებისა და ლამელების ატკეცვა. ნუკლეუსების გვერდების დაწახნაგება ლამელების ნეგატივებით იშვიათად ირგვლივია, უფრო ხშირად კი ცალმხრივი. ეს განსაკუთრებით მაშინაა,

როდესაც ნუკლეუსიდან იტკიცებოდა სწორწახნაგა ლამელები. ცალმხრივ გამოყენებული ნუკლეუსების უკანა მხარე ან ბრტყლადაა ათლილი ან კაჭრის კანითაა დაფარული. ანატკეცებისა თუ ლამელების ნეგატივები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. ნუკლეუსებზე ხშირად ჩანს დარტყმის სიბრტყის შესწორების მიზნით მიყენებული დარტყმები და მათ შედეგად მიღებული განივი ანატკეცები. პრიზმული ფორმის ნუკლეუსებს ზოგჯერ ორი დარტყმის სიბრტყე აქვთ (14 ც.), ფაცეტები კი ირგვლივაა განლაგებული. მათ შორის არის მცირე ზომისა და მომაღლო ცალებიც. კონუსური ნუკლეუსები მცირე ზომისაა და ირგვლივ ფაცეტიანი, რომელთა ბოლოები თავს იყრიან ნუკლეუსის წვერში. კოლექციაში არის ნამზადები და ნუკლეუსების ნალევები, რომლებსაც ზოგჯერ ცეცხლის კვალიც აქვთ. არის გატეხილ-გადაკეთებული ნუკლეუსები (26 ც.), ამ ცალებს დარტყმის სიბრტყე არა აქვთ. მათზე ხშირია ჩატეხილი რეტუში.

საგვარჯილის ნუკლეუსების მომზადებასა და გამოყენებაში შეიმჩნევა გვიანზედაპალეოლითური ტრადიცია. ამ ნუკლეუსების ტიპოლოგიური მსგავსება არ ისაზღვრება მხოლოდ გარეგნული ფორმით. მათ აკავშირებს აგრეთვე გამოყენების საერთო ნიშნები – ნუკლეუსის დარტყმის სიბრტყის ,,გაცოცხლება'' ანუ დარტყმის სიბრტყის მეორადი მომზადება-შესწორება – ეს პალეოლითური ტრადიციაა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვის დამუშავების ტექნიკაში ფართო გამოყენება ჰქონდა ქვის მაგარი ქანების დამუშავებას ხეხვა-პოლირების გზით, მაინც მთავარი, ქვის ინდუსტრიაში იყო ატკეცვითი ტექნიკა, რომლის საშუალებით ხდებოდა საჭრელ-სახოკი იარაღების დამზადება, რაც აუცილებელი იყო საოჯახო ყოფასა და სანადირო აღჭურვილობაში. საგვარჯილის ენეოლითური ნამოსახლარის კაჟის ინდუსტრიაში ნამზადის ძირითადი სახე იყო მასიური ლამელისებური ანატკეცები და საერთოდ ანატკეცები, თუმცა საკმაოდ იყო დანისებური ლამელები.

ენეოლითურ ფენაში, წინა ეპოქების ფენებთან შედარებით კლებულობს კაჟის სწორწახნაგა დანისებური ლამელების რაოდენობა, რომელთა უმეტესობა დაუმუშავებელია, მაგრამ აქვთ გამოყენების კვალი. მათში წამყვანი იყო საშუალო ზომისანი. სიგრძე 5-7 სმ-ია. მათ შორის გამოიყოფა გრძელი, განიერი, ცალგვერდრეტუშიანი და ურეტუშო ლამელების ჯგუფი რომლებსაც შესაძლოა დანების ფუნქცია ჰქონდათ. ყველაზე დიდი ლამელის სიგრძე 11,5 სმ-ია, სიგანე – 4 სმ, მცირეების კი 2-3 სმ. კოლექციაში არის უხეში ლამელები ზურგზე შერჩენილი კაჭრის კანით. ლამელების განივკვეთების – ჩასართების რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს. სწორი დანისებური ლამელების ატკეცვა დამოკიდებული იყო ნუკლეუსის მომზადების ხარისხზე – გულგულასათვის პრიზმული ფორმის მიცემაზე. მაგრამ ამგვარი ლამელების ატკეცვის ტექნიკის ხარისხი ნეოლითურთან და კიდევ უფრო წინარე ფენებთან შედარებით, საგვარჯილის ენეოლითში დაქვეითებული ჩანს.

კოლექციაში ბევრია საშუალო და დიდი ზომის ოთხწახნაგა და სამწახნაგა ანატკეცები და ანამტვრევები, რომელთაგან ზოგიერთს აქვს დამუშავების კვალი. მათ შესაძლოა სახოკების, საჭრისების და დანების დანიშნულება ჰქონოდათ. მცირე ზომის ანატკეც-ანამტვრევების რაოდენობა უმნიშვნელოა.

საგვარჯილის ენეოლითური ფენის იარაღების დიდი ნაწილი ნეოლითურისგან განსხვავებით დამზადებულია ლამელისებური ანატკეცებისაგან და ჩვეულებრივი ანატკეცებისაგან. კაჟის ნაწარმის ხასიათი გვიჩვენებს, რომ გეომეტრიული ფორმის ჩასართების ტექნიკა ამ პერიოდში ხმარებიდან გამოდის. მის ნაცვლად ვითარდება იარაღების ორმხრივი დამუშავება წნევითი ,,მცოცავი'' რეტუშის საშუალებით, რომლის შესაბამისად შემოდის იარაღების ახალი ფორმები.

საგვარჯილეს კაჟის იარაღებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუბისპირებსა და ისრისპირებს, რომლებიც მოწმობენ იარაღთა დამუშავების ტექნიკაში მომხდარ დიდ ცვლილებებს. ისინი გამოირჩევიან სიმრავლით და ფორმათა მრავალფეროვნებით. ეს ნიშანი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან არც ერთ ნეოლითურ ნამოსახლარზე არა გვაქვს ისრისპირებისა და შუბისპირების სიჭარბე. პირიქით, ნეოლითურ კომპლექსებში ან საერთოდ არ გვხვდება აღნიშნული იარაღები ან თუ გვხვდება ისიც მხოლოდ გვიანნეოლითურში თითო-ოროლა ზედაპირულად მოპოვებული. ისრისპირებისა და შუბისპირების დიდი რაოდენობა კი სწორედ ლითონის ხანის ძეგლებისთვისაა ნიშანდობლივი.

საგვარჯილის ენეოლითური ფენის შუბისპირები (28 ც.) დამზადებულია კაჟის, უმეტესად დიდი ზომის ანატკეცებისაგან ორმხრივი დამუშავების ტექნიკით, მსხვილფაცეტიანი რეტუშის მეშვეობით, რომელიც მიმართულია იარაღის კიდეებიდან ცენტრისაკენ. აქვთ ფოთლისებური ფორმა და ზოგჯერ ზურგზე ოდნავ შესამჩნევი ქედი. ისინი გამოიყენებოდა სატყორცნი და საძგერებელი იარაღების აღსაკაზმავად. მათ ფართო გავრცელება აქვთ კავკასიის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებში. მათში გამოიყოფა რამდენიმე ფორმის შუბისპირი:

1. ფოთლისებური, ფუძემომრგვალებული (3 ც.) ან ირიბფუძიანი (5 ც.). მათი სიგრძე მერყეობს 8-10,5 სმ-დე, სიგანე- 2,4-3,5 სმ შორის (ტაბ. VI, 1-6).
2. ფუძეამოღარული ფოთლისებური, ორმხრივდამუშავებული მსხვილფაცეტიანი უხეში რეტუშით. ზოგს ფუძე ოდნავ აქვს ამოღარული (ტაბ. III, 2), ზოგს კი ღრმად (ტაბ. IV, 2-4; ტაბ. V,1-2). ერთ-ერთი მათგანი ფუძეამოღარული და ფრთებდაშვებული უნდა ყოფილიყო. (ტაბ. V, 1). ზომები: სიგრძე მერყეობს 5,5-8,8 სმ შორის, სიგანე 2-3 სმ შორის (ტაბ. VII, 1-7) 7 ცალი.
3. ფუძე და გვერდებამოღარული შუბისპირები, ორმხრივდამუშავებული მსხვილფაცეტიანი რეტუშით. სიგრძე მერყეობს 4,6-7,1 სმ შორის, სიგანე 2,2-3,3 სმ-დე (ტაბ.VIII, 6-8) 4 ცალი.
4. ყუნწიანი შუბისპირები, ორმხრივდამუშავებული მსხვილფაცეტიანი წნევითი რეტუშით. უმეტესობის ყუნწი სუსტადაა გამოყვანილი (ტაბ. VIII, 1-5), გამონაკლისია ერთი ცალი, მკვეთრად გამოყვანილი ყუნწით (ტაბ. VIII, 5). სიგრძე მერყეობს 5,9-8 სმ შორის, სიგანე-2-3 სმ შორის. 6 ცალი.
5. შუბისპირების ნატეხები 6 ცალი.

საგვარჯილის შუბისპირებს ანალოგები გააჩნია დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ენეოლითურ ფენებში, მაგრამ აქ მათი რაოდენობა შედარებით მეტია. საგვარჯილის კომპლექსი შეიცავს შუბისპირების ყველა ტიპს, რაც კი გვხვდება ამ პერიოდის ძეგლებში.

ისრისპირები დამზადებულია მცირე ზომის კაჟის ანატკეცებზე ორმხრივი მცოცავი წნევითი რეტუშით. შუბისპირებთან შედარებით მათზე რეტუში უფრო წვრილფაცეტიანია. საერთოდ ისრისპირების რაოდენობა შუბისპირებთან შედარებით მცირეა (9 ერთ.). მათ შორის გამოიყოფა ყუნწიანები (8 ც.). ზომები: სიგრძე – 1,7-4,7 სმ-დე, სიგანე – 1,2-1,8 სმ შორის მერყეობს (ტაბ. VIII, 9-10, 12-14) და 1 ცალი ფუძეამოღარული (ტაბ. VIII, 11).

ყუნწიანი ისრისპირები ჩნდება გვიანნეოლითის ბოლოს, მატულობს ენეოლითში და გვხვდება ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებშიც. ფუძეამოღარული ისრისპირები უფრო გვიანი ფორმაა ყუნწიანებთან შედარებით. ფუძეამოღარულები ფართოდაა გავრცელებული ძვ. წ. III-II ათასწ. ძეგლებში წინა აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში. ისინი გვხვდება აგრეთვე ბედენური და თრიალეთური კულტურის ძეგლებში, მაგრამ აქ მათი დამუშავების ტექნიკა უმაღლეს სრულყოფას აღწევს.

შუბისპირებისა და ისრისპირების ნამზადები 10 ცალია.

საფხეკები იარაღების ყველაზე დიდი ჯგუფია კოლექციაში (68 ც.) მათი უმრავლესობა დამზადებულია დიდი ზომის ანატკეცებზე, ლამელისებურ ანატკეცებზე და ანამტვრევების ბოლოებზე, რომელთა სამუშაო პირი რეტუშითაა გაფორმებული. სამუშაო პირის გაფორმების მიხედვით ისინი განეკუთვნებიან ოვალურსამუშაოპირიან კიდურა საფხეკებს (32 ც.). თითქმის ყველა მათგანი მასიური და უხეშია (ზოგჯერ ასიმეტრიული). სამუშაო პირი დამუშავებულია მაღალი მსხვილფაცეტიანი რეტუშით. ზოგიერთი იარაღის ცალი მხარე ზურგის მხრიდან დაფარულია კაჭრის კანით (ტაბ. III, 1, 4; ტაბ. IV, 2,7,9). კოლექციაში არის კიდურა, სწორპირიანი საფხეკების პატარა ჯგუფი (6 ც.), ერთ მომრგვალო საფხეკს კი მთელი ზურგი აქვს დაფარული ბუნებრივი ქერქით (ტაბ. IV, 4). შედარებით დახვეწილი ფორმისაა კიდურა საფხეკი (ტაბ. V, 5) დამზადებული მასიურ წაგრძელებულ ანატკეცზე. ოვალური სამუშაო პირი და გვერდები მსხვილფაცეტიანი რეტუშითაა დამუშავებული.

კიდურა საფხეკების გარდა კოლექციაში არის ცალკეული ეგზემპლიარები სხვადასხვა ფორმის საფხეკებისა: ორმაგი (ტაბ. V, 6) და გვერდამოღარული საფხეკები (ტაბ. V, 1,2,7) უხეშ, მასიურ ანატკეცებზე ნაკეთები; ირიბსამუშაოპირიანი საფხეკები ერთეულებია, მათზე რეტუში დამრეცი და მსხვილფაცეტაა; ერთერთ საფხეკს სამუშაო პირი მუცლის მხრიდან აქვს გაფორმებული (ტაბ. III,7); მომრგვალო საფხეკები (ტაბ. IV, 4-5-10) და მაღალი საფხეკები ცოტაა, მათში არის ერთი ნუკლეუსზე გაკეთებულიც.

კოლექციაში არის რამდენიმე კომბინირებული იარაღი: საფხეკ-საჭრისები – მათგან ერთი დამზადებულია სამფერდა მასიურ, ლამელისებურ ანატკეცზე,

აქვს სწორი, მსხვილფაცეტა სამუშაო პირი, გვერდზე კი გაფორმებულია კუთხის საჭრისი (ტაბ. II, 4), მეორე კი – უფორმო ანატკეცზე ამოღარული სამუშაო პირით და ირიბი საჭრისით (ტაბ. II, 5); ერთ, ლამელისებურ მასიურ ანატკეცზე დამზადებულ იარაღს აქვს ირიბი სამუშაო პირი, გვერდებზე კი ორმაგი საჭრისი – კუთხის და სწორი (ტაბ. III, 6); ლამელისებურ ორფერდა ანატკეცზე ნაკეთებია ცალგვერდრეტუშიანი ოვალურპირიანი საფხეკი, მეორე გვერდზე კი სწორი საჭრისია (ტაბ. IV, 12); დანა-საფხეკი – ჩამოყალიბებული ნუკლეუსის დიდი ზომის ოვალურ ანატკეცზე. იარაღი მუცლის მხრიდანაა გაფორმებული (ტაბ. II, 1).

ბევრია საფხეკისებური იარაღები. ისინი დამზადებულია ანატკეც-ანამტვრევების ერთ რომელიმე გვერდზე ან ბოლოზე დამრეცი რეტუშის საშუალებით.

სახოკებს არა აქვთ სტანდარტული ფორმა. ისინიც მზადდებოდა მასიურ ანატკეც-ანამტვრევებზე.

საჭრისების რაოდენობა ენეოლითურ ფენაში მცირეა. მათი უმეტესობა ატიპიურია და დამზადებულია ლამელისებური ანატკეცებისა და ანამტვრევებისაგან. კოლექციაში გვხვდება საჭრისების კეთებისას მიღებული სამწახნაგა გრძივი მიკროანატკეცები. ლამელის ბოლოზე დამზადებული დახვეწილი ფორმის საჭრისები გვხვდება II ფენის ქვედა დონეზე. ისინი ჭარბადაა დასავლეთ საქართველოს მეზოლით-ნეოლითურ ძეგლებში. იგივე სურათია საგვარჯილის II ფენის ქვედა დონეზე, რომელშიც შერეულია წინარე ფენების მასალები. აქ მათი რაოდენობა ჭარბობს ზედა დონისას, ფორმები კი ნეოლითურია. შუალა საჭრისებში არის თითო ცალი სეგმენტისებურ ანატკეცზე ჩამოყალიბებული და ნუკლეუსის სქელ, სიგრძივ ანატკეცზე დამზადებულიც. დუბლირებული საჭრისები სულ 7 ცალია. მათ შორის არის დუბლირებული ოვალურპირიანი (2 ც.); დუბლირებული შუალა (1 ც.), დუბლირებული-ხიწვიანი და სწორი (2 ც.); დუბლირებული ირიბი-თავრეტუშიანი (1 ც.); დუბლირებული შუალა და ხიწვიანი (1 ც.).

კოლექციაში 10 სახვრეტია. მათი უმრავლესობა დამზადებულია მასიურ ანატკეცებზე ან ნუკლეუსის სამფერდა სიგრძივ ანატკეცზე. სიგრძე საშუალოდ 5,5 სმ, სიგანე – 3 სმ. სამუშაო წვერი გაფორმებულია მსხვილფაცეტიანი რეტუშით. მათში არის ობსიდიანის ერთი ტიპიური ნეოლითური იერის – ირგვლივრეტუშიანი ვიწრო ლამელაზე ჩამოყალიბებული ცალი.

კომბინირებული იარაღები 7 ცალია. ისინი წარმოდგენილია საფხეკ-საჭრისებითა და სახვრეტ-საფხეკით, რომლებიც დამზადებულია მასიურ ლამელისებურ ანატკეცზე ან ნუკლეუსის განივ ანატკეცზე და მასიურ ლამელაზე.

საგვარჯილის კაჟის ინდუსტრიაში არ არის გეომეტრიული მიკროლითები, მაგრამ ისინი ერთეულების სახით გვხვდება ამავე ტიპის დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებში (სამელე კლდე, დარკვეთი, ოქუმი) გადმონაშთის სახით. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საგვარჯილის და სხვა მღვიმური ნამოსახლარების უფრო ადრეულ ფენებს ამგვარი იარაღები ახასიათებს. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი შემცირება ან მთლიანი გაქრობა ეპოქალურია.

კაჟის დამუშავების ტექნიკაში და იარაღთა ფორმებში ჩანს მემკვიდრეობითობა ადრეულიდან გვიანდელი ძეგლებისაკენ მიმავალი.

დანები (7 ცალი). ნაკეთებია სხვადასხვა ფორმისა და ზომის კაჟისა და ობსიდიანის ლამელებისაგან. ზოგ შემთხვევაში სამუშაო პირი დამუშავებული აქვთ, ზოგჯერ კი დაუმუშავებლადაც გამოიყენებოდა. დამუშავებული შესაძლოა ხის ან ძვლის ტარში თუ ჩარჩოში მაგრდებოდა. მათში ორი ობსიდიანის დანაა. ერთერთი მათგანი დამზადებულია დიდ სამფერდა მასიურ ლამელაზე, ირგვლივი რეტუშით. მისი სიგრძე 12 სმ-ია, სიგანე – 4 სმ. მეორე გრძელ ლამელაზეა ჩამოყალიბებული (სიგრძე – 8,6 სმ, სიგანე – 2,5 სმ).

ლითონის შემოსვლასთან დაკავშირებით ენეოლითელი ტომების საოჯახო ყოფაში და წარმოებაში კაჟის ინდუსტრიის ხარისხი ქვეითდება, თუმცა მას ჯერ კიდევ ჭარბად იყენებენ. ამ პერიოდში ქვის ინდუსტრიის მთელი რიგი კომპონენტები ან გამოდის ხმარებიდან ან საგრძნობლად მცირდება მათი როლი. ქვის ინდუსტრიის დეგრადაცია თანდათან მიმდინარეობს მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე და ბოლოს თითქმის საერთოდ გამოდის ხმარებიდან.

საგვარჯილის ენეოლითური ფენის ქვის ნაწარმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვის სხვადასხვა ქანებისაგან ხეხვა-პოლირების ტექნიკით დამზადებულ იარაღ-ხელსაწყოებს. როგორც აღვნიშნეთ სულ აღმოჩენილია 265 ერთეული. ისინი ძირითადად დამზადებულია ადგილობრივი რიყის ქვისაგან (რომელთა ნაწილი მდინარის მოქმედების შედეგად იყო ნაპრიალები), მაგრამ ამავე დროს გვხვდება ბაზალტის (27 ერთ.), სერპენტინისა (6 ერთ) და არგილიტისაგან (1ც.) ნაკეთები იარაღებიც. სამკაულებისათვის (სამაჯურები) და საკიდი-ამულეტებისათვის უპირატესად იყენებდნენ რბილ ქანებს-მონაცრისფრო მკვრივ ფიქალს და ტალკს, თუმცა არის აგრეთვე ბაზალტისაგან დამზადებულიც.

კოლექციაში არის მზა იარაღი, მათი ნამზადები, დაუმთავრებელი ნაწარმი და იარაღების ნატეხები. ქვის იარაღების უმრავლესობა ამათუ იმ ნაწილში დაზიანებულია (ატკეცილია პირი, ან გვერდები და ყუა) ყველა იარაღი ნახეხ-ნაპრიალებია, რაც კარგად ჩანს იარაღების დაუზიანებელი მონაკვეთებიდან. რიყის ქვისა და ბაზალტის იარაღები გვხვდება II ფენის ქვედა დონეზეც – 3 მეტრის სიღრმეზე და უფრო ქვემოთ (3,15 მ).

ქვის იარაღებში წამყვანია ტრაპეციის ფორმის ცალპირლესილი ცულები და აგრეთვე ტრაპეციისა ან სამკუთხედის მოყვანილობის მქონე ცალპირლესილი სატეხ-სათლელები. ცულების დამზადებისას იშვიათად გამოიყენებოდა მოკოდვის ტექნიკა. ქვის იარაღებში შეიმჩნევა ტენდენცია ზომების შემცირებისაკენ. ხშირია შუალედური ფორმები ცულებსა და სატეხ-სათლელებს შორის.

ცულები კოლექციაში 33 ერთეულია (მათ შორისაა დიდი ნატეხებიც). 10 მათგანი მთელია. უმეტესობა დამზადებულია რიყის ქვისაგან, მათ შორის არის 12 ბაზალტის და 1 სერპენტინისაც. მათი სიგრძე 8-16 სმ-დე, სიგანე კი 5-7 სმ შორის მერყეობს (ტაბ. IX,1-2; ტაბ.X, 1; ტაბ. XI, 1-4; ტაბ. XIII, 1; ტაბ. XV, 1-2; ტაბ. XVI, 4).

ისინი წარმოადგენენ მოგრძო, პირფართო, ზურგშემაღლებულ, ხშირად ტრაპეციის განივკვეთის, ყუისაკენ შევიწროებულ, პირამობურცულ იარაღებს. სამუშაო პირი ყოველთვის, კორპუსი კი ხშირად ნაპრიალებია. 5 შემთხვევაში იარაღის ტანი მოკოდვილია, ყუა კი დაჩეჩქვილი. გრძივჭრილში ცულები ორმხრივამობურცულ სოლებს წარმოადგენენ. ამ იარაღებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი ძირითადად საჩეხ-საჭრელ და შესაძლოა სათხრელ ფუნქციასაც ასრულებდნენ.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებთან შედარებით, რომლებშიც წამყვანი ადგილი ორპირლესილ, გვერდწახნაგა ცულებს უჭირავს, საგვარჯილის ენეოლითურ ნამოსახლარზე მკვეთრად კლებულობს ცულების და იზრდება სატეხ-სათლელების რაოდენობა, შესამჩნევად იხვეწება მათი ფორმები და დამუშავების ხარისხი (ტაბ. XII,1-6; ტაბ. XIII, 2-3, 5-6; ტაბ. XIV,1-5; ტაბ. XV, 4-5; ტაბ. XVI, 1-3,5-8).

ქვის გახეხილ-გაპრიალებულ იარაღებს დასავლეთ საქართველოს ჭარბი ტყის პირობებში პირველ რიგში, ხის ჩეხვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

სატეხ-სათლელებს ერთ ჯგუფში ვაერთიანებთ, რადგან სპეციალური, ტრასოლოგიური შესწავლის გარეშე გაძნელებულია მათი ძირითადი ფუნქციის დადგენა, მაგრამ მორფოლოგიურ ნიშნებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ ჯგუფში შემავალ იარაღთა ქვეჯგუფებს სხვადასხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდათ (ტაბ. XII, 1-6; ტაბ. XIII, 2-3,6; ტაბ. XIV, 1-3; ტაბ. XV, 4-5; ტაბ. XVI, 1,5-6).

ეს იარაღები, როგორც აღვნიშნეთ ხასიათდებიან მცირე ზომებით. სიგრძე მერყეობს 10-12 სმ შორის. სამუშაო პირთან იარაღი განიერია, ყუისაკენ ვიწროვდება,ზურგი შემაღლებულია. განივკვეთში უმეტესად ტრაპეციაა. გრძივი ხედიც ტრაპეციისებურია. პირი უმეტესად ოვალურია, იშვიათად სწორი, ზოგჯერ ასიმეტრიული. ამ იარაღების დიდი ნაწილი რიყის ქვის ხეხვა-პოლირების გზითაა მიღებული. სულ 32 ერთეულია. მათგან 5 ერთეული სერპენტინისაა, 5 – არგილიტის.

კოლექციაში არის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების ნატეხები, რომელთა თავდაპირველი ფორმის დადგენა ჭირს. მათი რიცხვი 61 უდრის. მათში არის სამუშაო პირისა და ყუის ნაწილებიც. 13 ბაზალტის იარაღების ნატეხებია, დანარჩენი – რიყის ქვისა. აღსანიშნავია ქვის იარაღების ნამზადები (8 ც.) ისინი წარმოადგენენ მოგრძო, თავგადამტვრეულ რიყის ქვებს, განივკვეთში ოთხკუთხა ან ოვალურს, ნაწილობრივ ნახეხს, თავსა და ბოლოში ატკეცილი მონაკვეთებით. მათ შორისაა ფიქალის ფირფიტა ნაკაწრებით, შეასძლოა სამაჯურებისა ან საკიდების დასამზადებლად განკუთვნილი.

ამავე ფენაში ნაპოვნია ქვის მაგარი ქანებისაგან დამზადებული ხელსაფქვავის ფრაგმენტები (3 ც.) (ტაბ. X,2). ყოველი მათგანი გრანიტისაა, მათ მოგრძო ნავისებური ფორმა აქვთ, რომელთა ცალი მხარე ამობურცულია, მეორე კი ბრტყელი ან ჩაღრმავებული. ისინი II ფენის სხვადასხვა სიღრმეზეა ნაპოვნი. ერთი ეგზემპლიარი მღვიმის წინა ფართობზე 3 მ-ის სიღრმეზეა აღმოჩენილი.

კოლექციაში არის სახეხ-საბეგველები, გრდემლები, სალესები, ხელკვერები, ფილთაქვები და ზოგიერთი გაურკვეველი დანიშნულების იარაღი.

სალესები მოგრძო რიყის ქვისაა, გვერდებზე მკაფიო ლესვის კვალით-ხეხვისა და ხაზების სახით. ერთ-ერთ ბოლოზე კი დარტყმის კვალიც შეინიშნება. არის მთის ბროლის ნატეხიც ლესვის კვალით. ამ იარაღებს ფართო ტერიტორიული გავრცელება და ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოები აქვთ. ტიპოლოგიური ცვლილებები არ აღენიშნებათ.

ფილთაქვებად გამოყენებული იყო გრძელი და განივჭრილში ოვალური ან მომრგვალო რიყის ქვები. იხმარებოდა მარცვლეულისა თუ საღებავის ან სხვა რომელიმე ნაყოფის დასანაყად ქვიჯებში. ოვალურ რიყის ქვებს ხეხვისა და დარტყმების კვალი აქვთ. რიყისქვის ქვარგვალების გამოყენება ახასიათებს დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ნამოსახლარებს. მათ იყენებდნენ, როგორც ჩანს სამეურნეო საქმეში – სახეხ-სასრესებად, ნაწილი კი შესაძლოა შურდულის ქვებად იყო გამოყენებული. ამგვარი ნივთები ცნობილია წინა და მცირე აზიური ძეგლებიდან.

გრდემლებად (5ც.) გამოყენებული იყო ბრტყელი, შუაზე გაპობილი რიყის ქვები და ქვის ფილა, რომლებზედაც გარკვეულ ადგილებში კონცენტრირებულია დარტყმებისაგან მიყენებული წერტილები. რეტუშორები იყო, როგორც კაჟის ასევე ქვის – მოგრძო, ოვალურგანივკვეთიანი, წვერზე გამოყენების კვალით.

კოლექციაში არის ქვის 3 გახვრეტილი გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ნატეხი.

საგვარჯილის ქვის მასალა პირველ რიგში უნდა განვიხილოთ დასავლეთ ამიერკავკასიის ადრელითონის ხანის მღვიმური და ღია ნამოსახლარების ქვის ნაწარმის ფონზე. ამ მასალის კვლევაზე საგანგებოდ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იგი თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კომპლექსით ხელს უწყობს ადრელითონის ხანის ქვის ინდუსტრიის შესწავლას.

საგვარჯილის ქვის კომპლექსის შედარების საფუძველზე დასავლეთ ამიერკავკასიის სხვა მღვიმური ძეგლების მასალებთან (სამელე კლდე, დარკვეთი, თეთრი მღვიმე, და სხვ.) მკაფიოდ ჩანს იდენტურობა კაჟის დამუშავების, როგორც პირველად, ისე მეორად ტექნიკაში, იარაღთა ასორტიმენტში, მათ მორფოლოგიურ ნიშნებში და იარაღების რაოდენობრივ შეფარდებაში. რის საფუძველზეც დაბეჯითებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ ქვის კომპლექსების გენეტიკურ ნათესაობაზე და მათ კუთვნილებაზე ერთი კულტურისადმი.

აქვე უნდა აღინიშნოს საგვარჯილის კაჟის ინდუსტრიის სიახლოვე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის (ყუბანისპირეთი) ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების (მეშოკოს ქვედა ფენა, სკალა, ხავჯოხი და სხვ.) კაჟის ნაწარმთან [26, გვ. 108].

საგვარჯილის ქვის მაგარი ქანებისაგან დამზადებული იარაღების და მათი ვარიაციების პარალელებს ვხვდებით მცირე და წინააზიურ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას

ზოგადად მიღებულ მოსაზრებას, რომ იარაღების ამა თუ იმ ფორმის წარმოქმნა უკავშირდება გარკვეულ სამეურნეო თუ საოჯახო ყოფის მოთხოვნებს. მასალების შედარება გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული იყო მეურნეობის ერთნაირი ფორმები, რომლებსაც გააჩნდა ქვის დამუშავების ტექნიკის საერთო დონე, რაც საბუთდება ქვის იარაღების ტიპოლოგიური იგივეობით და ამ იარაღთა ფორმების რაოდენობრივი ანალიზით. ასეთი ანალიზი საფხეკებთან დაკავშირებით გაკეთებული გვაქვს სხვა ნაშრომებში [11, გვ. 49-55] ამიტომ მას აქ აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მასალების რაოდენობრივმა შეჯერებამ გვიჩვენა საფხეკების მყარი უპირატესობა სახვა დანარჩენ იარაღებთან შედარებით. მათი რაოდენობრივი უპირატესობა ჩანს არა მარტო ადრელითონის ხანის ნამოსახლარების კაჟის კომპლექსებში, არამედ წინარე ეპოქების (ნეოლთი, მეზოლითი) ძეგლებიდანაც. ეს ფაქტი მიუთითებს გარკვეული სამეურნეო დარგების იგივეობაზე, სამეურნეო წყობის გენეტიკურ ნათესაობაზე ნეოლითთან, რომელთა ტომები იყენებდნენ ამ იარაღებს. მიჩნეულია, რომ საფხეკები გამოიყენებოდა არა მარტო ტყავების, არამედ ხისა და რქის (საჭრელ, სახოწ) დასამუშავებელ იარაღადაც.

საგვარჯილის ქვის ინვენტარში ორი განსხვავებული ტექნიკური ტრადიცია შეინიშნება: არქაული, რომელიც წინარე ეპოქების ქვის დამუშავებას უკავშირდება და გამოიხატება ქვის ზოგიერთი იარაღებისა და ნუკლეუსების მსგავსებაში. მასში გვხვდება პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები სწორი ლამელების ნეგატივებით, რომლებიც ახლოსაა ნეოლითური ძეგლების (ოდიში, ანასეული II, კისტრიკი) ნუკლეუსებთან. მათი ტიპოლოგიური მსგავსება არ იფარგლება მხოლოდ გარეგნული ნიშნებით, მსგავსებაა ნუკლეუსების გამოყენების ხერხებშიც – დარტყმის სიბრტყის მეორადი მომზადება განივი ტკეცვით, ლამელების ატკეცვა დაწნევის მეშვეობით. მსგავსებაა აგრეთვე მეორადი დამუშავების ხერხებშიც. ამ ტექნიკურ ხერხებში ვლინდება ნეოლით-მეზოლითის ეპოქების ქვის დამუშავების ტრადიცია. წინა ეპოქებისათვის დამახასიათებელი მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები უკვე აღარ გვხვდება ენეოლითური ფენის მასალებში, რაც სრულიად კანონზომიერია კავკასიის ადრელითონის ხანის ნამოსახლარებისათვის. ნეოლითურ ტრადიციას უკავშირდება აგრეთვე ქვის მაგარი ქანების ხეხვა-პოლირების გზით ქვის იარაღების – ცულების, თოხისებური იარაღების, სატეხ-სათლელების დამზადება, რაც ნეოლით-ენეოლითური ქვის დამუშავების ტექნიკის განვითარების ერთიან ხაზს გვიჩვენებს. თავისი წარმოშობით იგი მაკროლითურ ტექნიკას უკავშირდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძველი ტრადიციების შემორჩენა განპირობებული უნდა ყოფილიყო მეურნეობის ძველი ფორმების შემორჩენით ენეოლითური ტომების მეურნეობაში. მაგრამ ამავე დროს კოლექციაში გვაქვს ნეოლითურისაგან განსხვაებული ტიპის ქვის იარაღები. თუ ნეოლითს ახასიათებდა ორმხრივლესილი, ორმხრივამობურცული სოლისებური ქვის პოლირებული ცულები, ენეოლითში უპირატესად გვხვდება ტრაპეციის

ფორმის, ცალმხრივამობურცული ცულები, სატეხ-სათლელები და სხვა იარაღები. მათი ზომები კლებულობს. ეს ადრელითონის ხანის ძეგლებისათვის ტიპიური ფორმებია.

საგვარჯილეში კაჟის იარაღების დამუშავების ძველ ხერხებთან ერთად მკაფიოდ ჩანს სრულიად ახალი ტექნიკური ტრადიცია – იარაღების ორმხრივი დამუშავება ,,მცოცავი'' წნევითი რეტუშით და ამ ტექნიკით იარაღების ახალი ტიპების – შუბისპირებისა და ისრისპირების დამზადება. ეს ტრადიცია ადგილობრივ ნეოლითს არ უკავშირდება. ამგვარი იარაღები დასავლეთ საქართველოს ნეოლითს არ ახასიათებს. გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე ზედაპირულად გვხვდება თითო-ოროლა ორმხრივდამუშავებული ისრისპირი, რომელთა კუთვნილება ძირითადი კომპლექსისადმი საეჭვოა. არ არის გამორიცხული, რომ ახალი ტიპის სატყორცნი იარაღების მქონე ტომების ზემოქმედებით შეწყდა ცხოვრება გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე.

საგვარჯილის ქვის ინდუსტრიის დახასიათებისას ხაზი უნდა გაესვას მასში ნეოლითური ტრადიციების არსებობას, რომლის ფესვები ადგილობრივ მეზოლითურ კულტურაში შეინიშნება.

ცხრილი 1

საგვარჯილის II ფენის ქვის იარაღები და წარმოების ნარჩენები

უნდა ვიფიქროთ, რომ განვითარების ამ ეტაპზე საგვარჯილეში მცხოვრებთათვის ცნობილი იყო მხოლოდ თვითნაბადი სპილენძი, მასში არსებული ბუნებრივი მინარევებით.

ნივთები	რაოდენობა		ნივთები	რაოდენობა	
	კაჟი	ობსიდიანი		კაჟი	ობსიდიანი
წარმოების ნარჩენები			ანატკეცები სხვადასხვა ფორმის, ზომის და ფერის	3111	
ნუკლეუსები					
კონუსისებური ფორმის	6		ანატკეცები რეტუშიანი	63	
პრიზმისებური ფორმის	106		ანტკეცები ობსიდიანის		41
ნუკლეუსის ნალევები და ნატეხები			ანატკეც-ანამტვრევები კაჭრის კანიანი	44	
ნუკლეუსის განივი ანატკეცები	8		ანატკეცები სხვადასხვა ფორმის, ზომის და ფერის	2196	
ნუკლეუსის სიგრძივი ანატკეცი	1				

ცხრილი 1 (გაგრძელება)

ნივთები	რაოდენობა		ნივთები	რაოდენობა	
	კერძო	ობსიდიანი		კერძო	ობსიდიანი
ანამტვრევები ობსიდიანის		23	**საფხეკები ანატკეცებზე**		
ხელკვერები	5		კიდურა ოვალურპირიანი	32	
რეტუშორები	5		კიდურა სწორპირიანი	6	
ლამელები			ამოღარული	18	
ლამელები საშუალო ზომის და მათი ნატეხები	1830		მაღალი საფხეკები	4	
			მომრგვალო	4	
ლამელები განიერი	92		საფხეკად გამოყენებული ანამტვრევები	3	
გვერდრეტუშიანი					
ორგვერდრეტუშიანი			საფხეკად გადაკეთებული ნუკლეუსი	1	
ირგვლივრეტუშიანი					
თავამოღარული ბლაგვგვერდა			საფხეკი მასიურ ნატეხზე	1	
თავირიბრეტუშიანი			**საფხეკები ლამელებზე**		
ბლაგვგვერდა (მიკროლითური)			კიდურა ოვალურპირიანი	44	
ბლაგვზურგა (მიკროლითური)			კიდურა სწორპირიანი	1	
ბლაგვზურგა დიდი ზომის			ამოღარული	3	
მიკროლითური ლამელები			კიდურა მიკროლითური	12	2
ობსიდიანის ლამელები			მომრგვალო მიკროლითური	1	
დაკბილული			დუბლირებული	1	
ტრაპეციისებური ლამელა			დაზიანებული საფხეკები	5	1
იარაღები			საფხეკები ლამელისებურ ანატკეცებზე	3	
შუბისპირები ყუნწიანი					
ფუძეამოღარული შუბისპირები			საფხეკების ნამზადები	4	
ფუძემომრგვალებული			სახოკები ანატკეცებსა და ანამტვრევებზე	10	
ირიბფუძიანი					
ფუძე და გვერდამოღარული			**კომბინირებული იარაღები**		
ნატეხები შუბისპირებისა			საფხეკ-საჭრისი (მიკროლითური)	5	
ნამზადები შუბისპირებისა და ისრისპირების			საფხეკ-სახვრეტი	3	
			საფხეკ-საჭრისი-დანა (მასიურ ლამელაზე)	2	
ისრისპირები ყუნწიანი					
ისრისპირი ფუძეამოღარული			დანა-საფხეკი	1	

ცხრილი 1 (გაგრძელება)

ნივთები	რაოდენობა		ნივთები	რაოდენობა	
	კაჟი	ობსიდიანი		კაჟი	ობსიდიანი
საჭრისები ანატკეცებზე			შალაშინები და მათი ნატეხები	22	
ირიბი ცალწახნაგა	16	1	ნამგლის ჩასართი	1	
ხიწვიანი	6		იარაღების ნატეხები (?)	2	1
სწორი	5		**ქვის იარაღები**		
დუბლირებული	3		ცულები	33	
კუთხის	1		სატეხ-სათლელები	32	
შუალა საჭრისები	12		ხელსაფქვავის ქვა	3	
საჭრისები ლამელებზე			სალესები	4	
სწორი ცალწახნაგა	6		ფილთაქვები	3	
ხიწვიანი ცალწახნაგა	7		სახეხები	6	
ირიბი ცალწახნაგა	6	1	ქვარგვალები	9	
ირიბი თავრეტუშიანი	2		გრდემლები	6	
ორმაგი	7		ხელკვერები	2	
მრავალწახნაგა საჭრისი	1		რეტუშორი	1	
სახვრეტები ანატკეცებზე	4		ქვის იარაღების ნატეხები	61	
სახვრეტები ლამელებზე	5		ქვის იარაღთა ნამზადები	8	
დანები	5				

სულ
კაჟი: 8057
ობსიდიანი: 136
ქვის იარაღი: 168

§ 2. კერამიკა

საგვარჯილის ენეოლითური ფენის ქვის მასალის აღწერა ცალმხრივი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ამ ფენაში აღმოჩენილ სამეთუნეო ნაწარმს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მისი შეპირისპირებისა სინქრონულ მასალებთან და დაგვეხმარება შედარებითი ქრონოლოგიის დადგენაში.

საგვარჯილის კერამიკის არაერთხელ გაცნობისას, თავის დროზე სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენ არ გვქონდა ამ კოლექციის უფრო დეტალური დამუშავების საშუალება. ვერ მოვახერხეთ მისი ჩახატვა და ფოტოფიქსირება, რადგან გამთხრელი თვითონ აპირებდა მის გამოქვეყნებას. დღესდღეობით ეს კოლექცია დაკარგულია, მასალა კი ცალკეული ნიმუშების გარდა გამოუქვეყნებელი. აღნიშნული ხელს უშლის ამ კოლექციის გამოწვლილვით შესწავლას, მის დეტალურ აღწერა-ილუსტრირებას და სტატისტიკური მონაცემების მოტანას.

საგვარჯილის კერამიკას განვიხილავთ მღვიმის II თხრილის მასალების მიხედვით, რომელშიც ენეოლითური ფენა შედარებით უკეთ იყო დაცული და ფიქსირებული.

კერამიკის დახასიათებისას ძირითადად ვეყრდნობით მისი გაცნობისას მიღებულ ინფორმაციას, აგრეთვე მცირეოდენ ნიმუშებს, რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საგვარჯილის ქვის მასალის კოლექციაში (კოლ. № 1–55; № 14–54) საველე დღიურებს, ანგარიშებს და საინვენტარო დავთრებს. ვიყენებთ გამოქვეყნებულ ილუსტრაციებს, რომლებზედაც ასახულია დიდი კოლექციის მცირე ნაწილი.[1]

საგვარჯილის სამეთუნეო ნაწილი უმეტესად ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. II თხრილში სულ 1192 ერთეულია ნაპოვნი. მთელი და დაზიანებული ჭურჭელი თითო-ოროლაა. ფრაგმენტულობის მიუხედავად მაინც ხერხდება კერამიკის დახასიათება და მათი ფორმების მიახლოებითი დადგენა. ნაკეთობათა დიდი ნაწილის დასამზადებლად გამოყენებული ჩანს ადგილობრივი, ქარსნარევი, საჭურჭლე თიხა. უკლებლივ მთელი კერამიკა ხელითაა ნაძერწი, თიხა უმეტესად მსხვილმარცვლოვანია და ქარსის გარდა ურევია კვარცისა და კირის ნაწილაკები, რომლებიც კარგად შეიმჩნევა, როგორც კეცის ზედაპირზე, ისე მის გადანატეხში. ჭურჭლის უმეტესობა მოვარდისფრო-მოყავისფროდ ყოფილა გამომწვარი, შედარებით ნაკლებია მონაცრისფრო-მორუხოდ და კიდევ უფრო ნაკლებია მოშავო ნატეხები.

---

[1] კერამიკული მასალის ჩანახატები გადმოგვცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, არქეოლოგმა გ. ფხაკაძემ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ფრაგმენტები გვიჩვენებენ, რომ ფორმებისა და დანიშნულების მიხედვით ისინი სავარაუდოდ ეკუთვნოდნენ ნაკეთობათა შემდეგ ჯგუფებს: ქილებს, ქოთნებს, დერგებს, ჯამებს, ფიალებს, ტაფებს, ტანდასვრეტილ, გობისებურ და სხვა სახის ჭურჭლებს.

საგვარჯილის კერამიკული ნაწარმი შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: ნაკეთობათა ერთ ჯგუფს, რომლებიც შეიძლება სამზარეულო ჭურჭელს მივაკუთვნოთ, ხშირად აქვს ნამწვი, როგორც შიგნიდან ისე გარედან, მსხვილკეციანია, უხეში, დიდი რაოდენობით ურევია კვარცის, ქარსის და კირის მინარევები, არათანაბრადაა გამომწვარი. ზოგჯერ ერთი და იგივე ნატეხი სხვადასხვა ფერისაა, რომელიც მერყეობს ვარდისფერიდან – რუხამდე. გადანატეხში ერთი ფერია – მუქი ან ბაცი. ზედაპირი ხშირად ხაოიანია, იშვიათად მოგლესილი და მოგლუვებული. სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქილების, ქოთნების, დერგების, ჯამების, ტაფებისა და გობისებური ჭურჭელის ფრაგმენტებით.

ამ ნაკეთობებში სჭარბობდა სწორკედლა ქილისებური ფორმები. მათ გათხელებულ ნაპირს ზოგჯერ ნათითურები ემჩნევა. ისინი უხეში და არათანაბარი გამოწვისაა, ჭარბი მინარევებით. მათ შორის არის დამსკდარი ნატეხებიც. ეს ნაკეთობები თითქმის გაუპრიალებელია, ჭურჭელი უყუროა, მათ თხელი ყელი და სქელი ბრტყელი ძირი აქვთ.

მეორე დიდი ჯგუფია ქოთნები – მათი თიხა შედარებით უკეთესი ხარისხისაა, კარგადაა გამომწვარი, თანაბრადგამობერილი კორპუსი ბრტყელძირაა, სიმეტრიული, მოგლუვებული, ზოგჯერ ნაპრიალები. იშვიათია თხელკეციანი ქოთნები. მათი ვარიაციები ზოგჯერ ქილისებურს უახლოვდება (ტაბ. XXXII–7; ტაბ. XXXI–2–3).

ჯამები უმეტესად მცირე ზომისაა და შედარებით თხელკეციანია, მოწითალოდ გამომწვარი, სუსტად ნაპრიალები. მათში უნდა ყოფილიყო სწორკედლა, პირგადაშლილი და პირმოყრილებიც. (ტაბ. XXXI-8; ტაბ. XXXII–1-2, 4,6).

გობისებური ნაკეთობები გარეთგადმოზნექილი კედლებით და პირთან შემოყოლებული ნაჩვრეტებით ახლო ანალოგებს პოულობენ ძუძუანას, სამერცხლე კლდისა და რაც მთავარია წოფის წრისათვის ჭურჭლებთან. დეკორის ეს სახე დამახასიათებელია წოფის ჯგუფის ძეგლებისათვის (ტაბ. XXXIII, III–8; I-3).

ტაფისებურ ნაკეთობათა ფრაგმენტები მცირე რაოდენობითაა, მათ ნამწვი ხშირად ორივე მხრიდან აქვთ. როგორც ჩანს, ცეცხლზე იდგმებოდა აგრეთვე ზოგიერთი თხელკეციანი ჭურჭელიც (ტაბ. XXXII–3–5).

კოლექციაში გვხვდება დიდი ზომის სქელკეციანი ფრაგმენტები, რომლებიც შესაძლოა მარაგის შესანახად იყო განკუთვნილი.

სუფრის ჭურჭლად მიჩნეული ჯგუფი პირველ რიგში განსხვავდება სამზარეულოსაგან ნამწვის უქონლობით, ფორმებით და როგორც ჩანს დანიშნულებითაც. მათში გამოიყოფა დოქები, ფიალები, სურისებური და ტოლჩისებური ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს კერამიკა უმეტესად დამზადებულია განლექილი თიხისაგან, თხელკეციანია და ზოგჯერ მოწერნაქებულ-მოპრიალებული.

დოქისებური ჭურჭლის ნატეხები ცოტაა, არის მათი ყელ-პირისა და კედლის ნაწილები.

სურისებური, ვიწრო, მაღალყელიანი წითელპრიალა ნაკეთობები (ტაბ. XXX, 3) აღმოჩენილი იყო იატაკების ზემოთ მდებარე ზედა A დონეზე. ეს ჭურჭლები ანალოგებს პოულობენ მღვიმე ძუძუანას გვიანენეოლითური ფენის სურისებურ ნაკეთობასთან.

საგვარჯილის კერამიკა უორნამენტოა, თუ არ ჩავთვლით ზოგჯერ ჭურჭლის პირთან შემოვლებულ ნასვრეტებს და პირდაჭდეულ და ტალღისებურბაკოიან პირებს. ზოგ შემთხვევაში ხდებოდა ჭურჭლის შეღებვა ან ვარდისფერი წერნაქით დაფარვა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საგვარჯილის კოლექციაში (კოლ. № 1–55; № 14–54) არის საწურისა თუ საცეცხლურის ტანდასვრეტილი ნაკეთობების რამდენიმე ფრაგმენტი. ერთ-ერთი ნატეხი ვარდისფერ ზედაპირიანი და შავსარჩულიანი მოზრდილი ნასვრეტებითაა დაფარული (ტაბ. XXIII, 2), მეორე, მორუხო ფერის, ტლანქად ნაძერწი, ფრაგმენტი კი სხვადასხვა დიამეტრის მქონე ნასვრეტებიანია (ტაბ. XXIII,1), ეს ორივე ნიმუში II თხრილშია აღმოჩენილი – პირველი 3,25 მ სიღრმეზე, მეორე კი – 2,7 მ სიღრმეზე. ისინი ორივე ქვედა დონეზეა ნაპოვნი. ამგვარი ტანდასვრეტილი ჭურჭლის ფრაგმენტები გვხვდება აგრეთვე სხვა მღვიმური ნამოსახლარების ენეოლითურ ფენებში – დარკვეთში [12, ტაბ. VIII–IX], სამელე კლდეში [17, გვ. 16, ტაბ. 1], თეთრ მღვიმეში [7, ტაბ. XVIII, 5–6; ტაბ. XXII, 1]. ანალოგიური ტანდასვრეტილი ნაკეთობები ცნობილია წოფის წრის ძეგლებიდან და პროტომაიკოპური ნამოსახლარიდან (სკალა) [26, გვ. 119].

კოლექციაში არის აგრეთვე ფრაგმენტები თითო ან ორი ნასვრეტით, გატეხილი ნაკეთობის შეკეთების მიზნით, გამოწვის შემდეგ გაკეთებული. ზოგს კი შეიძლება ზონარის გასაყრელადაც ხმარობდნენ. ვარდისფერ სწორპირიან ჭურჭელს ჰქონია ერთი ნასვრეტი, მეორე კი ბოლომდე არაა გახვრეტილი.

ქვედა დონეზე ჭარბობდა ბრტყელი და ქუსლიანი ძირები. ყურების ფრაგმენტები მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ზედა A დონეზე (ტაბ. XXXIV). ისინი ადრეული მტკვარ-არეზული ჭურჭლების კუთვნილებაა, რადგან ენეოლითური ფენის ძირითადი ნაკეთობები უყუროა.

ზედა მოტკეპნილი იატაკის დონეზე და მის ზემოთ, ნაპოვნი იყო მორუხო-მოშავოდ გამომწვარი, თხელკეციანი, ზედაპირმოგლუვებული ჭურჭლების ფრაგმენტები. მათგან ერთი ბრტყელძირა პირგადაშლილი ქოთანია (ტაბ. XXX, 7), ორი კი შიგნით და გარედან მოპრიალებული ლანგრისებური ნაკეთობა (ტაბ. XXXIII, 8). აქვე გამოვლინდა ვარდისფრად გამომწვარი, კვარცნარევი, სქელკედლიანი (სისქე 1 სმ), გადანატეხში შავკეციანი ფრაგმენტები; აღმოჩნდა აგრეთვე მოვარდისფრო, შავშიდაპირიანი, ხელით ნაძერწი, უხეში, კვარცნარევი, სქელკეციანი, ზედაპირმოგლუვებული ჭურჭლების ფრაგმენტები. მსგავსი კერამიკა გვხვდება ჩიხორის ნამოსახლარის კერამიკულ კომპლექსში.

ამავე ზედა დონეზე ნაპოვნია ადრეული მტკვარ-არეზული კერამიკის ფრაგმენტები – ყურით და მხრიდან კორპუსზე გარდამავალი წიბოთი. ამავე დონეზე ნაპოვნია წითელპრიალა თხელკეციანი, განლექილი თიხისგან ნაკეთები, კარგად გამომწვარი, დაბალყელიანი, მრგვალძირიანი და სფერულმუცლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. მათზე ზოგჯერ შეიმჩნევა ბზინვარე ქარსის ნაწილაკები. რომლებიც დამახასიათებელია, როგორც წინამტკვარ-არეზული, ღია ნამოსახლარებისთვის (წოფი, აბასთუმანი, ბერიკლდეები), ისე დასავლეთ საქართველოს მღვიმური ენეოლითური ფენებისათვის (სამელე კლდე, დარკვეთი, ძუძუანა, თეთრი მღვიმე).

საგვარჯილის ენეოლითური ფენის ორმოსამარხში აღმოჩნდა მაიკოპური იერის პაწაწინა სანელსაცხებლის ტიპის ყელგამოყვანილი, მრგვალძირიანი ჭურჭელი (ტაბ. XXXIII,I–6) და მრგვალძირიანი ჯამი (ტაბ. XXX, I–5). ანალოგიური ფორმის ჭურჭელი ცნობილია სკალას პროტომაიკოპური ნამოსახლარიდან [26, გვ.120].

საგვარჯილის კოლექციაში გამოიყოფა პატარა ჯგუფი მონაცრისფრო-მორუხოდ გამომწვარი, ძაბრისებურყელიანი, გამობერილკორპუსიანი და ბრტყელძირა ჭურჭლებისა.

მუზეუმის კოლექციაში გვაქვს ხელით ნაძერწი, ორი სხვადასხვა ჭურჭლის მრგვალი ძირი (ტაბ. XXIII, 3–4). ერთი მათგანი, რუხად გამომწვარი პაწაწინა ჭურჭლისაა, დმ. 2,1 სმ–ია, შემორჩენილი სიმაღლე – 2 სმ; მეორე ჭურჭლის მრგვალი ძირი, პირველთან შედარებით უფრო მოზრდილია, მისი დმ. 6,5 სმ-ია, კედლის სისქე – 0,8 სმ, შერჩენილი კედლის სიმაღლე – 4,2 სმ. ორივე ჭურჭელი აღმოჩენილი იყო II თხრილში. მეორე ნაკეთობა ნაპოვნი იყო II თხრილის შიდა ფართობზე 1,4-1,5 მ სიღრმეზე, ე. ი. ზედა A დონეზე (ტაბ. XXIII, 3).

ანალოგიური ჭურჭლის ძირები აღმოჩენილია თეთრი მღვიმის ენეოლითურ ფენაში [7, ტაბ. XVIII].

მოშავო-მორუხო ჭურჭლების უმეტესობას პირი ოდნავ აქვს გადმოღუნული. ამგვარ ნაკეთობებს განეკუთვნება უყურო ქოთნები და დერგები. მათი კეცი სქელია და არათანაბრად გამომწვარი.

ნ. ბერძენიშვილის დღიურში აღნიშნულია, რომ ენეოლითური წითლადმოპრიალებულზედაპირიანი კერამიკა 4 სახისაა: 1. თხელკეციანი შავსარჩულიანი; 2. თხელკეციანი, შიგნით და გარეთ წითლადმოპრიალებული; 3. სქელკედლიანი, შიგნიდან და გარედან წითლად ნაპრიალები; 4. სქელკეციანი, მხოლოდ გარედან წითლად ნაპრიალები, შიგნით კი მოშავო. შიგნიდან და გარედან ნაპრიალები ჭურჭლებიდან გვხვდება მხოლოდ ჯამების ნატეხები. შიგნით შავი და გარედან მოწითალო არის დოქიც და ჯამიც.

საგვარჯილის II თხრილის ენეოლითური ფენის ზედა ნაწილში მრავალრიცხოვან კაჟის მასალასთან ერთად ნაპოვნი იყო კერამიკა, რომელიც როგორც აღნიშნავს ძეგლის გამთხრელი – ტლანქი ნახელაობისაა, ნაძერწია მსხვილმარცვლოვანი კვარცის ჩანართებიანი თიხისგან. ჭურჭლების უდიდესი ნაწილი გარე-

დან გამომწვარია მოვარდისფროდ, შიგნით კი შავად. ამ ფრაგმენტებს არ ეტყობა გაპრიალების კვალი. პირიქით, მათი ზედაპირი დაშაშრულია და თიხის ცომში, განსაკუთრებით კი მის ზედაპირზე შეიმჩნევა თივის კვალი[2], ანუ აქ ნაპოვნია მცენარეულჩანართებიანი, ბზენარევი კერამიკა. აქვე გამთხრელი საინტერესო სტრატიგრაფიულ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას, რომ 1–1,5 მ სიღრმეზე გამოჩენილია მონაცრისფრო, ნაწილობრივ მოპრიალებული ჭურჭლის ფრაგმენტები და ყურებიანი ნატეხები.

საგვარჯილის სამეთუნეო ნაწარმში გამოიყოფა ძაბრისებურყელიანი, გადმოღუნულბაკოქიმიანი ჭურჭლის ყელ-პირის ნაწილები, რომელზედაც შეიმჩნევა ბზის მინარევები. ამგვარ ნაკეთობას ანალოგები მოეპოვება წოფის, ბერიკლდეების (ქვედა ფენა) და აღმოსავლეთ ანატოლიის გვიანენეოლითური ნამოსახლარების (არსლან თეფე VI A, ნორშუნ თეფე, თეფეჯიქი) ე.წ. „ხეკსელ ვარეს“ ტიპის უბეიდ-ურუქის პერიოდის კერამიკასთან. ეს ენეოლითური ფენის ზედა დონეა, რომელზედაც დასტურდება მტკვარ-არეზის კულტურის ადრეული საფეხურისთვის დამახასიათებელი კერამიკისა და ბზენარევის თანაარსებობა. ბზენარევი კერამიკა ცნობილია წოფის ენეოლითური ნამოსახლარის ერთერთი ორმოდან [28, გვ. 32 (ნახ. 9-20)] და ბერიკლდეების ქვედა ფენიდან. მტკვარ-არეზის ადრეული კერამიკისა და ბზენარევის თანაარსებობა დასტურდება თეთრიწყაროს ნამოსახლარის ქვედა ფენაში [6, გვ. 52], აბელიას ნამოსახლარზე და დიდუბის კოლექციაში [28, გვ. 32–33]. ანალოგიური თანაარსებობა დაფიქსირდა მტკვარ-არეზის კულტურის ყველაზე ადრეულ ძეგლებში – თრელიგორების (ორმო №1–6) [2, გვ. 42] და ღრმახევისთავის (ორმო №15, 29, 47) [3, გვ.12] ნამოსახლარების ორმოებში.

საგვარჯილის მსგავსად, ნაცრისფერი, სუსტად ნაპრიალები, ხელით ნაძერწი ენეოლითური კერამიკისა და მტკვარ-არეზის ადრეული კერამიკის თანაარსებობა დადასტურებულია ამირანის გორის უძველეს, სულ ქვედა ფენაში [28, გვ. 32–33].

ზემოთმოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ელემენტების თანაარსებობა ფიქსირდება არა მარტო სამხრეთ საქართველოში და შიდა ქართლში, არამედ ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე დასავლეთ საქართველოშიც, რისი დასტურიცაა საგვარჯილის მასალა.

ამგვარად, საგვარჯილის ენეოლითური ფენის ზედა დონეზე ადგილობრივ ენეოლითურ კომპონენტებთან ერთად თანაარსებობს ადრეული მტკვარ-არეზისა, პროტომაიკოპური და ბზენარევი კერამიკა. აღნიშნულ ფაქტში უნდა დავინახოთ ამ კომპონენტების თანადროულობა, სხვადასხვა კულტურების ფართო კონტაქტები და მათი უთიერთზემოქმედების პროცესი. იმერეთის მღვიმეების ეს

---

[2] ნ. ბერძენიშვილი (კილაძე). დღიური – საგვარჯილე, ენეოლითი. 1961 წ; გვ. 23. ინახება აკც-ის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

მონაცემები უნდა მიგვითითებდეს გვიანი ენეოლითის ფინალურ სტადიაზე, რომელიც თავისებურ გარდამავალ ეტაპს უნდა წარმოადგენდეს ადრებრინჯაოს საფეხურისაკენ.

კვერცხის ფორმის კორპუსის და გაშლილი ყელის მქონე დიდი ზომის, უხეში, ჭარბი მინარევებიანი ხაოიან და არათანაბრად გამომწვარ ფრაგმენტებს ანალოგები ეძებნება დარკვეთისა და სამელე კლდის ენეოლითური ფენის ნაკეთობებთან.

როგორც ვხედავთ, საგვარჯილის მეორე ფენის სამეთუნეო ნაწარმში ორი განსხვავებული ჯგუფის კერამიკა გამოიყოფა. ერთს კარგად ემჩნევა ნეოლითური ტრადიციების გაგრძელება – სქელკეციანი, არათანაბრად გამომწვარი, ჭარბმინარევებიანი, ზოგჯერ პირდაჭდეული და ტალღისებურბაკოიანი ნაკეთობები. ამგვარი კერამიკა გვხვდება, როგორც ზედა A , ისე ქვედა – B დონეზე. მათთან ერთად ამავე დონეზე თანაარსებობს წოფი-გინჩის წრის, პროტომაიკოპური იერის, ადრეული მტკვარ-არეზული და ბზენარევი კერამიკა. მთელი ეს მასალა აღმოჩენილია სტრუქტურულად ერთ ფენაში, შუალედური შრეების გარეშე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგვარჯილის II ფენის კერამიკას პარალელები გააჩნია სამელე კლდის, დარკვეთის, ძუძუანას, სამერცხლე კლდის, წოფისა და ბერიკლდეების (ქვედა ფენა) გვიანენეოლითური ხანის სამეთუნეო ნაწარმთან. განსაკუთრებით საინტერესოა სურისებური ჭურჭლების ახლო პარალელი ძუძუანას მღვიმის ზედა, გვიანენეოლითური ფენის ანალოგიურ ნაკეთობასთან. მღვიმური ძეგლების ზედა ფენებისათვის ჯერჯერობით გვაქვს ერთადერთი კალიბრებული ნახშირბადული (14C) თარიღი: ძუძუანას ზედა ფენის კალიბრებული რადიონახშირბადული თარიღია: 315 4366 ± 217, ე.ი. ძვ. წ. V ათასწ. ბოლო საუკუნეები.

აღნიშნული კერამიკული მასალა მოტანილი პარალელების საფუძველზე საგვარჯილის ნამოსახლარს გვიანენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალ ხანისად წარმოგვიდგენს.

ამავე პარაგრაფში ვიხილავთ საგვარჯილის სამეთუნეო ნაწარმის ერთ-ერთ დამახასიათებელს ელემენტს – თიხის კვირისტავებს (ტაბ. XXIII, 7–12; ტაბ. XXIV). მათი უმრავლესობა კონუსის ფორმისაა, შედარებით იშვიათადაა ბიკონუსური ცალები (6 ერთ.). უმრავლესობა სადაა, უორნამენტო, თითო-ოროლას აქვს სხივისებური ნაკაწრი ხაზები, რომლებიც წვერიდან ფუძეზე ეშვება. აღსანიშნავია, რომ ორ კვირისტავს აქვს ცხრა-ცხრა სხივი (ტაბ. XXIV, 2). ამდენივე სხივი აქვს სამელე კლდისა და ორთვალა მღვიმის კვირისტავებს. ნაპოვნია კონუსური კვირისტავების ნატეხები და დეფორმირებული, სამეთუნეო წუნიც. ერთერთ ბიკონუსურ კვირისტავს ხვრელი ორი მხრიდანაა გაკეთებული, რომელიც შუა ნაწილში ძაბრისებურად ვიწროვდება. იგი შესაძლოა არც იყო კვირისტავი. ეს ნიმუში აღმოჩენილია II თხრილის, 22-ე ნიშნულში 3 მ სიღრმეზე.

კვირისტავები ლითონის ხანის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია და ამავე დროს ნეოლითისაგან განმასხვავებული ატრიბუტი (კვირისტავებზე უფრო დაწვრილებით იხ. IV თავში).

§ 3. რქისა და ძვლის იარაღები

საგვარჯილის ენეოლითურმა ფენამ კარგად შემოგვინახა რქისა და ძვლის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სანადირო, სამეურნეო და ყოფითი დანიშნულების იარაღთა სერიები, რაც საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სისრულით აღვადგინოთ ენეოლითის ხანის ადამიანის სამეურნეო ყოფა და შევავსოთ ჩვენი ცოდნა მათ საწარმოო ინვენტარზე.

საიარაღე ნედლეულად გამოყენებული ყოფილა, როგორც ირმისა და შვლის რქები, ასევე შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლები.

საგვარჯილის II ფენაში ნაპოვნია რქის 80 და ძვლის 112 ნივთი. არის ცხოველების გახვრეტილი კბილები (2ც.) და გარეული ტახის ქვედა ყბის ეშვები (4ც.), რომლებიც სხვადასხვა დანიშნულებითაა გამოყენებული. რქისა და ძვლის თითქმის ყოველ ნივთს ეტყობა დამუშავებისა და გამოყენების კვალი. სხვა ენეოლითური ძეგლების მსგავსად საგვარჯილის კოლექციაც გვიჩვენებს, რომ ამ ნამოსახლარის მცხოვრებთათვის უკვე ცნობილი იყო რქისა და ძვლის დამუშავების ყველა ხერხი. მასში არის ნამზადები, რომლებსაც აქვთ ძვლის გაჭრის, გაპრიალების, სამუშაო პირის გამოყვანისა და ყუის გახვრეტის ნიშნები, რაც მოწმობს იარაღების მღვიმეში დამზადებას და ამ ნედლეულის დიდ საწარმოო მნიშვნელობას მღვიმეში მოსახლე ტომების მეურნეობაში.

გარეულ ცხოველთა რქებისა და ძვლების სიჭარბე საგვარჯილის ენეოლითურ ფენაში მეტყველებს ამ პერიოდში ნადირობის ჯერ კიდევ დიდ მნიშვნელობაზე ადგილობრივ მცხოვრებთა მეურნეობაში, მიუხედავად იმისა, რომ საგვარჯილელი ადამიანი უკვე მისდევდა მესაქონლეობას.

რქისა და ძვლის ნაწარმს განვიხილავთ საიარაღე ნედლეულის სახეობისა და მისი საწარმოო დანიშნულების მიხედვით.

<u>რქის იარაღები</u>. მიწის თხრასთან დაკავშირებული იარაღების უმრავლესობა ირმისა და შვლის რქებისგანაა ნაკეთები. მათი დამზადებისას გამოყენებული იყო რქის ბუნებრივი მოხრილობა და წვეტიანობა. რქის უმეტესობა ნანადირევი ცხოველის თავის ქალიდანაა მოჭრილი (არის რქა თავის ქალის გამოყოლილი ნაწილით), მცირე ნაწილი (4 ც.) კი ბუნებრივად მოცვლილი რქებია [4, გვ. 274]. რქის ძირებს ემჩნევა ირგვლივ ჩაჭრილი ღარები. მათი გადაჭრის შემდეგ მიიღებოდა ნამზადი, რომელსაც გ. ნიორაძე [13; 52] და ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) [4, გვ. 274] კოპიტულას უწოდებდნენ. ასეთი კოპიტულა ანუ ნამზადი, რომელსაც გავლილი ჰქონდა პირველადი დამუშავების სტადია, კოლექციაში 30-მდეა. რქის იარაღებში ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) 11 წალკატს გამოყოფდა. სულხანსაბა ორბელიანის განმარტებით წალკატი ორპირლესილი წერაქვია. ყოველ მათგანს ეტყობა გამოყენების, ხეხვა-პოლირების და ძირის შემოჭრის კვალი. ისინი

წარმოდგენილია წერაქვისნაირი და თოხისნაირი იარაღებით. კოლექციაში არის აგრეთვე, საკრიალებლები, სადგისები, სახვრეტები, ხელშუბები, წვეტანები, გაურკვეველი დანიშნულების იარაღი და რქის წვრილმანი ნაწარმიც. რქებს იყენებდნენ აგრეთვე სხვადასხვა იარაღების სატარე მასალად.

ნ. ბერძენიშვილმა (კილაძე) საგანგებოდ შეისწავლა საგვარჯილის რქისა და ძვლის იარაღები [4, გვ. 274-280]. იგი მათი დამუშავების პროცესში სხვა მკვლევართა (გ. ნიორაძე, ს. ბიბიკოვი) კვალდაკვალ სამ სტადიას გამოჰყოფდა: რქის ძირში გადაჭრა და გადანაჭერის ანუ ნამზადის თავის შესწორება-მომრგვალება. რქის გახვრეტა მეორე სტადიადაა მიჩნეული. იგი ორმხრივად ხდებოდა, რაც კარგად შეიმჩნევა როგორც ნამზადებზე, ისე იარაღებზე. ხვრელის კედლებზე არსებული წრიული ღარები ა. სემიონოვის აზრით, კაჟის ბურღის კვალია [30, გვ. 455]. კოლექციაში არის ბოლომდე გაუხვრეტავი რქის იარაღის 8 ნამზადი, რომლებსაც სამუშაო პირი ჯერ არა აქვთ გაკეთებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რქა ჯერ იხვრიტებოდა, სამუშაო პირი კი შემდეგ უკეთდებოდა.

სამუშაო პირი გამოჰყავდათ რქის მოხრილობის მიმართულებით წვერის ირიბი ჩათლით, ბრტყელი სამუშაო პირის გაკეთებით და შემდეგ მისი მოგლუვება-გაპრიალებით. კოლექციაში გვაქვს გამოყენების კვალის მქონე წვერწათლილი, წვერწაჭრილი და ბუნებრივად წვერწამახვილებული რქები [4, გვ. 275].

საგვარჯილის რქის იარაღებზე ტარის დაგების სხვადასხვა ხერხი დასტურდება: სატარე ხვრელიანი, მუფტისებური და ღვედებიანი. მუფტისებურია, როდესაც რქის მსხვილ ბოლოზე ჩაჭრილ ფუღუროში მაგრდებოდა შესაბამისი დიამეტრის ტარი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სატარეხვრელიან რქის იარაღებს. მათზე კარგად ჩანს ტარის დაგების ორგვარი ხერხი. ერთ ნაწილს ხვრელი ყუასთან უკეთდებოდა და ტარი ეგებოდა სამუშაო პირის პერპენდიკულარულად, მეორე ნაწილს კი ტარი უკეთდებოდა გვერდიდან სამუშაო პირის პარალელურად [4, გვ. 279]. ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) ყუაგახვრეტილ იარაღებში გამოჰყოფდა თოხისნაირ და წერაქვისნაირ იარაღებს. მისი აზრით პირველ შემთხვევაში თოხისებურ (ტაბ. XX, 1; ტაბ. XXII, 7) იარაღებთან გვაქვს საქმე, მეორეში კი – წერაქვისებურებთან (ტაბ. XVII, 1-2; ტაბ. XVIII, 6). თოხისებური იარაღები კოლექციაში სულ რამდენიმეა, წერაქვისებური კი ბევრი. ჩანს, რომ თოხისებურ პირფართო იარაღს დიდი გამოყენება არ ჰქონია [4, გვ. 291]. საინტერესო ფაქტია, რომ თოხისებური ერთი იარაღი ნაპოვნია საკულტო კერის მოედანზე. ამ იარაღს სამუშაო პირი 8 სმ სიგრძეზე აქვს ჩათლილი და გაბრტყელებული, რომლის სიგანე 3 სმ-ია. სატარე ხვრელი გაკეთებულია ყუიდან 3 სმ დაშორებით. ხვრელის გარეთა დიამეტრი 3 სმ-ია, რომელიც სიღრმეში თანდათან ვიწროვდება და შიგნით 2 სმ უდრის. იარაღის სამუშაო პირი მოცვეთილი და დაჩეჩქვილია. ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) თვლიდა, რომ ამგვარ იარაღს მიწაზე 3 სმ-ის კვალის გავლება შეეძლო [4, გვ. 279].

საგვარჯილის ტარიანი იარაღები ზომით თანაბარი არ არის. დიდ ცალებთან ერთად (ტაბ. XVII, 1-2; ტაბ. XVIII, 6; ტაბ. XX, 1), რომელთა სიგრძე

ზოგჯერ 16 სმ-მდეა, არის აგრეთვე მცირე ზომის (ტაბ. XXII, 7) ანალოგიური ფორმის 6 სმ სიგრძის იარაღიც. მსგავსი იარაღები ცნობილია ლუკა-ვრუბლევეცკაიას ნამოსახლარიდან, რომლებსაც ს. ბიბიკოვი საბრძოლო ფუნქციას უკავშირებდა [15].

საგვარჯილის კოლექციაში გვაქვს, როგორც დიდი, ისე მცირე ზომის რქები, რომელთაც არა აქვთ სატარე ხვრელი, მაგრამ წვეტიან ბოლოზე გაფორმებულია სამუშაო პირი. მათზე შეიმჩნევა გაპრიალების, გაცვეთისა და დაბლაგვების კვალი. ამ იარაღების ფუნქცია განსხვავებული უნდა ყოფილიყო ყუაგახვრეტილი იარაღებისაგან.

კოლექციაში არის წვერგადაჭრილი რქის იარაღები, რომლებზედაც გაკეთებულია სწორი სიბრტყე. ერთ-ერთი მათგანის სიგრძე 25 სმ-ია. ისინი შეიძლებოდა უტაროდ გამოყენებულიყო. ამგვარ იარაღებს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ჩაქუჩებად მიიჩნევენ. ზოგიერთ რქებს ემჩნევა იარაღის ტარად გამოყენება. როგორც ჩანს, ნეოლით-ენეოლითელი ადამიანი უპირატესობას რქის ტარს ანიჭებდა, ვიდრე ძვლისა და ხისას.

რქების ნაწილი შესაძლოა შემგროვებლობაში გამოყენებულიყო ძირხვენების ამოსათხრელად. ორტოტა რქებიც (შვლის) შესაძლოა მიწის თხრას უკავშირდებოდა (სულ 6 ცალია).

საგვარჯილის რქის გახვრეტილ იარაღებს დიდებსაც და პატარებსაც ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) სამიწათმოქმედო იარაღებად მიიჩნევდა. წერაქვისებურ იარაღებს კი სხვადასხვა საჭიროებისათვის მიწის თხრას უკავშირებდა. (შემგროვებლობა, საცხოვრებლის აგება, და სხვა მიწის სამუშაოები). ძეგლის გამთხრელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საგვარჯილის II ფენის ზედა და ქვედა ნაწილში აღმოჩენილი იარაღების დამუშავებაში განსხვავება არ შეიმჩნეოდა. მათი დანიშნულებაც ძირითადად ერთი იყო – მიწის თხრა. მაგრამ იგი თვლიდა, რომ თხრის პროცესი წერაქვისა და თოხის საშუალებით განსხვავებული უნდა ყოფილიყო [4, გვ. 289].

საგვარჯილის რქისა და ძვლის ანალოგიური იარაღები ცნობილია დასავლეთ საქართველოს სხვა მღვიმური ნამოსახლარების ენეოლითური ფენებიდან (სამელე კლდე [17, გვ.32–34], დარკვეთი [12, გვ. 28–32], თეთრი მღვიმე [7, გვ. 54–57] და სხვ.).

მიწის სათხრელი რქის უძველესი იარაღები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს პალეოლითურ ძეგლებზე (საკაჟია), გ. ნიორაძისა [13, გვ. 52] და ნ. ბერძენიშვილის (კილაძე) აზრით ისინი მხოლოდ შემგროვებლობაში გამოიყენებოდა [4, გვ. 268]. ქვაჭარის მღვიმეში აღმოჩენილი მოხრილი რქის იარაღი, [16, გვ. 74-75] (ტაბ. XIV, 24) აგრეთვე შემგროვებლობას უნდა უკავშირდებოდეს.

გ. ნიორაძე თვლიდა, რომ საკაჟიაში აღმოჩენილ ირმის რქის იარაღს ტარი ეგებოდა, როგორც თანამედროვე ბარს ან მასრიან შუბისპირს, რომელსაც ,,წე-

რაქვად“ ან „თოხად“ იყენებდნენ [13, გვ. 52]. რქის მსხვილ ბოლოზე ჩაჭრილ ფუღუროში შესაბამისი დიამეტრის ტარი უნდა დაგებულიყო. როგორც აღვნიშნეთ საგვარჯილეში რქის იარაღებს ტარი ეგებოდა სამუშაო პირის პარალელურად ან პერპენდიკულარულად. პირველ შემთხვევაში წერაქვისებურ იარაღებთან გვაქვს საქმე, მეორეში კი თოხისებურთან [2, გვ. 279].

ზედაპალეოლით-მეზოლითში აღმოჩენილი რქისა და ძვლის იარაღების შემდგომი განვითარება უნდა გვქონდეს საგვარჯილის ტიპის ძეგლებში.

<u>ძვლის იარაღები</u>. კოლექცია შედგება, როგორც აღვნიშნეთ 111 მთელი და დაზიანებული ძვლის ნივთისაგან. როგორც ჩანს, ძვალს საოჯახო ყოფაში უფრო დიდი გამოყენება ჰქონდა, ვიდრე რქებს. უკანასკნელები შედარებით ნაკლები ჰქონდა ადამიანს, ვიდრე ძვლები. საგვარჯილის ძვლის იარაღები ტიპოლოგიური და ფუნქციური ნიშნების მიხედვით შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

სადგის-სახვრეტები ძვლის იარაღებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია (73 ერთ.). მათ ერთ ჯგუფში ვაერთიანებთ, რადგან ამ იარაღების დაყოფა ფუნქციის მიხედვით ჯერჯერობით არ ხერხდება. მათი უმეტესობა მზადდებოდა ცხოველთა მთელი ან გაპობილი ლულოვანი ძვლების შემდგომი დამუშავების – გახეხვა-გაპრიალების გზით. წვერი საგანგებოდ მუშავდებოდა. იყენებდნენ, როგორც მსხვილფეხა ისე წვრილფეხა საქონლის ძვლებს. იარაღები განივკვეთში მრგვალი, ოვალური ან ოთხწახნაგაა (ტაბ. XVIII; XIX; XXI; XXII). ზოგ შემთხვევაში ეს ძვლები სიგრძეზე ორად იპობოდა, ისე რომ ორივე მხარეს შერჩენოდა ეპიფიზი, რათა ხელისათვის საყრდენი სიბრტყე წარმოქმნილიყო. მაგრამ ამის მიუხედავად არის ჯგუფი უეპიფიზო იარაღებისა.

სადგის-სახვრეტების ჯგუფში გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი:

1. სადგისები, რომლებსაც ცალ ბოლოზე აქვთ ეპიფიზი, მეორე ბოლო კი წაწვეტებულია (ტაბ. XIX, 9; ტაბ. XVII , 5; ტაბ. XX, 3) მათი ფორმა განსაზღვრულია ძვლის მოყვანილობით, რის გამოც ისინი ან მოხრილია ან სწორი. თვით იარაღის ღერძს ხშირად ემჩნევა სიპრიალე. იარაღის სამუშაო წვერი კი საგანგებოდაა დამუშავებული, ხშირად ნახეხ-ნაპრიალები. მათი სიგრძე 5 –15 სმ-დე მერყეობს.

2. თავგახვრეტილი სადგისები ზონარის გასაყრელად, ძირითადად ძვლისგანაა დამზადებული, თუმცა მათ შორის არის თითო-ოროლა რქისაც (ტაბ. XVII, 3-4, 6). ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) მათ სათიხრებს უწოდებდა, ს. ბიბიკოვი კი ამგვარ იარაღებს სადგისებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ნახვრეტი ზონარის გასაყრელად უკეთდებოდა. ნახვრეტი ეპიფიზთან ახლოს აქვთ და თავი ძლიერ ნაპრიალებია ხმარებისაგან. ხვრელის დიამეტრი 5 მმ-დეა. იარაღის მსხვილი ბოლო თანდათანობით ვიწროვდება და წვეტში გადადის. ნახვრეტი იმდენად მცირეა, რომ მხოლოდ ზონარის გასაყრელად გამოდგებოდა.

3. ძვლის ნატეხებზე დამზადებულ სადგისებს (ტაბ. XVIII, 3-4, 8-9; ტაბ. XXI, 1-7, 11-12; ტაბ. XXII, 2-5;) არა აქვს სტანდარტული ფორმა. მათი ცალი ბოლო

წვეტიანია. სიგრძე 5-15 სმ შორის მერყეობს. მათ შორის არის ძვლის ბრტყელ ანატკეცზე ნაკეთებიც.

4. გრძივღარიანი სადგისები. მათი უმეტესობა სქელ ანამტვრევზეა დამზადებული.

სახვრეტები კეთდებოდა ლულოვანი ძვლის ვიწრო, მოგრძო ნატეხზე, რომლებსაც წვერი წამახული და ნაპრიალები ჰქონდა.

სადგის-სახვრეტები მეტად დამახასიათებელია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებისათვის. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ისინი მღვიმეების ენეოლითურ ფენებში. 2 სადგისი საკულტო მოედანზეა ნაპოვნი თოხთან ერთად (ტაბ. XX, 1).

ხელშუბისმაგვარი ძვლის მრგვალგანივკვეთიანი იარაღები (7ც.), რომლებსაც ზოგჯერ თავზე ეპიფიზი აქვთ შერჩენილი, ზოგჯერ კი თავი დამუშავებული და მოგლუვებულია, წვერი კი წამახვილებული (ტაბ. XVIII, 5, 21, 13).

საპრიალებლები (3 ც.) (ტაბ. XXII, 8) მზადდებოდა, როგორც ლულოვანი ძვლებისგან, ისე მსხვილი ნეკნებისგანაც. ლულოვანი ძვალი შუაზე იპობოდა, ეპიფიზი კი ითლებოდა და კეთდებოდა სწორი სიბრტყე. იარაღების მთელი კორპუსი კარგადაა ნახეხ-ნაპრიალები. სამუშაო პირი ოვალურია და ნალესი. ერთერთის სიგრძე 17 სმ-ია.

მახათ-ნემსები (12 ც.) დამზადებულია ძვლის წვრილ მრგვალგანივკვეთიან ღეროებზე, ანატკეცებზე ან ანატეხებზე. მახათს თავი ზოგჯერ მრგვალ-ბრტყელი აქვს. ერთ-ერთ მათგანს ბრტყელ ბოლოზე აქვს ერთი გამჭოლი ხვრელი და ოთხი გახვრეტადაწყებული, დაუმთავრებელი წრე (ტაბ. XVIII, 1-2, 7, 12, 13; ტაბ. XIX, 5; ტაბ. XXI, 8; ტაბ. XXII, 1). მათ არა აქვთ ტერიტორიული და ქრონოლოგიური საზღვრები.

ძვლის ანკესი კოლექციაში ორია (ტაბ. XXI, 9). იგი წარმოადგენს ფაქიზად დამუშავებულ, ოთხწახნაგა ღეროიან მოკაუჭებულ, ყუნწმოტეხილ იარაღს. ანალოგიური ანკესი ცნობილია მეშოკოს ნამოსახლარიდან [25, გვ. 113]. ძვლის ანკესები ლითონის ანკესების პროტოტიპი უნდა იყოს.

ძვლის კოვზისებური ნივთი ერთადერთია კოლექციაში (ტაბ. XX, 5).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) თვლიდა, რომ წერაქვისნაირი და თოხისნაირი იარაღები გამოყენებული იყო პირველყოფილ მიწათმოქმედებაში, რომ საგვარჯილის იარაღების ერთი ჯგუფი მიწის გაწერას, ზედაპირულ მოთხრას უკავშირდებოდა, მეორე კი – მიწის მოთხრა-გადაბრუნებას [4, გვ. 279-280].

ი. კიკვიძე თვლიდა, რომ მიწათმოქმედების თვალსაზრისით მღვიმეების მცხოვრებთა ყოფაში მკვეთრი ცვლილებები არ უნდა მომხდარიყო. იგი ისევ ზედაპირული ხასიათისა იყო, თუმცა მისი პროგრესი მაინც შეიმჩნეოდა. რქის წვეტიანი იარაღების დანიშნულება მიწის ზედაპირული დამუშავება იყო [8, გვ. 34].

ჩვენი აზრით, რქისა და ძვლის წვერწამახული იარაღები უდავოდ გამოიყენებოდა მიწის სათხრელად სხვადასხვა საჭიროებისათვის. მაგრამ დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ ისინი უცილობლად სამიწათმოქმედო იარაღები იყო ვფიქრობთ გაჭირდებოდა მანამდე, ვიდრე ისინი ტრასოლოგიურად არ იქნება შესწავლილი. რქისა და ძვლის იარაღები ყოველთვის მიწათმოქმედებას არ უკავშირდებოდა. ეჭვის შეტანის საფუძველს გვაძლევს საგვარჯილის მახლობლად მდებარე ამავე პერიოდის ღია ნამოსახლარების მასალები. საგვარჯილედან 10 კმ-ში მდებარე ახალსოფლის (ტყიბულის რ-ნი) და თეთრამიწის (ქუთაისი) ნამოსახლარებზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ქვის მაგარი ქანებისაგან, ორმხრივი ათლით დამზადებული ორი სახის – პირფართო და წვერწამახული თოხისებური და წვეტიანი წერაქვისებური სამიწათმოქმედო იარაღები-მაკროლითები. აგრეთვე სოჭი-ადლერის ღია ნამოსახლარებზე ნაპოვნია ქვის თოხები.

საგვარჯილის რქისა და ძვლის წვერწამახული იარაღები სათიხრები ყველაზე პრიმიტიული მიწის სათხრელი იარაღები უნდა ყოფილიყო, რომლებიც შესაძლოა გამოიყენებოდა შემგროვებლობაში და აგრეთვე საოჯახო ყოფაში სხვადასხვაგვარი საჭიროებისათვის მიწის სათხრელად [4].

ცხრილი 2. რქისა და ძვლის იარაღები

	ნივთები	რაოდენობა
1	რქის ყუაგახვრეტილი თოხისებური იარაღები	9
2	რქის ყუაგახვრეტილი წერაქვისებური იარაღები	34
3	რქები დამუშავებისა და გამოყენების კვალით	21
4	სადგისი რქის	2
5	ნამზადები რქის იარაღებისა, ბოლომდე გაუხვრეტავი	8
6	ორტოტა რქები	6
7	სადგის-სახვრეტები ძვლის	73
8	მახათები და ნემსები ძვლის	12
9	შუბისპირი ძვლის	7
11	საკრიალო	3
12	იარაღად გამოყენებული ძვლის ანატკეცები	9
13	კოვზი ძვლის	1
14	საკინძი ძვლის	2
15	ტახის დამუშავებული ეშვები	4
16	ცხოველის გახვრეტილი კბილები	2
17	საკიდი ძვლის	1
	სულ	193

§ 4. სამკაულები, საკულტო ნივთები და ხელოვნების ნიმუშები

აღნიშნული ნივთები პირობითად შეიძლება გაერთიანდეს ერთ პარაგრაფში, იმის გამო, რომ ისინი ერთდროულად შეიძლება ყოფილიყო სამკაულიც, საკულტო რიტუალთან დაკავშირებული საგნები და ხელოვნების ნიმუშებიც. ფუნქციის მიხედვით მათი ზუსტად განსაზღვრა ჭირს. ერთი უდავოა, რომ ისინი უკავშირდებოდნენ ენეოლითელი ტომების სულიერ სამყაროს (ტაბ. XXV-XXVI).

სამკაულები საგვარჯილის კოლექციის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯგუფია. ისინი წარმოდგენილია სხვადასხვა სახის მასალისგან დამზადებული სამაჯურებით, მძივებით, ყელსაბამის ნაწილებით გულსაკიდებით და საკინძებით.

სამაჯურები კოლექციის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია (სულ 103 ერთ.). ყოველი მათგანი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. დამზადებული მასალის მიხედვით ისინი ორ ჯგუფად იყოფა: ქვისა (87 ერთ.) და კერამიკული (16 ერთ). ქვის სამაჯურების უმეტესობა (81 ფრაგ.) ფიქალისგანაა ნაკეთები, არის აგრეთვე რიყისქვის (2 ც.), შიფერისა (3 ც.) და კირქვისაგან (1 ც.) ნაკეთებიც. სამაჯურის ფრაგმენტები ნაპოვნი იყო II კულტურული ფენის ყველა დონეზე – დაწყებული ჰუმუსის ფენიდან – 2,8 მ სიღრმემდე.

ფიქლის სამაჯურები ვიწროა, გვერდწახნაგიანი, კარგად ნახეხი, ზურგზე მაღალი, ზოგჯერ ოდნავ შესამჩნევი ქედით, ჭრილში ოთხკუთხა ან სამკუთხა. მათი სიგანე 0,3-0,6 სმ შორის მერყეობს. ქვის სამაჯურების ქვედა მხარე ბრტყელია, ზედა კი ამობურცულ-ოვალური ან ამობურცულ-წახნაგიანი. დიამეტრი 6–7,7 სმ შორის მერყეობს. ისინი უფრო განიერია ფიქალის სამაჯურებზე (ტაბ. XXV, 8–16, 19 ; ტაბ. XXVI, 1-3, 6).

კერამიკული სამაჯურები (16 ფრ.) მორუხოდ ან მოშავო-მონაცრისფროდ კარგადაა გამომწვარი, ძირბრტყელი, ზურგზე რელიეფური ზოლებით (ლილვაკებით). მათ სიგანეს განსაზღვრავს რელიეფური ზოლების რაოდენობა, რაც მერყეობს 2–10 შორის. (ტაბ. XXV, 1-7, 17-18, 20-21; ტაბ. XXVI, 4-5).

მძივები კერამიკული (2 ც.), მასიური, მოგრძო ფორმის, განივკვეთში მრგვალი, გამჭოლი ხვრელით (ტაბ. XXVI, 14-15).

მძივები ნიჟარის სადაფისა 141 ცალი, მცირე ზომის მრგვალ-ბრტყელი, შუაში ნასვრეტით (ტაბ. XXVI, 13).

გახვრეტილი ნიჟარები (ტურიტელები) 19 ცალი (სურ. 20), ბოლო უკანასკნელი ხვე-ული გახვრეტილია. ყელსაბამის ნაწილები უნდა ყოფილიყო (ტაბ. XXVI, 19).

საკინძები ძვლის (2 ც.), სხვადასხვა ტიპის. ერთი მათგანის სამკუთხა თავი შემკულია ერთმანეთის ირიბადგადამკვეთი ნაკაწრი ზოლებით (ტაბ. XXVI, 17), მეორის თავი კი მრგვალ-ბრტყელია შუაში ხვრელით (ტაბ. XIX, 7). საკიდი-

ამულეტები (8 ც.) სხვადასხვა მოყვანილობის და სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული. ყველა მათგანი თავგახვრეტილია. სამი საკიდი ქვის რბილი ქანისგანაა (ტალკი) ნაკეთები და მსხლის ან წვეთისებური ფორმა აქვს. ერთ-ერთი მათგანი ორმხრივ შემკულია წერტილებით (ტაბ. XXVI. 8, 10-11). ამგვარივე ფორმის ორი საკიდი შავი ქვისგანაა (ბაზალტი) დამზადებული (ტაბ. XXVI, 9). ერთ-ერთი ქვის საკიდი რკალივით მოხრილი და მრგვალგანივკვეთიანია, ოდნავ შესამჩნევი ქედით (ტაბ. XXVI, 12). არის ქვის ბრტყელი ოთხკუთხა საკიდი (ტაბ. XXVI, 10 ა). ქვის ორი საკიდი გატეხილია. მათგან ერთი მოგრძო ოვალური ფორმის უნდა ყოფილიყო, მეორე კი ჭრილში ოთხწახნაგა.

აღსანიშნავია ენეოლითური ფენის კერაში აღმოჩენილი ტალკის თხელი ფირფიტისგან დამზადებული საკიდი, რომლის ორივე მხარე შემკულია დაშტრიხული ტეხილხაზიანი ორნამენტით. საკიდი ცხოველის (?) თავის გამოსახულებას წააგავს. ნაწილი ჩამოტეხილი აქვს, დაზიანებას გადარჩენილი ნაპირი კი დაკბილულია (ტაბ. XXVI, 20).

საინტერესოა თევზის მოყვანილობის სადგისისმაგვარი ძვლის საკიდი, თვალის ადგილას გამჭოლი ხვრელით და წვეტიანი ბოლოთი (ტაბ. XXVI, 16).

ცხოველების გახვრეტილ კბილებს (2 ც.) ავგაროზის დანიშნულება უნდა ჰქონოდა (ტაბ. XXVI, 18–18 ა). მათ ფართო გავრცელება აქვთ სხვადასხვა ეპოქის კულტურებში, თუმცა ევოლუციური ცვლილებები არ ემჩნევათ.

საკიდებს ენეოლითის ხანაში ფართო ტერიტორიალური გავრცელება და შესაძლოა ერთდროულად სამკაულისა და საკულტო-სარიტუალო (ამულეტ-ავგაროზი) დანიშნულება ჰქონოდათ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტალკისაგან დამზადებული თხელი ფირფიტა (გადატეხილი) შემკული წერტილიანი ორნამენტით, რომლის ოვალურ ნაპირზე ორი ხვრელია. ამგვარი ნივთები ტანსაცმელზე დასამაგრებელ სამკაულადაა მიჩნეული. მათ ფართო პარალელები აქვთ და გარკვეული მნიშვნელობა დათარიღებისათვის.

გარეული ტახის ქვედა ეშვებისგან (4 ც.) მზადდებოდა სხვადასხვა ნაწარმი, უმეტესად ალბათ სამკაული. ეშვები გვხვდება თითქმის ყველა ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების კოლექციებში.

კერამიკულ თუ ქვის მრგვალ-ბრტყელ გახვრეტილ გორგოლაჭებს ანუ ე.წ. ბორბლის მოდელებს (4 ც.) ავგაროზების დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ამ პარაგრაფში მოტანილი ნივთების პარალელებს და მათ თარიღს IV თავში შევეხებით.

მღვიმის წინა ფართობზე 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა თიხის, მოწითალოდ გამომწვარი მამაკაცის ქანდაკება. მისი თავი და ტანი წელსქვევით მოტეხილია. შემორჩენილ ნაწილზე მკვეთრად ხაზგასმულია გამოყვანილი წელი და დიდი მხარ-ბეჭი. მკლავები არ არის გამოყვანილი. მის გამოსაყოფად მარჯვენა იღლიაში შეიმჩნევა პატარა ოვალური ჭდე. მდედრობითი სქესის გამომხატველი არავი-

თარი ნიშანი მას არ გააჩნია (იგი გამთხრელის მიერ ქალის ქანდაკებად იყო მიჩნეული.). მისი მოსული მხარ-ბეჭი და მკვეთრად გამოხატული ტორსი აშკარად მიგვანიშნებდა, რომ იგი მამაკაცს გამოხატავდა. მკერდის მხარეს შეიმჩნევა მხრებიდან დაშვებული ჭდეული ხაზები. მარჯვენა მხარეს (უკეთ შემორჩენილ ნაწილზე) იგი ტეხილია. მაგრამ იმის გამო, რომ მკერდის მარცხენა მხარეს თიხა ატკეცილია თვალს ვერ ვადევნებთ ამ ხაზების მიმართულებას ბოლომდე. ფიგურა ეტყობა დიდი იყო, რადგან შემორჩენილი ნაწილის სიგრძე –7,2 სმ-ია, სიგანე – 5,8 სმ. შესაძლოა აქ გვქონდეს მამრობითი სქესის ღვთაების გამოხატულება (ტაბ. XXIII, 6) (მის შესახებ იხ. IV თავში).

§ 5. ლითონის ნაწარმი

საგვარჯილის ენეოლითური ფენის კოლექციაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩენილი ლითონის 9 ნივთი, რომლებიც წარმოდგენილი იყო ოთხწახნაგა სადგისებით (4 ც.) (ტაბ. XXII, 10, 12, 14), ანკესებით (3 ც.) (ტაბ. XXII, 15-17) და მრგვალგანივკვეთიანი და ოთხწახნაგა წვეტიანი ღეროებით (2 ც.) (ტაბ. XXII, 11). მათი რაოდენობრივი სიმცირე არ ასახავს რეალურ ვითარებას, რადგან ლითონის სიძვირის გამო მათ იშვიათად კარგავდნენ, ხოლო დაზიანებული ცალები თავიდან მუშავდებოდა. ყველა ნივთი ძლიერ იყო პატინირებული მომწვანო-მოლურჯოდ. ისინი აღმოჩენილი იყო 0,6-2,6 მ სიღრმეებს შორის. მათგან ერთი სადგისი ნაპოვნი იყო მღვიმის წინა ფართობზე 1,6 მ სიღრმეზე, დანარჩენი კი ფერდობის ფენაში. ეს ნივთები იყო ენეოლითელი ტომების პირველი ლითონის ნაწარმი. ამ იარაღების სპექტრულმა ანალიზმა[1] გამოავლინა შემდეგი ქიმიური შემადგენლობა – ერთ-ერთი ოთხწახნაგა სადგისი შეიცავდა 97% სპილენძს და 0,46 % დარიშხანს, დანარჩენები კი – 98% სპილენძს და 2% დარიშხანს. ასეთი რაოდენობის დარიშხანი ბუნებრივ მინარევად ითვლება. საგვარჯილის ლითონის ნივთები გვიჩვენებენ, რომ ამ მღვიმის მცხოვრებნი იყენებდნენ თვითნაბად სპილენძს. სპეციალისტების აზრით ეს ნივთები ცივად ჭედვის გზითაა დამზადებული, რაც ოთხწახნაგა სადგისებს ზოგ შემთხვევაში კიდევაც ემჩნევა ვიზუალურად.

საგვარჯილის ლითონის ნივთებს ფორმით და ქიმიური შედგენილობით პარალელები გააჩნია დასავლეთ საქართველოს სხვა სინქრონულ მღვიმურ ძეგლებში: ანალოგიური შემადგენლობის სპილენძის ისრისპირი ნაპოვნია თეთრ მღვიმეში [7 გვ. 58, 142] (ტაბ. XXII, 2). მასში დარიშხანის შემცველობა მხოლოდ 0,7 %-ია. თეთრი მღვიმის მსგავსი ისრისპირი ცნობილია ვორონცოვის ერთ-ერთი მღვიმედან [24, გვ, 17-26]. ჩიხორის ნამოსახლარზე ნაპოვნი სპილენძის ოთხწახნაგა სადგისების (2ც.) და საკიდის დარიშხანის რაოდენობა მერყეობს 0,7-1,6 % მ-დე [11, გვ. 156].

ორთვალა მღვიმის ენეოლითურ ფენაში აღმოჩნდა ლითონის ფირფიტა, რომლის სპექტრულმა ანალიზმა გამოავლინა 98% სპილენძის შემცველობა [14, გვ. 169]. სადგისები განივკვეთში ოთხწახნაგაა, ცალი ბოლო წამახვილებულია, მოპირდაპირე ბოლოზე კი ალბათ ტარი ეგებოდა. ოთხწახნაგა სადგისებს ფართო ტერიტორიული გავრცელება და დიდი ქრონოლოგიური ჩარჩოები აქვთ. დაწყებული ენეოლითიდან თითქმის შუაბრინჯაოს ხანამდე.

---

[1] აღნიშნული ნივთების სპექტრული ანალიზი გაკეთდა ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში (რ. ბახტაძე, ც. აბესაძე, ნ. სარაჯიშვილი).

ოთხწახნაგა სადგისებს ანალოგები ეძებნება შიდა ქართლის ენეოლითადრებრინჯაოს ხანის ძეგლებშიც. ერთი ცალი აღმოჩენილია არაგვის ხეობის ს. აბანოსხევის ადგილ „ნაქალაქარ ხიდარზე“ [15, გვ. 102] (ტაბ. XXVI, 3), მეორე კი ტყვიავის ყორღანში [10]. ოთხწახნაგა სპილენძის სადგისი და გაურკვეველი დანიშნულების სპილენძის ღეროს ნატეხი აღმოჩნდა კახეთში, კვირიას წყლის ნამოსახლარზე [22, გვ. 32] (ტაბ. XLII, 2-3).

ოთხწახნაგა სადგისებს აქვს უფრო შორეული პარალელებიც. ისინი გვხვდება დნესტრის აუზში, პოლივანოვ იარის ნამოსახლარზე [30, გვ. 54].

საგვარჯილის ანკესები არქაული ფორმისაა. ისინი დამზადებულია წვრილი მავთულისაგან მოკაუჭებული და გათხელებული წვერით. თანამედროვე ანკესებისაგან განსხვავებით მათ წვერს ჯერ არა აქვს ფხა, რაც როგორც ჩანს უფრო მოგვიანებით ჩნდება. ამ ანკესების სიგრძე დაახლოებით 1,5 სმ-ია. მათ წვერის მოპირდაპირე ბოლოზე უკეთდებოდა ყუნწი ძუაზე მისამაგრებლად. ერთ-ერთი ანკესის ყუნწი ნაკლულია, მაგრამ შერჩენილია ყუნწის გადაღუნვის ადგილი. სამი ანკესიდან ორს ყუნწი გარეთ უნდა ჰქონოდა გადაღუნული, მესამეს კი ყუნწი შიგნით, წვერისკენა აქვს ჩახვეული. როგორც ჩანს აქ ორი ტიპის ანკესები ყოფილა. ამგვარი იარაღები დამახასიათებელია ლითონის წარმოების ადრეული სტადიისათვის. ამ ანკესების შემდგომი განვითარება ჩანს მომდევნო ეპოქის ძეგლებში.

საგვარჯილის ანკესებს დასავლეთ საქართველოს სხვა მღვიმურ ძეგლებში ჯერჯერობით პარალელები არ გააჩნია. სამაგიეროდ მათი ანალოგები გვხვდება კავკასიის ჩრდილოეთით და ჩრდილო შავიზღვისპირეთში. გარეთ ყუნწგადაღუნული ანკესები ცნობილია ადრეტრიპოლიეს კულტურის ლუკა-ვრუბლევეცკაიას, ბირნოვოსა და სოლენჩინის ნამოსახლარებიდან [18, გვ. 121]. სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში გვხვდება თითო-ოროლა სპილენძის ანკესი უფრო მოგვიანო ენეოლითურ ნამოსახლარებზე – გუმელნიცა და პრისტერსიუგელში. აქაც ნაპოვნია ადრეული ფორმის უფხო ანკესები, რომლებიც ყუნწის შიგნით ჩახვეულობით ჰგვანან საგვარჯილისას. გარეთ გადმოღუნულყუნწიანი ანკესები ცნობილია შვეიცარიის ხიმინჯებიანი ნამოსახლარებიდან [18, გვ. 123].

ლუკა ვრუბლევეცკაიას ლითონის ნივთების სპექტრულმა ანალიზმა (გამოკვლეული იყო 7 ნივთი) გვიჩვენა, რომ მათგან 4 ნივთი და ერთი ანკესი დამზადებული იყო სუფთა სპილენძისაგან, ყოველგვარი მინარევის გარეშე, ერთ ანკესს კი ურევია ქრომი (4-5%), ხოლო წვეტანას სპილენძის გარდა ურევია 30-35% თუთია და ქრომი [18, გვ. 123].

მოტანილი სპექტრული ანალიზების მონაცემები ცხადჰყოფენ, რომ ძველ მიწათმოქმედთა მიერ გამოყენებული იყო სპილენძი სპეციალური შენადნობების გარეშე, არსებულ მინარევებს კი (თუთია, ქრომი, რკინა) სპეციალისტები შემთხვევითად მიიჩნევენ. მხოლოდ ერთ ნივთში (წვეტანა) ჩანს, რომ მინარევი საგანგებოდ ყოფილა შერეული. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით ს. ბიბიკოვი თვლიდა, რომ ტრიპოლიეს ეპოქაში მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ლითონის ნივთების დასამზადებლად გამოიყენებოდა თვითნაბადი სპილენძი. [18, გვ. 124].

მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ საგვარჯილის და საერთოდ საქართველოს ლითონის ნივთებს პარალელები ეძებნება ჩრდილო შავიზღვისპირეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ტ. პასეკის აზრით სპილენძი ჩრდილო შავიზღვისპირეთში შედიოდა სამხრეთიდან, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან და დასავლეთ კარპატისპირეთიდან [29, გვ. 215].

ენეოლითური ხანის ძეგლებში ლითონის ნაწარმი იშვიათად გვხვდება. მადნის დნობასთან დაკავშირებული მასალა საგვარჯილიდან არა გვაქვს სამაგიეროდ რიონ-ყვირილას აუზის ხეობების ზოგიერთ მღვიმეში (სამელე კლდე, ძუძუანა, სამერცხლე კლდე) ხდებოდა მადნიდან სპილენძის გამოდნობა, რასაც მოწმობს იქ აღმოჩენილი სალღობი ტიგელები და ყალიბების ფრაგმენტები. ხოლო შემდეგ ცივად ჭედვის გზით ამზადებდნენ სხვადასხვა სახის წვრილ ნაწარმს, ძირითადად საჩხვლეტ-საძგერებელ იარაღებს და ანკესებს. ზოგიერთ ნამოსახლარზე (ჩიხორი) კი სამკაულიც (საკიდი) გვხვდება. ამავე რეგიონიდან გვაქვს მონაცემები ენეოლითელი ტომების მიერ ბუნებრივმინარევებიანი თვითნაბადი სპილენძის გამოყენების შესახებ.

მასალის სიმცირის გამო ლითონის შემცველი მადნის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის წარმოდგენა ჭირს. საგვარჯილეში ლითონის შენადნობების თვისებები ჯერ არ უნდა სცოდნოდათ, რაც ლითონის დამუშავების პრიმიტიულობაზე მეტყველებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ განვითარების ამ ეტაპზე საგვარჯილეში მცხოვრებთათვის ცნობილი იყო მხოლოდ თვითნაბადი სპილენძი, მასში არსებული ბუნებრივი მინარევებით.

გაურკვეველია ამ სპილენძის მადნის სადაურობის საკითხი. სადღეისოდ რიონ-ყვირილას აუზიდან ცნობილი არ არის სპილენძის ძარღვები თუ საბადო. თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ რეგიონში ენეოლითის ხანაში არსებობდა სპილენძის მცირე ძარღვები, რომლებიც დღემდე არ შემორჩა.

საგვარჯილის არქეოლოგიური კომპლექსის განხილვიდან მკაფიოდ ფიქსირდება აქ მცხოვრები ენეოლითელი ტომების ინტენსიური კავშირი მდინარეების – ბაქსანის, ბელაიასა და ფარსის აუზების პროტომაიკოპურ ნამოსახლარებთან (მეშოკოს ქვედა ფენა, სკალა, ხავჯოხი და სხვ.). ბაქსანის ხეობიდან ცნობილია სპილენძის საბადო. გამორიცხული არ უნდა იყოს იქიდან სპილენძის შემოტანაც მით უმეტეს, რომ როგორც აღვნიშნეთ ამ მხარესთან ცნობილია დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური ტომების მჭიდრო კავშირები.

ცხრილი № 3
სხვადასხვა ნივთები

	ნივთები	**რაოდენობა**
1	სამაჯურის ფრაგმენტები ქვის	87
2	სამაჯურის ფრაგმენტები კერამიკის	16
3	კვირისტავები თიხის კონუსური	21
4	კვირისტავები თიხის ბიკონუსური	5
5	ბორბლის იმიტაციები	5
6	საკიდი-ამულეტები ქვისა და ტალკის	5
7	ნიჟარები – ტურიტელები გახვრეტილი	19
8	ნიჟარები Helix	ბევრი
9	მძივები თიხის	2
10	მამაკაცის ქანდაკება (ტერაკოტა)	1
11	თიხის ჭურჭლის მრგვალი ძირები	
12	ნაჩვრეტებიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები	2
13	მტკვარ-არეზული კერამიკის ფრაგმენტები	2
14	სპილენძის ოთხწახნაგა სადგისი	2
15	სპილენძის მრგვალგანივკვეთიანი ღერო	4
16	სპილენძის ანკესი	3
17	ქვის ფალოსი	1
18	გახვრეტილი ქვის ნივთის (?) ნატეხი	3
სულ		324

§ 6. ფაუნა

ენეოლითელი ტომების მეურნეობის შესახებ საინტერესო მონაცემებს იძლევა საგვარჯილის II ფენის ოსტეოლოგიური მასალა. იგი შეისწავლა და გამოაქვეყნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა [5; 20; 21].

საგვარჯილედან შესწავლილია 1135 ძვალი. მათგან სჭარბობს ძუძუმწოვართა ნაშთები (1127 ძვალი) და მხოლოდ 8 ძვალი ეკუთვნის ფრინველებს. ძვლების საერთო რაოდენობის 90,3 % (1026 ძვალი) ეკუთვნის ზრდასრულ ცხოველებს, ნახევრადზრდასრულებს – 7,17 % (81 ძვალი), ახალგაზრდა ინდივიდებს კი – 2,3 % (26 ძვალი). ეს ურთიერთ შეფარდება მოწმობს, რომ საგვარჯილელი ადამიანი უმეტესად იყენებდა ზრდასრულ ცხოველებს, როგორც შინაურს, ისე გარეულს. ფრინველებზე ნადირობას შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონოდა [20; 21].

არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა შინაურ და გარეულ ცხოველთა ძვლების რაოდენობრივი შეფარდება. როგორც საგვარჯილის ფაუნის ცხრილიდან [20; 21] ჩანს პირველ ადგილზე დგას გარეულ ცხოველთა ძვლები, მეორეზე კი შინაური. გარეულ ცხოველთა 649 ძვალია ნაპოვნი (56 %), შინაურისა კი 337 ძვალი (34 %). მინიმალური შესაძლებელი რაოდენობა გარეული ფაუნის ინდივიდებისა – 75-ია, შინაურისა კი – 39. გარეულ ცხოველთა ძვლების საერთო რაოდენობიდან, ახალგაზრდებზე მოდის 19 ძვალი (2, 9 %), ნახევრადზრდასრულებზე – 66 ძვალი (10,3 %), ზრდასრულებზე – 564 ძვალი (86,8 %).

ამგვარად, სანადირო მნიშვნელობის ცხოველებს შორის დომინირებს ზრდასრული ინდივიდები. მკაფიოდ ჩანს ზრდასრული შინაური ცხოველების გამოყენების ფაქტიც. შინაური ცხოველების ძვლებიდან 7 ძვალი (1,8 %) ეკუთვნის ახალგაზრდებს, ნახევრადზრდასრულებს 15 ძვალი (4%) და ზრდასრულებს – 355 ძვალი (93,4 %).

ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩს განხილული აქვს ცხოველთა რაოდენობრივი შეფარდება ცალკეულ სახეთა მიხედვით. სანადირო მნიშვნელობის ცხოველთა შემადგენლობაში ჭარბობენ გარეული ჩლიქოსნები. მათ შორის ყველაზე მეტია გარეული ღორის ძვლები (208 ერთ.), რაც გარეული ცხოველების ძვლების საერთო რაოდენობის – 32,5 % და ძვლების საერთო რაოდენობის 18,4 % შეადგენს. მეორე ადგილზეა კეთილშობილი ირემი – 186 ძვალი (28,1 % და 15,9 %); შემდეგი ადგილი ეკუთვნის კავკასიის შველს – 71 ძვალი (10,9 %; 6,2 %); კავკასიის ზუბრს – 23 ძვალი (3,6 %; 2 %), კავკასიის ჯიხვს – 15 ძვალი (2,3 %; 2,3 %), მურა დათვს – 14 ძვალი (2,19 %; 1,2 %), ქურციკს – 10 ძვალი (1,7 %; 0,9 %), გარეულ ცხენს – 6 ძვალი (0,94 %; 0,5 %) და სხვ.

ამგვარად ნადირობის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ჩლიქოსანთა სამი სახე – გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი და შველი, რომელთა ძვლებიც ძვალთა

საერთო რაოდენობის 40,7 %–ს, ხოლო გარეული ფაუნის საერთო რაოდენობის 72 % შეადგენდა. სხვა ცხოველებზე – დათვზე, ჯიხვსა და ზუბრზე, როგორც ჩანს ისე ხშირად არ ნადირობდნენ [20].

შინაურ ცხოველთაგან უმთავრესი სამეურნეო მნიშვნელობა მსხვილფეხა რქოსან საქონელს ჰქონდა. რაოდენობრივი თვალსაზრისით მათი ძვლები კიდევაც ჭარბობდა გარეული ღორის ძვლებს. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 300 ძვალია განსაზღვრული, გარეული ღორისა კი – 208 ძვალი. ცხოველთა ძვლების საერთო რაოდენობის 26,5 % ეკუთვნის მსხვილფეხა შინაურ საქონელს, გარეულ ღორს კი – 18,4 %. ეს შეფარდება კარგად მოწმობს საგვარჯილის მეურნეობაში შინაური მსხვილფეხა საქონლის მნიშვნელობას [21], რაოდენობრივად ის ჭარბობდა ცალკე აღებულ შინაურ და გარეულ ცხოველთა სახეობებს, მაგრამ სანადირო მნიშვნელობის გარეულ ჩლიქოსანთა სამი სახე (ღორი, ირემი, შველი) ერთად ჭარბობდა მას – 40,7 % ძვლების საერთო რაოდენობიდან [20; 21].

როგორც ვხედავთ, საგვარჯილეში შინაურ ცხოველთა რაოდენობა პროცენტულად მატულობს, წამყვანი ადგილი აქაც თეთრი მღვიმის მსგავსად მსხვილფეხა რქოსან საქონელს უჭირავს.

დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ზედა ფენების (ენეოლით-ადრებრინჯაო) ოსტეოლოგიურმა ნაშთებმა გვიჩვენა, რომ ამ პერიოდში ზემო იმერეთში, არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ცხოველთა მოშინაურებაზე გადასასვლელად უკვე წარმატებით იყო გამოყენებული ადგილობრივი ტომების მიერ [11, გვ. 162].

შინაურ ცხოველთა მსგავსი სახეობათა შემადგენლობა ახასიათებს დასავლეთ საქართველოს უფრო მოგვიანო ნამოსახლარებსაც, სადაც მეცხოველეობა უკვე კარგადაა განვითარებული.

ოჩამჩირის ნამოსახლარზე ჭარბობს მსხვილფეხა საქონლის ძვლები, შემდეგ მოდის ღორისა და ბოლოს უმნიშვნელო რაოდენობით წვრილფეხა რქოსნების ძვლები [28, გვ.52]. ანაკლიის დიხა-გუძუბაზე ნ. ვერეშჩაგინმა განსაზღვრა ხარის (258\17), ღორის (103\17) და წვრილფეხა საქონლის (47\5) ძვლები [23, გვ. 210].

მღვიმეებისაგან განსხვავებული სურათია გვიანენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ჩიხორის ღია ნამოსახლარზე. აქ ძვლოვანი მასალის 90 % შინაურ ცხოველებს ეკუთვნოდა და მხოლოდ 10 % გარეულ ფაუნას. შინაურ ცხოველებში პირველი ადგილი მსხვილფეხა საქონელს ეკუთვნოდა – 50 %, მეორე ადგილზე იყო შინაური ღორი, შემდეგ კი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (ცხვარი, თხა) [11, გვ. 163].

დასავლეთ საქართველოს ნეოლით–ენეოლითური ძეგლების (დარკვეთი IV, თეთრი მღვიმე, საგვარჯილე II) ოსტეოლოგიური მასალები კარგად მოწმობენ, რომ მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ადრე ჩაისახა (ნეოლითი). განვითარების ადრეულ საფეხურზე მას მცირე, საოჯახო მასშტაბი ჰქონდა. შინაურ ცხოველთა შორის უპირატესობა ღორს ენიჭებოდა [12, გვ. 69]. შემდეგ თანდათანობით მატულობს მეცხოველეობის ხვედრითი წონა მეურნეობაში. ამასთანავე იცვლება ჯოგის შემადგენლობა.

ზოგიერთ მღვიმეში (საგვარჯილე, თეთრი მღვიმე) უკვე შეიმჩნევა მსხვილფეხა საქონლის უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით. გვიანენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში (ჩიხორი) მეცხოველეობა უკვე ერთ-ერთ წამყვან დარგადაა ქცეული, ნადირობის როლი შემცირებულია 10 %-მდე, ცხოველთა წამყვან სახეობად კვლავინდებურად რჩება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი [11, გვ. 163].

დასავლეთ საქართველოს მღვიმური ენეოლითური ძეგლების ანალოგიური ცხოველთა სახეობები დადასტურდა ადრეტრიპოლიეს ნამოსახლარზე (ლუკა ვრუბლევეცკაია). აქ განსაზღვრული იყო ღორი – 49,2 %, მსხვილფეხა რქოსნები – 22,2 %, თხა – 17,4 %, ცხვარი – 2,8 % [19, გვ. 412–413].

ჯოგის მსგავსი შემადგენლობაა ყირიმის ტაშ–აირ I მღვიმეში. აქ ნეოლითურ ფენაში ნაპოვნია ღორის 193 ძვალი, ხარის – 23, და წვრილფეხა რქოსნების 12 ძვალი. ამავე მღვიმის ბრინჯაოს ხანის ფენიდან განსაზღვრულია ღორის 65 ძვალი, ხარის – 35, წვრილფეხა რქოსნების – 4 ძვალი [25, გვ. 168].

ადრეული მესაქონლეობის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა მაიკოპის კულტურის ნამოსახლარები. მიუხედავად იმისა, რომ მესაქონლეობა აქ უკვე განვითარებული ჩანს, ხოლო ნადირობასა და მიწათმოქმედებას უმნიშვნელო როლი ეკუთვნოდა [26, გვ. 88–90], შინაურ ცხოველთა სახეობების ურთიერთშეფარდება დასავლეთ საქართველოს ანალოგიურ სურათს იძლევა [11, გვ. 163].

მეშოკოს ნამოსახლარზე შინაური საქონლიდან უპირატესობა ღორს ენიჭებოდა (52,4%), შემდეგი ადგილი ეჭირა მსხვილფეხა რქოსან საქონელს (28, 4 %) და ბოლოს წვრილფეხა რქოსან პირუტყვს (17,7 %); 16 % მოდიოდა ძაღლზე. ცხოველთა მსგავსი შემადგენლობა გამოვლინდა ვესიოლისა და იასენოვა პოლიანას ნამოსახლარებზე [26, გვ. 90–91].

შინაური საქონლის ჯოგის ამგვარი შემადგენლობა (ღორისა და მსხვილფეხა საქონლის უპირატესობა) გამორიცხავს მომთაბარულ მესაქონლეობას [26, გვ. 90–91], მითუმეტეს უნდა გამოირიცხოს მომთაბარული მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოს ღია და მღვიმურ ენეოლითურ ნამოსახლარებზე, სადაც მესაქონლეობის როლი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან შედარებით მცირე იყო, ხოლო ცხოველთა შემადგენლობა კი ანალოგიური.

ამგვარად, მოტანილი მონაცემები მოწმობენ, რომ დასავლეთ საქართველოს ენეოლითელი ტომების მეურნეობაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობას. თუმცა მეურნეობის ტრადიციულ დარგს – ნადირობას ჯერ კიდევ საკმაო ადგილი ეჭირა. რაც შეეხება მიწათმოქმედებას მღვიმეების მოსახლეთა მეურნეობაში, მაიკოპის კულტურის ნამოსახლარების მსგავსად, ნაკლები ხვედრითი წონა ჰქონდა [11, გვ. 164].

ლიტერატურა
(II თავი)

1. აბესაძე ც., დვალი ნ., ჯაფარიძე ო. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიისათვის საქართველოში. თბ., 1958.
2. აბრამიშვილი რ., გოცირიძე დ. თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი. წიგ. თბილისი I, არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1978.
3. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.
4. ბერძენიშვილი (კილაძე) ნ. პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები II, თბ., 1956, გვ. 257–299.
5. ბურჩაკ-აბრამოვიჩი ნ. ი. საგვარჯილეს გამოქვაბულის (იმერეთი) ხერხემლიანთა შესწავლისათვის. სპელეოლოგთა X სამეცნიერო სესია. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1972.
6. გობეჯიშვილი გ. თეთრიწყაროს ნასოფლარი. თბ., 1978.
7. კალანდაძე კ. თეთრი მღვიმე. თბ., 1994.
8. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
9. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციიც საველე დღიურები № 2–5. ინახება აკც–ის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
10. მაკალათია ს. ტყვიავის ყორღანი.
11. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.
12. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.
13. ნიორაძე გ. ქვისხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში. თბ., 1952.
14. ნიორაძე მ. ძველი ქვისხანის მღვიმე-ნამოსახლარები წყალწითელას ხეობაში. თბ., 1992.
15. ჩიქოვანი გ. შიდა ქართლი ძვ. წ. V–IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1999.
16. წერეთელი ლ. მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბ., 1973.
17. ჯავახიშვილი გ. დასავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1971.
18. Бибиков С. Н. Поселение Лука-Врублевецкая. МИА, №38, М-Л, 1953.
19. Бибикова В. И. Фауна ранетрипольского поселения Лука-Врублевецкая. МИА №38, М.-Л., 1953.

20. Бурчак-Абрамович Н. И. Фауна пещеры Сагварджиле в Западной Грузии (дикие животные). Тб., 1972.
21. Бурчак-Абрамович Н. И. Фауна пещеры Сагварджиле в Западной Грузии (домашние животные), Тб., 1980.
22. Варазашвили В. В. Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тб., 1992.
23. Верещагин Н. К. Млекопитающие Кавказа. М.-Л., 1959.
24. Высоцкая Т. Н. Стоянки Воронцовской пещеры. Материалы по археологии Грузии и Кавказа. т. Ш , Тб., 1963.
25. Дмитриева Е. Б. Фауна крымских стоянок Замиль-коба II и Таш-Аир I, МИА, № 91, М.-Л., 1960.
26. Формозов А. А. Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965.
27. Каландадзе А. Н., Каландадзе К.С. Древнейшее металическое орудие пещеры Тетри Мгвиме. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1982.
28. Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н. Древние культуры южного Кавказа. Л., 1970.
29. Пассек Т. С. Периодизация Трипольских поселений. МИА, №10, М.-Л., 1949.
30. Пассек Т. С. Трипольское поселение Поливанов Яр. КСИИМК, вып. XXXVII, 1951.
31. Семенов С. А. Первобытная техника. МИА, №54, М.-Л. 1957.
32. Соловьев Л. Н. Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. Труды Абх. НИИ Груз. ФАН СССР, вып. 15, Сухуми. 1939.

თავი III

საგვარჯილის სამკაულებისა და ამულეტების დათარიღებისათვის

საგვარჯილის ენეოლითური ფენის (ზევიდან II) სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩენილი იყო ქვის რბილი ქანისაგან (ტალკი), ძვლისაგან, ნიჟარისა და თიხისაგან დამზადებული ნაირგვარი ფორმის სამკაულები და საკიდი-ამულეტები, კერძოდ: მსხლისებური და ე. წ. წვეთისებური საკიდები, ტალკის გახვრეტილი ფირფიტები, ცხოველის კბილები (აგრეთვე გახვრეტილი), თევზის გამოსახულების მქონე ძვლის საკიდი, ყელსაბამის ნიჟარები, ძვლის საკინძი, თიხისა და სადაფის მძივები, ქვისა და კერამიკული სამაჯურები (ტაბ. XXV-XXVI). როგორც ცნობილია, ეს სამკაულ-ამულეტები ყველა, გარდა სამაჯურებისა და თიხის მძივებისა, პალეოლითურად იყო მიჩნეული, ასე შევიდნენ ისინი არქეოლოგიურ ლიტერატურაში [1, გვ. 35; 2, გვ. 180, ნახ. 59-60; 3, გვ. 112, 115; 4;].

საგვარჯილის ენეოლითური ფენის მასალის პუბლიკაციისათვის მომზადებისას, მისი სტრატიგრაფიული და შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლისას, სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი სამკაული და საკიდი-ამულეტი ენეოლითური ფენიდან მომდინარეობდა. მოვიტანთ ამის დამამტკიცებელ სტრატიგრაფიულ და ტიპოლოგიურ მახასიათებლებს:

პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ მთავარი სტრატიგრაფიული დეტალები: მიუხედავად იმისა, რომ მღვიმის დიდ ნაწილში კულტურული ფენები ძალიან იყო დაზიანებული, II თხრილში, რომლის ფართობი 8 მ X 40 მ-ს უდრიდა ენეოლითური ფენა დიდ ფართობზე, უძრავ მდგომარეობაში იყო შემორჩენილი, რასაც მოწმობს ამ ფენაში 1,65 მ-ის და 2,5 მ-ის სიღრმეებზე გამოვლენილი ორი, ერთმანეთის ქვეშ მდებარე წითლად გამომწვარი, თიხატკეპნილი იატაკი ხის ბოძების საყრდენი ღრმულებით (სურ. 22) და ამ ფენიდან ჩაშვებული ორმოები, რასაც კარგად გვიჩვენებს II თხრილის ჩრდილო კედლის ჭრილი (IV-IV) (სურ. 17). იატაკებს შორის დაახ. 50-60 სმ კულტურული ფენა იდო. ამავე თხრილის ფერდობზე (ნიშნულები 32-33) 1,80 მ-ის სიღრმეზე უძრავ მდგომარეობაში (in situ) აღმოჩნდა ენეოლითური ხანის სამარხი (სურ. 23), რაც იმას მოწმობს, რომ კულტურული ფენა II თხრილის ამ მონაკვეთში უძრავი იყო. ამავე თხრილის II ფენის უძრაობას მოწმობს აგრეთვე თიხატკეპნილ იატაკებზე შემორჩენილი საკულტო და რამდენიმე პრაქტიკული დანიშნულების მცირე კერა. მღვიმის წინა ნაწილში და წინა ფართობზე კულტურული ფენის სისქე 3 მ აღწევდა. ამ მონაკვეთში პალეოლითური ფენა მიკვლეული არ ყოფილა. ეს სტრატიგრაფიული დეტალები მოგვაქვს იმის საჩვენებლად, რომ მეორე თხრილის მონაცემების მიხედვით შეიძლება სტრატიგრაფიული სიტუაციის აღდგენა.

საგვარჯილის II თხრილის II ფენის ბრექჩიის უბანზე 2 მეტრის სიღრმეზე სხვადასხვა ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა 19 ცალი ზღვის ლოკოკინის ნიჟარები [13, გვ. 19] (სურ. 20). ყოველი ნიჟარის ზედა უკანასკნელი ხვეული გახვრეტილია. ჩანს, რომ ისინი ყელსაბამის ნაწილები ყოფილა. მოლუსკის ეს სახეობა უცნობია საქართველოსათვის და არც მსგავსი სამკაული არის დადასტურებული პალეოლითის რომელიმე ძეგლზე. სპეციალისტებმა ისინი მოლუსკების ტურიტელათა გვარს (Turritella duplicata sinue) მიაკუთვნეს, წარმოშობით ხმელთაშუა ზღვის აუზს ან ინდოეთის ოკეანეს (წითელი ზღვის ჩათვლით) დაუკავშირეს და ერთ-ერთი ამ რეგიონიდან შემოტანილად მიიჩნიეს.[1]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საველე დოკუმენტაციის თანახმად (დღიურები, დავთრები, ანგარიშები)[2] იმავე ფენაში, რომელშიც აღმოჩენილი იყო ტურიტელები, ნაპოვნი იყო ტალკისაგან დამზადებული სხვადასხვა მოყვანილობის, მათ შორის მსხლისებური და წვეთისებური ფორმის ყუნწგახვრეტილი, ბოლომომრგვალებული გულსაკიდები და ტალკისავე ორნახვრეტიანი თხელი ფირფიტა (გადატეხილი), შემკული წერტილიანი ორნამენტით, რომლის ოვალურ ნაპირზე ორი ნახვრეტია [5, გვ. 25-27; 13, გვ. 19] (ტაბ. XXVI, 8-9, 21). როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ნივთები ერთ ფენაშია აღმოჩენილი. იგივეს ხაზგასმით აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) 1959 წელს გამოცემულ საქართველოს არქეოლოგიაში [1, გვ. 38]. იქ ნათქვამია, რომ ტურიტელები, ტალკის საკიდები, თევზის გამოსახულებიანი ძვლის საკიდი და ცხოველის გახვრეტილი კბილები II ფენაში 2 მეტრის სიღრმეზეა აღმოჩენილი.[3] როგორც უკვე აღვნიშნეთ, II ფენის სიღრმე მღვიმის დიდ ნაწილში თითქმის 3 მეტრს აღწევდა. მასში უძრავ მდგომარეობაში შემორჩენილი, ერთმანეთის ქვეშ მდებარე ორი წითლადგამომწვარი თიხატკეპნილი იატაკი კარგად თარიღდება ენეოლითური მასალით. ორი მეტრის სიღრმეზე და უფრო ღრმადაც ეს ფენა ენეოლითურია.

საინტერესოა შემდეგი სტრატიგრაფიული დეტალები: მღვიმის წინა ფართობზე (მე-13 ნიშნული), სადაც როგორც აღვნიშნეთ, შემორჩენილი იყო უძრავი ენეოლითური ფენა. 1,4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვის ნახევარკალისებური საკიდი (ტაბ. XXVI, 12). მის გვერდით მე-12 ნიშნულში კი – 1,6 მ-ის სიღრმეზე ნაპოვნი იყო სპილენძის ღერო. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ საკიდი ენეოლითურ ფენას ეკუთვნის. იგივეს ადასტურებს ძვლის ანალოგიური საკიდის აღმოჩენა საგვარჯილიდან 0,5 კმ-ის მანძილზე მდებარე ძევრის ღია ენეოლითური ნამოსახლარის ფენაში.

---

[1] ნიჟარები შეისწავლეს საქ. მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ჰიდრობიოლოგმა, პროფ. ა. სადოვსკიმ და სანკტ-პეტერბურგის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელმა ი. გალკინმა, პროფ. ა. ჟადინის ხელმძღვანელობით.

[2] საგვარჯილის გათხრების საველე დოკუმენტაცია ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძველი ქვის ხანის განყოფილებაში.

[3] 1991 წელს გამოცემულ „საქართველოს არქეოლოგია“-ში სამკაულ-ამულეტების აღმოჩენის ადგილად მე-3, ხოლო ტურიტელებისათვის მე-2 ფენაა მითითებული [2, გვ. 180], რაც არ შეესაბამება არც საველე დოკუმენტაციისა და არც სტრატიგრაფიის მონაცემებს, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ტურიტელები და ტალკის გულსაკიდები ერთ ფენაშია ნაპოვნი.

საგვარჯილის II თხრილის (მე-9-11 ნიშნულებში) მღვიმის წინა ფართობზე (მისი უკანა კედლიდან 9 მეტრის დაშორებით და ჩრდილო კედლიდან 2,3 მეტრის გადაკვეთაზე), 2 მეტრის სიღრმეზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ობსიდიანის მასალა, რომელშიც ნაპოვნი იყო ცხოველის ლულოვანი ძვლისაგან გამოთლილი თევზის გამოსახულების მქონე საკიდი[4] [8, გვ. 46], (ტაბ. XXVI, 16), რომელსაც თვალის ადგილზე გამჭოლი ნახვრეტი აქვს, წვეტიანი ბოლო კი შემკულია წიწვისებური არაღრმა, მაგრამ სიმეტრიული ნაკაწრი ორნამენტით.

ამგვარივე ნაკაწრი ორნამენტით შემკულია II ფენაში ნაპოვნი ძვლის საკინძის თავი (ტაბ. XXVI, 17). ამავე ფენის წინა ფართობზე მრავლადაა ნაპოვნი კერამიკის ფრაგმენტები, ქვის იარაღებისა და სამაჯურების ნატეხები [6; 13, გვ. 20], აგრეთვე ამავე ფენის კერაში აღმოჩნდა ტალკის თხელი ფირფიტისაგან ნაკეთები საკიდი, რომლის ორივე მხარე შემკულია დაშტრიხული ტეხილხაზიანი ორნამენტით. საკიდი ცხოველის (?) თავის გამოსახულებას წააგავს, ნაწილი ჩამოტეხილი აქვს, დაზიანებას გადარჩენილი ნაპირი კი დაკბილულია [13, გვ. 20] (ტაბ. XXVI, 20). ეს საკიდიც, ტურიტელებთან აღმოჩენილი საკიდებისა და ორნახვრეტიანი ფირფიტის მსგავსად, ტალკისაგანაა დამზადებული. ეს ფაქტიც სტრატიგრაფიასთან ერთად მიგვანიშნებს მის კუთვნილებაზე მეორე ფენისადმი და თავის მხრივ ათარიღებს თევზისებურ საკიდს ენეოლითური ხანით.

II თხრილის ჭრილი (IV-IV) გვიჩვენებს, რომ წინა ფართობზე 2-3 მეტრის სიღრმეზე არ ყოფილა მიკვლეული ზედაპალეოლითური ფენა, თევზისთავიანი საკიდი კი აღმოჩენილი იყო წინაფართობზე, სადაც ენეოლითური ფენის სისქე დაახლოებით 3 მეტრს უდრიდა.

ამგვარად, მღვიმის სტრატიგრაფია, საველე დღიურებისა და გათხრის ანგარიშების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ტურიტელები, ტალკის სხვადასხვა ფორმის საკიდი-ამულეტები და მათ შორის ტალკის ორნახვრეტიანი ფირფიტა, სამაჯურებთან ერთად, ერთ ფენაშია აღმოჩენილი 2 მეტრის სიღრმეზე. ამავე II თხრილში ეს დონე სტრატიგრაფიულად დევს (პირველი მოტკეპნილი იატაკის ქვემოთ), მეორე წითლად გამომწვარი თიხატკეპნილი იატაკის დონეზე, რომელიც ორივე თხრილში კარგად თარიღდება ენეოლითური ხანით.

საგვარჯილის II თხრილის II ფენის მოტკეპნილი იატაკის დონეზე, რომელზეც ჭარბად აღმოჩნდა ენეოლითური მასალა, აღმოჩენილი იყო ცხოველის გახვრეტილი კბილების საკიდი – ამულეტები [8, გვ. 85] (ტაბ. XXVI, 18). ამავე ფენაში ნაპოვნი იყო გარეული ტახის ბოლოგახვრეტილი ქვედა ეშვები, რომლებიც როგორც ჩანს, ავგაროზებად იყო გამოყენებული. მსგავსი საკიდები (ეშვების) ფართოდ იყო გავრცელებული ადრელითონის ხანის სხვადასხვა რეგიონის ძეგლებზეც.

ტახის გაპობილი ეშვისაგან (სადაფი) დამზადებული ოთხკუთხა ნაპრიალე-

[4] საველე დღიურში ამ ნივთის აღმოჩენის სიღრმე 2 მ-ია, 1952 წლის ანგარიშში კი მისი სიღრმე 2,8 მ-ა, რომელიც შემდეგ გადასწორებულია 3 მ-დ. ამ სიღრმეზედაც ფენა ენეოლითურია.

ბი ფირფიტა ერთ ბოლოზე ორი, მეორეზე კი ერთი ნახვრეტით ნაპოვნია შულავერის გორის I ჰორიზონტში [9, გვ. 55] (ტაბ. 14, 21).

ტახის ეშვისაგან ნაკეთები ოვალური საკიდი ბოლოებზე თითო ხვრელით ნაპოვნია იმირის გორის IV–I ჰორიზონტებში [9, გვ. 63] (ტაბ. 33,16).

ცხოველის გახვრეტილი კბილები და ეშვები ნაპოვნია ადრელითონის ხანის მეშოკოსა [15, გვ. 121] და ტრიპოლიეს კულტურის ღია ნამოსახლარებზე [12, გვ.199] (ტაბ. IV, 5), აგრეთვე ნალჩიკის სამაროვნის ადრეული ჯგუფის სამარხებში [14, გვ. 117-118], (ტაბ. IV, 4). ისინი ხშირად გვხვდება ამ სამარხების თავსამკაულებსა და ყელსაბამებში სხვადასხვა სახის გახვრეტილ ნიჟარებთან ერთად. მაგალითისათვის მოვიყვანთ ნალჩიკის სამაროვნის სამიოდე სამარხის მასალას: ბავშვის სამარხში (№8) ჩონჩხის გულ-მკერდის არეში ჩატანებული იყო ქვის ცილინდრული ფორმის მძივებთან ერთად 24 საკიდი თხისა თუ ცხვრის გახვრეტილი კბილებისა, მენჯის ძვლებზე 3 გახვრეტილი ნიჟარა (Pectunculus sp.), და 9 საკიდი სხვადასხვა გარეული ცხოველების (ირემი, მელა, კატა) ეშვებისა.

№ 31 სამარხში ნაპოვნია ხუთი გახვრეტილი ნიჟარა (Buliminus sp.) თიხის ორნამენტირებულ ჭურჭელთან და სპილენძის საკიდთან ერთად.

№ 86 სამარხში სპილენძის ბეჭედთან და ქვის ორ სამაჯურთან ერთად დიდი რაოდენობით იყო ჩატანებული ცხოველების ეშვებისა და კბილებისგან დამზადებული საკიდები: 16 ცალი ირმის გახვრეტილი ეშვის, 31 ც. ხარის გახვრეტილი კბილების და 2 ქვის საკიდი, დამზადებული სამაჯურის ნატეხებისაგან [14, გვ. 117-118]. ყველა ჩამოთვლილი ნივთი აქ , საგვარჯილის მსგავსად, გვხვდება ქვის სამაჯურებთან ერთად, ერთ კომპლექსში. ამგვარი პარალელების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის სამტკიცებლად, რომ ამ შემთხვევაში ეს ნივთები ენეოლითური ფენის კუთვნილებაა. თუმცა არ გამოვრიცხავთ ცხოველების გახვრეტილი კბილების არსებობას წინარე ფენაშიც.

საკიდების შესახებ ნ. ბერძენიშვილი (კილაძე) საველე დღიურში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ II თხრილის ბრექჩიის უბნის ფენაში აღმოჩენილ რბილი ქანისაგან (ტალკი) დამზადებულ მოთეთრო საკიდ-ამულეტებს ირმის კბილის მსგავსი ფორმა აქვთ [7, გვ. 81], იგივეს აღნიშნავდა იგი 1991 წელს გამოცემულ „საქართველოს არქეოლოგია“-ში [2, გვ. 180].

ტურიტელებთან ერთ ფენაში აღმოჩენილი მსხლისებური და ე.წ. წვეთისებური საკიდები (ტაბ. XXVI, 8-9, 11) მაიკოპის კულტურის ძეგლებისთვის დამახასიათებელი ელემენტია. ირმის კბილის საკიდები და ძვლისაგან გამოჭრილი ირმის კბილის იმიტაციები [15, გვ. 121] ცნობილია მეშოკოს ნამოსახლარის ზედა ფენიდან და ნოვოსვობოდნაიას ყორღანებიდან [15, გვ.146-147] (იხ. შესადარებელი სურ. 21, 2-3). მსგავსი საკიდები ნაპოვნია ტელ-მაგზალიას (მესოპოტამია) ნამოსახლარზე (სურ. 21, 7).

ორნახვრეტიანი, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ფირფიტები (ოვალური, მომრგვალო ან სწორკუთხა ფორმისა) მიჩნეულია ტანსაცმლის სამკაულად ან ამულეტად [12, გვ. 60-61;19, გვ. 132-133]. მსგავსი ფირფი-

ტისებური სამკაულები თუ ამულეტები დამახასიათებელია ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებისათვის და აგრეთვე გვხვდება ამავე პერიოდის სამარხებში. ტელ მაგზალიას ნამოსახლარიდან ცნობილია ობსიდიანისა და ქვის ამგვარი ნივთები, რომლებიც ნაპოვნია მსხლისებურ საკიდებთან და ქვის სამაჯურებთან ერთად [11, გვ. 103, ტაბ. 39]. მსგავსი, სადაფის ოვალური და ოთხკუთხა ფირფიტები ნიჟარებისაგან ნაკეთები (ორივე ან ერთ-ერთ ბოლოზე ორ-ორი ნახვრეტით) აღმოჩენილია ლუკა ვრუბლევეცკაიას (ტრიპოლიეს კულტურა) ნამოსახლარზე [12, გვ. 60-61] (სურ. 21,5). მერგელისაგან დამზადებული მომრგვალო, თავწაჭრილი, ორნახვრეტიანი ფირფიტა-სამკაული თუ ამულეტი აღმოჩენილია აგრეთვე გროზნოს მახლობლად ერთ-ერთ ენეოლითურ სამარხში [19, გვ. 132]. ანალოგიური ნივთი ცნობილია მარიუპოლის სამაროვნის ბავშვის სამარხიდან. ჩონჩხს მკერდის არეში ჰქონდა პორფირიტის ამგვარივე ფირფიტა, რომელსაც მისი შემსწავლელი ნ. მაკარენკო ამულეტად მიიჩნევდა [19, გვ. 132-133].

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი ორნახვრეტიანი ფირფიტები, საგვარვჯილის მსგავსად, ყველგან ნაპოვნია ოვალურ ან მსხლისებურ საკიდებთან და ქვის სამაჯურებთან ერთად.

სიონის ნამოსახლარზე (მარნეულის რ-ნი) ნაპოვნია ნიჟარის სადაფის საკიდები (დაახ. 2 ათეული ფრაგმენტი), ნიჟარის სადაფი შემოჭრილია და გახეხილი ისე, რომ მიღებულია კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედი, შუაში ნახვრეტით [10, გვ. 26].

სადაფის (ნიჟარის) საკიდი აღმოჩენილი იყო ე. ხუდიაკოვის მიერ გათხრილ მოწამეთას (ქუთაისის რ-ნი) მღვიმის ენეოლითურ სამარხში ხელსაფქვავთან, კერამიკასთან და ქვის იარაღებთან ერთად. ეს მასალა ა. ფორმოზოვმა ენეოლითით დაათარიღა.

ნიჟარების სამკაულებად გამოყენება ცხოველის გახვრეტილ ეშვებსა და კბილებთან ერთად დასტურდება ნალჩიკის სამაროვანზეც. მხოლოდ იქ ყელსაბამში გამოყენებული იყო სხვა სახის მოლუსკის (Pectunenlus sp.) გახვრეტილი ნიჟარები, რომელთა სამშობლოდ სპეციალისტები აგრეთვე ხმელთაშუაზღვის აუზს მიიჩნევენ [14, გვ.117-118]. ამგვარივე გახვრეტილი ნიჟარები ნაპოვნი იყო მარიუპოლის სამაროვნის სამარხებშიც [14, გვ. 119]. აღნიშნული სამაროვნები წინამაიკოპურ პერიოდს განეკუთვნება. ნიჟარები სამკაულებად გამოყენებული იყო აგრეთვე ტრიპოლიეს კულტურის ნამოსახლარებზე. აქ ნაპოვნი იყო გახვრეტილი, ორკარიანი ნიჟარების (Unio) გვერდები [12, გვ. 200]. ნიჟარების სამკაულებად გამოყენება ცნობილია ტელ-სოტოს (მესოპოტამია) ქვედა კულტურული ფენის ბავშვის სამარხიდან [11, გვ. 134]. ბავშვის ყელი შემკული იყო ყელსაბამით, რომელშიც სხვა მძივებთან ერთად ჩატანებული ყოფილა გახვრეტილი ნიჟარებიც და სპილენძის 2 მძივი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროტონეოლითური ეინანის ნამოსახლარის იატაკქვეშა სამარხებში ნაპოვ-

ნი ყელსაბამები, რომლებიც ხმელთაშუაზღვის ნიჟარებისაგან (Dentalium) იყო შედგენილი. ეინანის ე.წ. ბელადის სამარხის ცენტრში დაკრძალულთა ორი ჩონჩხიდან ერთი ქალს ეკუთვნოდა, რომელზედაც აღმოჩნდა ხმელთაშუაზღვის ნიჟარების (Dentalium) თავსამკაული [18, გვ. 29]. ამგვარივე, კარგი ხარისხის ნიჟარების თავსამკაული ნაპოვნი იყო მღვიმე ელ ვადის (აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთი) სამარხებში. ამ ნიჟარების შესახებ ჯ. მელლარტი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ისინი გარეგნულად ცხოველების კბილებს (ეშვებს) წააგვანან [18, გვ. 28].

ჯეითუნის ქვისა და ნიჟარების საკიდებს ვ. მასონი უფრო ამულეტების მნიშვნელობას მიაწერს ვიდრე სამკაულებისას, რომლებიც მტაცებლების კბილებისა და ეშვების იმიტაციას წარმოადგენდნენ [17, გვ. 40].

ანალოგიური შეხედულება საგვარჯილის ქვის გულსაკიდების ფორმის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოთქმული ჰქონდა ნ. ბერძენიშვილს (კილაძე) თავის საველე დღიურში [6, გვ. 81] და შემდეგ დაბეჭდილ ნაშრომში [2, გვ. 180]. შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ პერიოდის ძეგლებში ერთდროულად ცხოველების გახვრეტილი კბილების ამულეტების და მათი ქვის იმიტაციების თანაარსებობა.

როგორც ჩანს, ამულეტების თუ სამკაულების ამ სახეს გავრცელების ფართო არეალი ჰქონდა, რომელიც მოიცავდა მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონს და ჩრდილო და დასავლეთ კავკასიას.

როგორც ჩანს, ამ იმპორტული ნიჟარებისა და საერთოდ ცხოველების კბილების იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს საგვარჯილეს ირმის კბილის ფორმის ქვის საკიდები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზაგროსის მთიანეთის პროტონეოლითური ფენებში (ზავი-ჩემი და შანიდარი B 1) ნაპოვნი ოვალური, ორხვრელიანი და მრგვალი, ცენტრში გახვრეტილი ფირფიტები, აგრეთვე ქვის მოგრძო საკიდები [18, გვ. 22].

საინტერესოა მახლობელი აღმოსავლეთის ნეოლით-ენეოლითური ძეგლებიდან ცნობილი ქვის სხვადასხვა ქანებისაგან – სტეატიტისგან, პორფირიტისგან, კირქვისგან, მარმარილოსა და სპილენძისგანაც დამზადებული საკიდები. ზაგროსის მთიანეთში ჩნდება შიფერის საკიდები ამოკაწრული ორნამენტით და ქვის სამაჯურები (კარიმ შახირი). აქვე იყო ნაპოვნი ძვლის მძივები, ბეჭდები, ცხოველის გახვრეტილი კბილები და საკინძები. აღსანიშნავია, რომ აქაც არის ორხვრელიანი ანალოგიური ფირფიტები [18, გვ. 24].

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროტონეოლითურ ნამოსახლარებზე (ეინანი, ვადი ფალა, კებარა) ნაპოვნია რიყისქვების მრგვალ-ბრტყელი გახვრეტილი საკიდები [18, გვ. 31].

კვიპროსზე, სირო კიტიის ნამოსახლარზე (უკერამიკო ნეოლითი) სამკაულები წარმოდგენილი იყო სარდიონისა და პირიტის საკიდებით, სამაჯურებით, ნიჟარებისაგან (Dentalium) შედგენილი ყელსაბამით [18, გვ. 53].

როგორც ვხედავთ, ენეოლითში უკვე ცნობილია ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები – საკინძები, ტანისამოსზე დასამაგრებელი სამკაულ-ავგაროზე-

ბი, ცხოველთა გახვრეტილ კბილებსა და ეშვებს კი ზებუნებრივი მოქმედების ძალა მიეწერებოდა. სამკაულს ერთდროულად ავგაროზის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა.

მოტანილი პარალელური მასალა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლეთ კავკასიის ენეოლითში გავრცელებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ანალოგიური სამკაულები და ამულეტები და რომ ეს ტერიტორია წინააზიური ცივილიზაციის ორგანული ნაწილი იყო.

II თხრილის წინა ფართობზე (მე-12-14 ნიშნულებში) 2,7 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ნიჟარის სარქველებისაგან დამზადებული სადაფის მძივები (141 ც.) – მრგვალ-ბრტყელი გახვრეტილი ფირფიტები (ტაბ. XXVI, 13), კერამიკასთან, ძვლის ანკესთან და სადგისთან ერთად. ნიჟარების სადაფის სამკაული ფართოდ იყო გავრცელებული ენეოლითის ხანაში.

II თხრილის წინა ფართობზე (მე-9-11 ნიშ.) 1 მეტრის სიღრმეზე ნაპოვნია ცილინდრული ფორმის, მრგვალგანივკვეთიანი, თიხის მასიური 2 მძივი გამჭოლი ხვრელით (ტაბ. XXVI, 14-15). თიხის მძივებიც სამკაულის გავრცელებული სახე იყო წინააზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე.

საგვარჯილის ენეოლითურ კოლექციაში, როგორც აღვნიშნეთ, არის თიხისა და ქვის სამაჯურები. თიხის სამაჯურები (ტაბ. XXVI, 4-5; XXV,1-7; 17-21) გამომწვარია მოშავო-მონაცრისფროდ, რუხად ან მოშავოდ, სამაჯურები ბრტყელია და ზედაპირზე აქვთ სხვადასხვა რაოდენობის რელიეფური ზოლები (ლილვაკები). რომელთა რიცხვი 2-10 შორის მერყეობს. სამაჯურების სიგანე დამოკიდებულია რელიეფური ზოლების რაოდენობაზე და მერყეობს 1,3 სმ-დან 3,25 სმ-დე. რაც მეტია ზედაპირზე რელიეფური ზოლები, მით უფრო განიერია სამაჯური. ისინი გვხვდება მთელი ენეოლითური ფენის სიღრმეზე.

საგვარჯილის თიხის სამაჯურების მსგავსება ვლინდება მდ. ფარსის აუზის (ყუბანისპირეთი) ორ ძეგლთან – ვესიოლისთან და იასენოვა პოლიანასთან. ყუბანისპირეთში შესწავლილი მაიკოპის კულტურის შვიდი ნამოსახლარიდან მხოლოდ უკანასკნელ ორზეა ნაპოვნი კერამიკული სამაჯურები. დასავლეთ საქართველოში კერამიკული სამაჯურები ცნობილია ჯერჯერობით მხოლოდ საგვარჯილიდან.

ქვის სამაჯურების დიდი ნაწილი თხელი ფიქალისაგანაა ნაკეთები (ტაბ. XXV, 8-16, 19); არის მერგელისგან დამზადებულებიც, რომლებსაც სხვადასხვა განივკვეთი (ოთხკუთხა, სამკუთხა) აქვთ. ზოგს ზურგზე მაღალი ქედი მიუყვება, ზოგს ნახვრეტიც გააჩნია, შეკეთების მიზნით გაკეთებული. სამაჯურები ყველა მრგვალი და სხვადასხვა დიამეტრის მქონეა. მათი სიგანე 0,3 სმ-დან 1,2 სმ-დე მერყეობს. ქვის სხვა ქანების სამაჯურები შედარებით ნაკლებია, მათი ქვედა მხარე ბრტყელია, ზედა ხშირად ამობურცულ-წიბოიანი (სამკუთხა განივკვეთი) (ტაბ. XXVI, 1-3, 7).

საგვარჯილის ქვის სამაჯურებს ზუსტი პარალელები გააჩნია დასავლეთ ამიერკავკასიის თითქმის ყველა მღვიმის ენეოლითური ფენის მასალებში. მერგელისა

და ფიქლის სამაჯურები გვხვდება აგრეთვე ღია ნამოსახლარებზე (თეთრამიწა, ახალსოფელი).

ანალოგიური სამაჯურები მსხლისებურ საკიდებთან ერთად მაიკოპის კულტურის ადრეული ნამოსახლარების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ისინი გვხვდება ყუბანისპირეთის ადრელითონის ხანის ნამოსახლარებზე და ნალჩიკის სამაროვნის ადრეული ჯგუფის სამარხებში. მარმარილოს სამაჯურები დამახასიათებელია ჯარმოს (ჩრდ. მესოპოტამია) ადრესამიწათმოქმედო კულტურისთვის, რომელიც ძვ. წ. VII ათასწ.-ით თარიღდება [18, გვ. 52].

სამაჯურებს გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოები აქვთ, რომლებიც ახასიათებს ადრელითონის ხანის ძეგლებს. თავის მხრივ, ისინი კარგად ათარიღებენ მათთან ერთად, ერთ ფენაში ნაპოვნ დანარჩენ სამკაულ-ამულეტებს, ტურიტელებს, თევზისებურ საკიდს და სადაფის მძივებს.

მოტანილი პარალელური მასალიდან კარგად ჩანს, რომ ნიჟარების სამკაულები, საკიდი-ამულეტები და ქვის სამაჯურები დამახასიათებელი იყო ადრელითონის ხანის, როგორც დასავლეთ კავკასიის, ისე წინააზიური ძეგლებისთვის. საგვარჯილის აღნიშნული სამკაულები და ამულეტები ენეოლითელი ტომების ფართო კონტაქტების მაჩვენებელია.

ვ. მასონი თვლის, რომ ამ ეპოქის რეგულარულ გაცვლაში ჩართულია სამკაულები, მათი დასამზადებელი მასალა-ნიჟარები და იშვიათი მინერალები, ჩნდება პირველი ფორმები საყოველთაო ექვივალენტური ღირებულების, ე. წ. პირველყოფილი ფული, რაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ნივთებით და აგრეთვე უტილიტარული საგნებით [16, გვ. 61].

ამგვარად, საგვარჯილეს II კულტურული ფენის სტრატიგრაფიული მონაცემებისა და მასალის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აქ ნაპოვნი, მანამდე პალეოლითურად მიჩნეული სამკაულები და საკიდი-ამულეტები აღმოჩენილი იყო ენეოლითურ ფენაში ენეოლითურ არტეფაქტებთან ერთად და გვიანენეოლითური კომპლექსის შემადგენელი ნაწილია.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ. ზედა პალეოლითი. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
2. ბერძენიშვილი ნ, ნიორაძე მ. ზედაპალეოლითი. საქართველოს არქეოლოგია. ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 1991.
3. კალანდაძე ალ. გვიანი (ზედა) პალეოლითი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I, თბ., 1970.
4. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 14, 9, თბ., 1953.
5. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის 1952 წლის საველე მუშაობის შედეგები (ხელნაბეჭდი). ინახება აკც-ის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
6. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური №1 (1952 წ. 12\IV), ინახება აკც-ის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
7. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური №3 (1952 წ.), ინახება აკც-ის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
8. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური №5 (1952 წ.), ინახება აკც-ის ძველიქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
9. კიღურაძე თ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.
10. მენაბდე მ., კიღურაძე თ. სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981.
11. Бадер Н. О. Древнейшие земледелцы Северной Месопотамии. М. 1989.
12. Бибиков С. Н. Поселение Лука-Врублевецкая. МИА №38, М., 1953.
13. Киладзе (Бердзенишвили) Н. З. Итоги полевых работ дзеврской археологической экспедиции 1952 года. (рукопись).
14. Круглов А. П., Пиотровский Б. Б., Подгаецкий Г. В. Могильник в г. Нальчике. МИА №3. М., 1941.
15. Формозов А. А. Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965.
16. Массон В. М. Исторические реконструкции в археологии. Фрунзе, 1990.
17. Массон В. М. Поселение Джейтун, МИА, 180, Л., 1971.
18. Мелларт Дж. Древнейшие цивилизации Ближнего Востока. М., 1982.
19. Милорадович О. В. Новые археологические находки в грозненской области. КСИИМК. вып. 64. М., 1956.
20. Мунчаев Р. М. Кавказ на заре бронзового века. М., 1975.

თავი IV
საკულტო რიტუალები
(მღვიმე საგვარჯილის მასალების მიხედვით)

დასავლეთ საქართველოს გვიანენეოლითური ხანის ძეგლებმა უკანასკნელ ხანებში ახალი მასალები შეგვმატეს აქ მოსახლე ტომების სულიერი კულტურის შესახებ, რომლებიც არქეოლოგიურად ასაბუთებენ და ავსებენ ეთნოგრაფიული მასალების მონაცემების საფუძველზე თეორიული მსჯელობის შედეგად შექმნილ წარმოდგენას უძველესი რელიგიური რწმენების შესახებ.

პირველ რიგში გვინდა მეცნიერულ მიმოქცევაში შემოვიტანოთ მღვიმე საგვარჯილის მასალები, რომელთა დეტალური გაცნობა მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი. კერძოდ, გვიანენეოლითის ხანის ფენაში (II ფენა) აღმოჩენილი სამარხისა (სურ. 23) და საკულტო კერის (სურ. 24; 25) მასალა, რომელიც მისი გამთხრელის მიერ ამ თვალსაზრისით არ იყო აქცენტირებული. უფრო მეტიც, მის ერთადერთ გამოქვეყნებულ სტატიაში [6] ეს მასალა საერთოდ არც კი ფიგურირებს. ჩვენ მას გავეცანით საგვარჯილის გათხრის ანგარიშების, საველე დღიურების, დავთრებისა და გრაფიკული ჩანახატების მეშვეობით.[1]

საგვარჯილის II თხრილის ენეოლითურ ფენაში (ფენა II, 30-32 ნიშნულებს შორის) 1,80 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი. მას გამთხრელი ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) ნეოლითურად მიიჩნევდა [7] (სურ. 23).

